კაქსიქიქიღ აქსითიქქიქსნი სი-
 ქსიქიქი ჲირიქიქიღ ექსითიქსნი ზ
 ჲიქიქი ამქსი. რაქი ჲამქსითი ლ
 იქ ამქსნი:

ასე გაძლიერდა და მძლედ გაი-
 ბარჯვა თავის მტრებზე სომეხთა
 მეფე ლევონმა ზეციერი მეფის
 ქრისტეს ემწეობით. მან და ქრის-
 ტე ლეთის ყველა წმინდანთა
 5 ლოცვამ მძლედ დაიცვას თავის
 ყველა მტრებზე ლევონ სომეხთა
 მეფის მეფობა, მისი კეთილი შვი-
 ლებით, მისცეს სიცოცხლე ქრის-
 ტე ღმერთმა თავის ეკლესიას
 10 მრავალ ჟამ.

მაშინ აღმოჩენილ იქნა სომეხთა
 მამამთავრის ნერსეს ატიოსანი
 15 და წმინდა ნეშტი მის სამარეში⁶,
 მისი წმინდა კურთხევით მშვიდო-
 ბა მისცეს ქრისტე ღმერთმა მთელ
 ქვეყანას, ხოლო მას საუკუნო დი-
 დება, ამინ.

დასრულდა თხრობა თათართა
 საქმეებისა 44 წლის, [მანძილზე]
 მოკლედ და არა სრულად.

ბრიგოლ აკანელის „მოცხადება ტომის ისტორიის“ ცნობების შეჯერება სხვა საისტორიო წყაროთა ცნობებთან

გრიგოლ აკანელის ქრონიკა, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის საქართველო ამიერკავკასიისა და კილიკიის სომეხთა სამეფოს შესახებ, XIII ს-ის 20-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე. ეს ცნობები უმთავრესად ეხება მონღოლთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებსა და საერთოდ მათი ბატონობის ისტორიას წინა აზიაში.

ამ ცნობების მნიშვნელობა, მათი სანდოობა, სისრულე და სიზუსტე რომ შევაფასოთ, საჭიროა ისინი შევადაროთ ამავე პერიოდის შესახებ არსებულ სხვა საისტორიო წყაროთა ცნობებს.

ამიერკავკასიაში მონღოლთა ბატონობის პერიოდის შესახებ სომეხი ისტორიკოსებიდან, გრიგოლ აკანელის გარდა, ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე: ვარდანი (XIII ს. მოლვაწე, თბრობა მიჰყავს 1267 წლამდე)¹; კირაკოზ განძაკელი (XIII ს. მიღვაწე, თბრობა მიჰყავს 1266 წლამდე)²; სტეფანოზ ორბელიანი (XIII ს. და XIV ს. დასაწყისის მოლვაწე)³ და ე. წ. „წერილი ისტორიკოსები“ (რომლებიც გამოიცა 2 ტომად — პირველი 1951 წელს და მეორე 1956 წელს)⁴, სახელდობრ: 1. სტეფანოს ებისკოპოსის — ეამთაღწერა (XIII ს.)⁵; 2. პეტუნი, კარიკოსის უფალი — მოკლე ისტორია, გამოკრებილი სხვადასხვა ისტ. ძეგლებიდან (XIII ს.)⁶; 3. სარგის ზიწაკ სისელი — ეამთაღწერა (XIV ს.)⁷; 4. კირაკოს

¹ *Մենին Վարդանայ Բարձրբրգեցոյ Պատմութիւն արևելքական, 1861.*

² *Պատմութիւն հայոց, արարեալ կիրակոսի Վարդապետի Գանձակեաց, Թիֆլիս, 1909.*

³ *Պատմութիւն Նոնա՛դիւն Սիսական, արարեալ Ստեփանոսի Օրբէլոսն ուրբ-այիսկոյոսի Սիսնաց, Թիֆլիս, 1911.*

⁴ *Մանր Ժամանակագրութիւններ, XIII - XV III դ.դ. հատոր I, կազմեց Վ. Ա. Զախարյան, Երևան, 1951, հատ. II, 1956.*

⁵ წერილი ისტორიკოსები. წ. I.

⁶ იქვე, წ. I, გვ. 65—104; წ. II, გვ. 33—93.

⁷ იქვე, წ. I, გვ. 102—108.

ერშტუნი, ჟამთააღწერა (XVI ს.)⁸; 5. ანონიმი სებასტიელი — ჟამთააღწერა (XIII ს.)⁹.

აღნიშნული ისტორიკოსებიდან ვარდანი მონღოლთა პერიოდის ამბებს გადმოგვცემს ძალიან მოკლედ, იმის გამო რომ, როგორც თვითონ აღნიშნავს. აღარ გაიმეოროს მოძღვრების: ვანაკანისა და კირაკოსის მიერ მასზე ადრე დაწერილებით მოთხრობილი ამბები. ვარდანი აღნიშნავს:

„685 [1236] წლიდან 714 [1265] წლამდე, სომეხთა წელთაღრიცხვით, რომელშიც ვართ [ესლა] ჩვენ, [ყოველივე], რაც კი მიიმოქმედა მოისართა ტომმა, მთავართა და სამთავროთა მიმართ, დიდი ზღვის აქეთა ეხარეს: სპარსეთს, ალვანეთს, სომხეთს, საქართველოს და ჰორომალ წოდებულ ქვეყანას, სადაც სახლობენ სომხები. ასურელები, ბერძნები, ტაქიკები და თურქმანები, დაწერილებით აღწერა ღეთის წმინდანებთან ერთად კურთხეულმა ჩვენმა მამამ, მოძღვარმა ვანაკანმა და მოძღვარმა კირაკოსმა; [ჩვენ] მამის მსგავსმა.

„ამიტომ ჩვენ ველარ ვიღეთ თავს მესამედ ამის გამეორება და სიტყვემრავლობა, [არამედ], ზემოხსენებული საბატოო მწიგნობართა მორიდებით, მოკლედ მოვიყვანეთ [ამ წიგნში] თარიღები, დიონისიანის მწიგნობარი ამბები და სამახსოვრო საქმეები, ჩვენი, დიდი ხნის წინათ დაწყებული და [ჯერ] დაუნთავრებელი ნაბრომის დასამთავრებლად“¹⁰.

თვით ვარდანი, გრიგოლ აკანელის ცნობით, გარდაიცვალა 1271 წელს¹¹. ამჟვე წელს გარდაიცვალა კირაკოს განძაკელიც¹².

სტეფანოს ორბელიანი ზეტად ძვირფასი საისტორიო წყაროა, მაგრამ ძირითად ყურადღებას ის თავისი გვარის ისტორიაზე ამახვილებს, ზოგად ამბებს კი, მუდარებით მოკლედ გადმოგვცემს, მაგერ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს სულ რამდენიმე სიტყვით აღნიშნავს ხოლმე, ან სულ არ აღნიშნავს.

უფრო დაწერილებით აქვს მოთხრობილი მონღოლთა ბატონობის დროინდელი ამბები კირაკოს განძაკელს, როგორც ამას ვარდანიც აღნიშნავს.

ე. წ. „წერილი ისტორიკოსები“ ძალიან მოკლედ აღნიშნავენ ისტორიულ ფაქტებს, ამასთან მაგერ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ კირაკოსისა და განსაკუთრებით ვარდანის თხზულების ამა თუ იმ ადგილს.

⁸ წერილი ისტორიკოსები, წ. I, გვ. 113—124.

⁹ იქვე, წ. II, გვ. 115—172.

¹⁰ ვარდანი, გვ. 192.

¹¹ გრიგოლ აკანელი, გვ. 71,9—12.

¹² იქვე, გვ. 71,9—13.

ქართული საისტორიო წყაროებიდან მონღოლთა ბატონობის შესახებ, გარდა დოკუმენტური მასალისა, ძირითად წყაროდ „ჟამთააღმწერელი“ ითვლება, რომელიც ძალიან ბევრ ახალსა და სანდო ცნობებს გვაწვდის მონღოლთა შესახებ. იქ სადაც სხვა წყაროები (სომხური, სპარსული, არაბული), მოკლედ და ზოგჯერ გაუგებრად გადმოგვცემენ საქართველოსთან დაკავშირებულ მონღოლთა ამბებს, ჟამთააღმწერელი დაწვრილებით მოგვითხრობს ხოლმე მათ¹³.

სპარსელი ისტორიკოსებიდან მონღოლთა შესახებ ცნობები დაგვიტოვეს: ჯუვეინმა (XIII ს.), ჰამდლახ ყაზვინმა (XIII ს.), რაშიდ-ედ-დინმა (XIV ს.). განსაკუთრებით აღსანიშნავია რაშიდ-ედ-დინის კაბიტალური ნაშრომი, სადაც მოთხრობილია მონღოლთა ისტორია, ჩინგის-ყაენიდან მოყოლებული ყაზან ყაენამდე¹⁴.

მონღოლთა პირველ გამოჩენის შესახებ წინა აზიაში და ამიერკავკასიაში ჯვებესა და სუბუდაის ლაშქრობაზე ცნობები დაგვიტოვა XIII ს. არაბმა ისტორიკოსმა იბნ-ალ-ასირმა¹⁵.

მონღოლთა შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე XIII საუკუნეობიელი მოგზაურები: პლანო კარპინი¹⁶, მარკო პოლო¹⁷ და რუბრუკისი¹⁸. ეს ცნობები ძირითადად მონღოლთა წეს-ჩვეულებებს, სარწმუნოებასა და გარეგნობას ეხება.

განვიხილოთ გრიგოლ აქანელის ცნობები დასახელებულ საისტორიო წყაროთა ჩვენებების სინათლეზე.

1. მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა, ჩინგისის ჯაშახნება

(გრიგოლ აქანელი, გვ. 6.10—7,28)

იწყებს რა თხრობას თათართა, ანუ მოისართა ტომის (ე. ი. მონღოლთა) შესახებ, გრიგოლ აქანელი დასაწყისში მოგვითხრობს მათ

¹³ ქართლის ცხოვრება II, 1959 წ. გვ. 151—152.

¹⁴ Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. I, кн. 2, 1952, Москва-Ленинград.

Фазлულлах Рашид-ад-дин, Джамии ат-таврих, III, пер. с персидского языка А. К. Арендса, Баку, 1957.

¹⁵ Материалы по истории Азербайджана из Тарах-ал Камаль (Полного свода истории) Ибн-ал-Асира, Баку, 1946.

¹⁶ პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ (თარგმ. გ. ქიქოძის); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკ. II. გვ. 1—73.

¹⁷ Книга Марко Поло, пер. И. П. Минаева, Москва, 1956.

¹⁸ Путешествия в восточные страны Платона Карпиния и Рубрика, Москва, 1957.

წარმომავლობაზე, ხოლო შემდეგ ეხება მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნას, ჩინგისის გაყენებას. მისი თხრობა აქ შეტად მარტივია: თათრებმა, რომელსაც არ ქონდათ არავითარი სარწმუნოება, გარდა ქების ხატებისა, მისცეს აღთქმა ღმერთს, რომ „დადგებოდნენ მის ბრძანებაზე“. მაშინ ღმერთმა ოქროსფრთხიანი ანგელოზის პირით გაუჩინა მათ კანონები, უწოდა მათ მეთაურს ჩინგისს ღანი (ყაენი) ანცნო მას, რომ გაბატონდებოდნენ თათრები მრავალ ქვეყანაზე.

ქართველ ისტორიკოსს ჟამთააღმწერელს აღწერილი აქვს მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნის საკმაოდ რეალისტური სურათი. მას მოთხრობილი აქვს იმ ბრძოლებზე, რომლებიც გადაიხადა თემუჩინმა („თემურჩი“) ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და მონღოლთა სხვადასხვა ტომების გასაერთიანებლად თავისი ძალა-უფლების ქვეშ. მაგრამ ამ თხრობის ბოლოს ჟამთააღმწერელს მოცემული აქვს გრიგოლ აკანელის ანალოგიური ცნობა ღეთის მიერ ჩინგისის გაყენებისა, მონღოლთათვის კანონების გაჩენისა და მათთვის საბატონოდ ქვეყნების მიცემისა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც გრიგოლ აკანელის, ისე ჟამთააღმწერლის ეს ცნობა შაბლონურია შუა საუკუნეების მწერლობისათვის, მათი მსგავსება მაინც ნიშანდობლივია და გვაფიქრებინებს, რომ ჟამთააღმწერელი იცნობდა გრიგოლ აკანელის თხზულებას, ან მის წყაროს.

მოვიყვანოთ ცნობები ამ საკითხზე:

მარკო პოლო:

„მოხდა, რომ 1187 წელს თათრებმა აირჩიეს თავისთვის მეფე, და იწოდებოდა ის იმათებურად ჩინგის-ხანად. ის იყო კაცი მამაცი, ქვეიანი და თავზე ხელაღებული; როცა აირჩიეს ის მეფედ, თათრები, რომლებიც გაფანტული იყვნენ სხვის ქვეყნებში, მივიდნენ მთელი მსოფლიოდან მასთან და იცნეს ის თავის ხელმწიფედ. ამ ქვეყანას ჩინგის ხანი მართავდა კარგად. რა გითხრათ კიდევ? პირდაპირ გასაკვირველია თათრების რა სიმრავლე შეიკრიბა აქ.

„ღაინახა ჩინგის-ხანმა, რომ ბევრი ყავს ხალხი, შეაიარაღა ის მშვილდებითა და სხვა მათი იარაღით და წავიდა სხვა ქვეყნების დასაპყრობად. დაიპყრეს მათ რვა მხარე. ხალხს არ ერჩოდნენ, არაფერს არ ართნევდნენ, მხოლოდ მოჰყავდათ თავისთან სხვა ხალხების დასაპყრობად. და როგორც თქვენც გაგიგონიათ, დაიპყრეს მრავალი ხალხები: ხალხი ხედავდა, რომ მმართველობა კარგია, მეფე მოწყალე, და მიჰყებოდნენ მას ხალისით. შეკრიბა ჩინგის-ხანმა ისეთი სიმრავლე.

ხალხისა, მთელ მსოფლიოში რომ დაეხეტებინან, და გადაწყვიტა, დაეპყრო მეტი მიწები“¹⁹.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი .

„და ვითარ მოიწყო თათართა ზედა, გამოჩნდა კაცი ვინმე საკვრველი, რომელსა თებთუნ გუარობით უქმობდეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე, ეტყოდა, ვითარმედ: „მე მას მთასა, რომელსა უწოდენ ბალიყ, წარვალ, ღმრთისა სიტყუა მესმის. ამას ბრძანებს ღმერთი: ყოველი ქვეყანა თემურჩის და მისთა ლაშქართათჳს მიმიცემია, და სახელადკა ჩინგიზ-ყაენი ერქუასა.“

„ხოლო ითქუა ესეცა, ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი აღვიდა მთასა მალასა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, დამან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმინდე და სიმართლე, ტყუილისა პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: „თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქუეყანა შენთჳს და ნათესავისა შენისათჳს მიმიცემიეს. წადი და აღიდე ყოველი ქუეყანა, რაოდენი გეძლოს“²⁰.

მონღოლთა იასახზე, ანუ წესებზე ცნობას გვაწვდის აგრეთვე ვარდანი, ოღონდ, ამ ცნობის თანახმად იასახი ღმერთმა კი არ გაუჩინა მონღოლებს, არამედ — ჩინგის-ყაენმა: „იასახი, როგორც ეტყვიან, იმათებურად, დადებული ჩინგის-ყაენისაგან, მემდეგი იყო: არ ეტრუათ, არ მოეპარათ, სხვის ცოლთან არ ჰქონოდათ კავშირი, ჰყვარებოდათ ერთმანეთი, როგორც საკუთარი თავი, არ ელანძლათ და არ სცოდნოდათ ლანძღვა. ნებით დამორჩილებული ქვეყანა და ქალაქები დაენდოთ ღვთის სახლები და მისი მსახურნი თავისუფლად გაეშვათ ხარკისგან და პატივი დაედოთ“²¹.

მონღოლთა შესახებ არსებულ თანადროულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ აღნიშნულია, რომ მონღოლებს ჩინგიზ-ყაენმა უანდერძა წესები. ეს ცნობა მოიპოვება გრიგოლ აქანელთანაც. ჰულაგუმ, ვიდრე ის ყაენად დაჯდებოდა, შეუთვალა მანგუ ყაენს:

„ეხლა რას გვიბრძანებ ჩვენ. თუ ამგვარად უასახოდ და უმეთაუროდ ვიქნებით, ეს ქვეყანა აოხრდება და ჩინგის ღანის ბრძანება არ შესრულდება. მან გვიბრძანა ჩვენი მორჩილი და ჩვენს მიერ პყრობილი ქვეყანა კი არ ავაოხროთ, არამედ — ავაშენოთ“²².

¹⁹ მარკო პოლო, გვ. 85.

²⁰ ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი , ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა , II, 1959, გვ. 162.

²¹ ვარდანი, გვ. 11.

²² იბ. გოიგოლ აქანელი. გვ. 40,29—36.

ჩინგის-ყაენისაგან მონღოლთათვის წესების გაჩენაზე გვამცნობს შემთავალმწერელიც:

„ესე იყვნეს კაცი განსაკრებელნი, რამეთუ, იხილნი რა, სულელ საგონებელ იყენიან, ზოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის, და ყოველი გონიერება მოეგოთ. მცირემეტყუელება და ტყუეული სიტყუა ყოვლადვე არა იყო მათ შორის. არა თუალ-ახუნიან პირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა. უმეტეს საბჭოთა წინა, რამეთუ კეთილნი წესნი ებყრნეს, ჩინგიზ-ყაენისაგან განჩინილნი, რომელთა თვთოეულად წარმოთქმა გრძელ არს“²⁷.

ჩინგის-ყაენის ანდერძი საკმაოდ ვრცლად გადმოცემული აქვს რა-შიდ-ედ-დინს²⁸.

II. მონღოლთა დახასიათება

(გრიგოლ აკანელი, გვ. 6, 10-24; 7, 8-18; 10, 34-38; 11, 1-38).

მოგვითბრობს რა მონღოლთა პირველ გამოჩენას ამიერკავკასიაში, გრიგოლ აკანელი იძლევა მათ დახასიათებას: გარეგნულ აღწერასა და ცნობას ზოგიერთ წეს-ჩვეულებაზე. მონღოლთა დახასიათება მოცემული აქვთ აგრეთვე: კირაკოს განძაკელს, სტეფანოს ორბელიანს, იბნ-ალ-ასირს, პლანო კარპინს, მარკო პოლოს, რუბრუკვისსა და შემთავალმწერელს. მონღოლთა თავისებურ დახასიათებას წარმოადგენს აგრეთვე მათთვის ვითომდა ჩინგის-ყაენის მიერ გაჩენილი წესების გადმოცემა გრიგოლ აკანელის, ვარდანისა და შემთავალმწერლის მიერ. ეს წესები რომ მართლაც ახასიათებდნენ მონღოლებს, ამას მოწმობს პლანო კარპინის დაწვრილებითი აღწერა მონღოლთა წეს-ჩვეულებებისა. მოვიყვანოთ მონღოლთა დახასიათება აღნიშნული წყაროებიდან:

კირაკოს განძაკელი:

„შესახედავად იყვნენ ჯოჯოხეთური და შინისმომგვრელნი. ულვაში არა ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთს ჰქონდა ცოტა ბალანი ტუჩებსა და ნიკაპზე. თვლები ჰქონდათ ვიწრო და სწრაფი, ხმა — წვრილი და მჭრელი. დიდსადაც კი უბრუნდნენ. როცა აქუთ საქმელი; ჰამენ და სვამენ გაუმამდრად; როცა არა აქუთ. სიბნილს უძლებენ. ჰამენ ყოველგვარ ცხოველს — წმინდასა და უწინდურს, ცხენის ხორცი კი მეტად ურჩევნიათ, ნაქერ-ნაქერ ჰრიან და სწევენ, ან ხარშავენ უპარილოდ...

²⁷ შემთავალმწერელი, ქართლის ცხოვრება II, 1959, გვ. 158.

²⁸ რაშიდ-ედ-დინი, I, გვ. 259-265.

„ღვთისმსახურება, ან თაყვანისცემა რაიმე არ არის მათთან, მაგრამ ღვთის სახელს ახსენებენ ყველა შემთხვევაში“¹.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი :

„... აღძრა უჭალმა აღმოსავლეთიდან ტომი მოისართა, რომლებიც მულალებად იწოდებოდნენ, მდაბიურად — თათრები, რომლებიც ჩინისა და მაჩინის ქვეყნიდან [იყენენ] — ხათასტანის იქითა მხრიდან. [იყენენ] უღმერთოები და უსჯულოები, მაგრამ შემკულნი მამაჰაჰური ადათებით; ნობულენი უწმინდური ხელმრუდობისა და ყოველგვარი ბოროტი საქმეებისა; გულწრფელნი ერთმანეთს შორის; ერთგულნი და მორჩილნი თავიანთი წინამძღოლისა; სამართლისმქმნელნი და სამართლითგანსჯულნი; მაგრამ ზნეობით ღარიბები და ხარბები; შემავიწროებლები და ხალხის მძარცველები; გარეგნებით ფრიად ლამაზები და ქოსები, ქალების მსგავსად; მცოდნენი ქრისტიანთა სარწმუნოებისა და დიდად მოყვარულნი ქრისტიანებისა, ძლიერი ნიჭილდოსნები; ყოველგვარ საომარ საქმეში ფრიად მოხერხებულები.

„მაგრამ შემდეგ [მათ] მიატოვეს ძველი ადათები და გადაუხვიეს მამათა წესებს, რომლებიც ჰქონდათ; შეეთვისნენ მამადის სჯულს და ისწავლეს ყოველგვარი სიბილწე და ურიგობა; ეწეოდნენ გარყვნილ ცხოვრებას“².

ი ბ ნ - ა ლ - ა ს ი რ ი .

„რაც შეეხება მათ რელიგიას, ისინი თაყვანს სცემდნენ მზეს მის ამოსვლისას. ისინი არაფერს არ თვლიან აკრძალულად და ამიტომ ჭამენ ყველა ცხოველს, ძაღლებსა და ღორებსაც კი. მათ არ იციან [ჩვენნაირი] ქორწინება: ქალთან შეუძლია იქონიოს კავშირი არა ერთ კაცს, ამიტომ, გაჩენილმა ბავშვმა არ იცის თავისი მამა“³.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი .

„ქვეყანასა მზისასა აღმოსავლეთით კერძო, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვრეელნი ადგილსა ყარყურუზად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და მესახედავადცა. რამეთუ არცა ძველთა წიგნთა შინა სადაჲე იპოების ამბავი მათი; რამეთუ არიან უცხო-ენა, უცხო-სახე, უცხო-ცხოვრება, პურისა გემო არა იცოდინან, ქორცილთა და პირუტყუთა სძითა ცხოვრებოდეს.

¹ ქ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ. 257—258.

² ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 400—401.

³ ი ბ ნ - ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 136.

„ხოლო იყენეს ტანითა სრულ, გუანითა ახოვან და ძლიერ ფერვითა, შუენიერ და სპეტაკ ჯორცითა, თუალითა მცირე ჭურჭტ და გრემან, განზიდულ და საჩინო: თავითა დიდ, თმითა შავ და ჯშირ, შუბლბრტყელ, ცხვრითა მდაბალ, ესოდენ, რომელ დაწუნი უმადლეს იყვიან ცხვრთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდია) ცხვრთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუნერული, ესცევითარი აქუნდა უმსგავსო სახე. და ნუ ვის გიკვრს, რომელ აღმატებული რამე შუენიერება აქუნდა ამათ ყოველთა, მაშათა და დედათა. ხოლო ამას თანა მოეგოთ სიმკნე და მოისარნი იყენეს რჩეულნი, მაგრითა მშკლდითა უცთომრად მსროლელნი. რომელთა ნაკრავსა ვერაზან საგურგელზან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყენეს მკნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის საჭურველისა არასა მკონებელნი, მშკლდისა და ისრისა კიდე.

ესე იყენეს კაცნი განსაკრებელნი, რამეთუ, ჩხილნი რა, სულელ საგონებელ იყვიან, ხოლო ყოველი სიზრძნე იარებოდა მათ შორის, და ყოველი გონიერება მოეგოთ, მცირემეტყუელება, და ტყუელი სიტყვა ყოვლადვე არა იყო მათ შორის. არა თუალ-ახუნთან პირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს ჩინგიზ ყაენისაგან განჩინილნი, რომელთა თათოგულად წარმოთქმა გრძელ არს.

ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთიანა უქუდავისა თაყუანისცემა, პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა-თითის წუერისა ნებსა ზედა დადება და დატყატუნება, და მეტი არაარად...

ხოლო აქვნდათ წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენგრი უწოდეს ენითა მათითა“⁴.

მათ აქუნდა სჯულად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, და დიდგულ აღმოსლვასა მზისასა მზისა აღმოსავლით სამისა ჩოქისა ყოვლად და მტრთა არა რა. ხოლო ფიცთა სიმტკიცედ ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყონ და განავლონ იგი და შეასუან, და მინდობილნი შეიწყნარონ და ამა ფიცსა არა ეცრუენენ. სიტყუა ტყუელი არა ამოვიდეს პირით მათით, მეკობრე და მბორგველი კაცი გაუქითხავად მოკლიან, და სხუანი მრავალნი კეთილნი წესნი განეჩინნეს ზემოქსენებულსა მას მთავარსა ჩინგიზ-ყაენს. ამით ოქროთა საფიცრითა დაუმტკიცეს მტრეჭულთა ავაგელსთა ფიცთა, რომლითა დაჯერებულ იქმნა, ამისთჳს რომელ არა იყო ტყუელი, არცა სიცრუევე ფიცთა მათ შორის“⁴.

⁴ ქამთა აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1 959. გვ. 157-159; 189-190. 6. მოისართა ისტორია.

პლანო კარპინი:

„სახით ისინი ყველა სხვა ადამიანისაგან განსხვავდებიან. თვალგბ-სა და დაწვებს შორის მათი სახე უფრო ფართოა, ვიდრე სხვებისა, ხოლო მათი დაწვები მეტად ყვრიმალ-ძელიანია. ყველას, იშვიათი გამო-კლებით, თხელი ტანი აქვს და თითქმის ყველანი საშუალო სიმაღლის არიან. წვერი თითქმის სრულიად არ აქვთ, მხოლოდ ზოგიერთს ზედა ტუჩზე და ნიკაბზე რამდენიმე ბეწვი ამოდის, რომელსაც არასოდეს არ იკრეპავენ. საქოჩრეს იპარსავენ ჩვენი კლირიკოსების მსგავსად, აგრეთ-ვე ყველანი სამი თითის დადებაზე თავს იპარსავენ ერთი ყურიდან მეორემდე; ამ მოპარსულ ადგილს ცხენის ნალის ფორმა აქვს. აგრეთვე ყველანი შუბლს იპარსვენ ორი თითის დადებაზე. საქოჩრესა და ზემო-ხსენებულ მოპარსულ ადგილს შორის დატოვებულ თმას კი წარბებამდე უშვებენ. დანარჩენ თმას ქალებივით იზრდიან. ორ ნაწინავს აკეთებენ და ყურების უკან იხვევენ. აატარა ფეხები აქვთ...“⁵,

„მათ სწამთ ერთი ღმერთი, რომელსაც ყოველი ხილულისა და უხილავის შემოქმედად თვლიან; აგრეთვე სწამთ, რომ ის არის რო-გორც ნეტარების მომნიჭებელი ამ ქვეყნად, ისე დამსჯელი; მაგრამ ისი-ნი მას არც ლოცვებით სცემენ თაყვანს. არც ქება-დიდებით, არც სხვა რაიმე წესით. ამისდა მიუხედავად მათ აქვთ რალაც კერპები, რომელ-თაც ქეჩისგან აკეთებენ ადამიანის მსგავსად და სადგომის შესავალთან სდგამენ ორივე მხრიდან; ამ კერპებს შიგნით რალაც ძუძუების მსგავსს უკეთებენ ქეჩიდანვე და ჯოგების მთარეველად თვლან, უხვი რძის მომ-ცემად და პირუტყვის გამმრავლებლად. სხვა კერპებს აბრეშუმის ქსო-ვილისაგან აკეთებენ და დიდ პატივს სცემენ...“⁶.

„გარდა ამისა, ისინი თაყვანს სცემენ მზეს, მნათობებს, ცეცხლს, წყალს, მიწას, მუხლს იდრეკენ მათ წინაშე და საქმელ-სასმელის პირ-ველ ნაწილს სწირავენ, განსაკუთრებით დილით, სანამ ჭამა-სმას დაიწ-ყებდნენ...“

„თუმცა მათ არავითარი კანონი არ აქვთ სამართლიან საქმეებზე ან შეცოდების მიმართ გაფრთხილებაზე, მაგრამ მაინც ზოგიერთი ტრა-დიცია აქვთ იმის შესახებ, რასაც ცოდვას უწოდებენ და რაც მათ მიერ, ან მათი მამების მიერ არის მოგონილი...“⁷.

„ისინი გულმოდგინედ მისდევენ მკითხაობას. საერთოდ, ბედის ამოკითხვას ფრინველების გაფრენისა და ცხოველების შიგნეულობის მი-

⁵ პლანო კარპინი. გვ. 8.

⁶ იქვე, გვ. 10.

⁷ იქვე, გვ. 12.

ხედვით, ჯადოქრობას და მისნობას. როდესაც მათ ეშმაკები პასუხს აძლევენ, ჰგონიათ, თვით ღმერთი გველაპარაკებოა...“⁸.

„... თათრები უფრო ემორჩილებიან თავიანთ ხელმწიფეს, ვიდრე სხვა რომელიმე ამ ქვეყნად მცხოვრები ადამიანები, საერთო თუ სასულიერო, და ისეთ პატივს სცემენ მას, რომ თითქმის არასოდეს არ ტყუიან მის წინაშე. ერთმანეთს იშვიათად ან თითქმის სრულიად არ აგინებენ, ჩხუბი, შუღლი, კაცის დაქრა, ცემა-ტყეპა, როგორც მათ შორის არასოდეს არ ხდება. ავაზაკები და ქურდები მათ შორის არ მოიპოვებიან; ამიტომ ისინი კლიტეებით და შურდულებით არ კეტავენ სადგომებს და ფორნებს, რომლებშიც თავიანთ ქონებას ინახავენ“⁹.

„... ისინი მეტად ხარბნი და ძუნწნი არიან...“¹⁰.

„ისინი იმდენად ხარბები არიან, რომ როგორც კი რაიმე ნივთი მოეწონებათ, მაშინვე პატრონს ჩააცვიდებიან, რათა საჩუქრად მიიღონ, ან ძალით ართმევენ...“¹¹.

„ისინი ჭამენ ყველაფერს, რის დაღეჟვაც კი შეიძლება: ძაღლებს, მგლებს, მელიებს, ცხენებს, გაკირვების დროს ადამიანის ხორცსაც...“¹².

„ქანონად თუ ჩვეულებად აქვთ ქალ-ვაჭი დახოცონ, თუ აშკარა მრუშობაზე წაასწრეს, აგრეთვე ჰკლავენ მეძავ ქალს მამაკაცთან ერთად, რომელთანაც ის ცხოვრობს. თუ თავიანთ სამფლობელოში ვინმეს მძარცველობაზე, ან აშკარა ქურდობაზე მიუსწრეს, შეუბრალებლად კლავენ...“¹³

მ ა რ კ თ პ ო ლ ო :

„... [თათრები] ჭამენ ხორცს, რძეს და ნადირს: აგრეთვე ვირობებ; ჭამენ ცხენის ხორცს და ძაღლისას, სვამენ ცხენის რძეს [კუმისს]. ყოველგვარ ხორცს ჭამენ.“

„სხვის ცოლთან არავითარ შემთხვევაში არ დაწვებიან და თვლიან ამას უკეთურ და მდაბალ საქმედ. ცოლები კარგები ჰყაფთ — ქმრის ერთგულები, საოჯახო საქმეს კარგად აკეთებენ. ცოლს ირთავენ აი ასე: თითოეული ირთავს იმდენ ცოლს, რამდენიც სურს, თუნდაც ასს, თუკი შესძლებს შენახვას...“¹⁴.

⁸ ბ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, გვ. 13.

⁹ იქვე, გვ. 15.

¹⁰ იქვე, გვ. 16.

¹¹ იქვე, გვ. 17.

¹² იქვე, გვ. 18.

¹³ იქვე, გვ. 19.

¹⁴ მ ა რ კ თ პ ო ლ ო, გვ. 88.

„სარწმუნოება აი როგორი აქვთ: ყავთ ღმერთი, რომელსაც უწოდებენ ნაჩიგაის. ამბობენ, რომ ღმერთი მიწიერია; იცაეს ის მათ შვილებს, მათ ჯოგსა და პურს.

„თაყვანს სცენენ მას და ლოცულობენ მასზე ბევრს; თითოეულს აქვს ის სახლში. აწადებენ მას ქეჩისა და მაუღისაგან და აქვთ თავიანთ სახლებში...

„მათი შვიარალება: ნწვილდი, ხმალი და ლახტი; ყველაზე მეტად ისინი ხმარობენ მწვილდს, რადგან კარგი მსროლელები არიან; ზურგზე მათ აქვთ ჯაფშანი, კამეჩის ან სხვა მოხარშული და ძალიან მაგარი ტყავისაგან. იბრძვიან კარგად და ძალიან გაბედულად...

„საზართალს გააჩენენ ასე: თუ ვინმე მოიპარავს, თუნდაც მცირეოდენს, მას ამაზე არტყავენ ჯოხს—შვიდს ან ჩვიდმეტს, ან ოცდაშვიდს, ან ოცდაჩვიდმეტს, ან ორმოცდაშვიდს და ასე შემდეგ, მიღიან სამასშვიდამდე, ზრდიან რა ათ-ათით, იწინდა მიხედვით, თუ რა არის მოპარული. ამ დარტყმებისგან ბევრი კვდება. ვინც მოიპარავს ცხენს, ან სხვა რამეს, მას სიკვდილით სჯიან, ხმლით გაჩეხავენ; ხოლო ვისაც შეუძლია მისცეს გამოსასყიდი, მოპარული ათმაგად, მას არ კლავენ“¹⁶.

III. მონღოლთა პირველი გამოჩენა ამიერკავკასიაში (ჯეზბე და სუზუღაის სარდლობით). ბრძოლა საბამის ველზე მონღოლებსა და ქართველებს შორის

(გრიგოლ აკანელი, გვ. 8,31-36; 9,1-37; 10,1-26)

ამთავრებს რა თხრობას მონღოლთა წარმომავლობასა და ჩინგისის გაყენებაზე, გრიგოლ აკანელი იწყებს მათი ლაშქრობის ამბების გადმოცემას. მოგვეთხრობს მათ შექრახზე წინა აზიაში — ჯერ სპარსეთში, შემდეგ ამიერკავკასიაში, პირველ ბრძოლას ქართველებთან. ასახელებს ბრძოლის ადგილს, ბრძოლის თარიღს, ბრძოლაში მონაწილე ქართველთა ლაშქრის რაოდენობას და ქართველ მხედართმთავრებს. დაწვრილებით აგვიწერს ბრძოლას. გრიგოლ აკანელის გარდა მონღოლთა ამ ლაშქრობაზე ცნობას გვაწვდიან: კირაკოს განძაკელი, ვარდანი, „წვრილი ისტორიკოსები“: ანონიმი სებასტიელი (XIII ს.) და ანონიმი ჟამთააღმწერელი (XIII ს.), ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი, ლაშა გიორგის დროინდელი შემატიანე, იბნ-ალ-ასირი და რაშიდ-ედ-დინი. შევედაროთ ეს ცნობები გრიგოლ აკანელის ცნობას:

¹⁶ მ ა რ კ ე ჲ კ ო ლ ო, გვ. 90—91.

კირაკოს განძაკელი:

„1220 წ. ალბანეთსა და საქართველოში გამოჩნდნენ თათრები. მათ შესახებ ხმა გავრცელდა, თითქოს ისინი ქრისტიანები იყვნენ... შეკრიბეს ჯარი ქართველთა მეფემ ლაშამ და დიდმა მხედართმთავარმა ივანემ და წავიდნენ მათ წინააღმდეგ საომრად. გავიდნენ ველზე, რომელიც ხუნანად იწოდება, რადვან იქ შეხვდნენ ზტრის რაზმს. ეწყვნენ ერთმანეთს და მტრის ნეწინავეები გააქციეს. მაგრამ, რადგან ჩასაფრებული იყვნენ [თათრები], თავს დაესხნენ უკანა მხრიდან და იწყეს ქართველთა ჯარის ხოცვა. შემობრუნდნენ აგრეთვე გაქცეულებიც, აქედან და იქიდან შუაში მოაქციეს და უბედურება დააწიეს ქართველთა ჯარს. გაიქცა [ქართველთა] მეფე და ყველა მთავარი. ზტრებმა შეკრიბეს ნადავლი და წაიღეს თავიანთ ბანაკში.

„კვლავ მეორედ შეკრიბა ქართველთა მეფემ ინაზე ნეტი ჯარი, ვიდრე პირველად და სურდა ბრძოლის გამართვა მტრებისათვის. ხოლო მათ წაიყვანეს ცოლები, შვილები, მთელი ქონება და მოსურვეს გაეცლოთ დარუბანდის კარი და დაბრუნებულ იყვნენ თავიანთ ქვეყანაში. მაგრამ ტაჭიკთა ჯარმა, რომელსაც ეპყრა დარუბანდი, არ მისცა მათ გზა. მაშინ მათ კავკასიის მთის გაუსვლელ ადგილებში ამოაცხეს უჯსკრულები შეშით, ქვით, ქონებითა და საომარი საქურვლით. გაიარეს და მივიდნენ თავიანთ ქვეყანას. მათი მეთაურის სახელი იყო საბადა ბაჰადური“¹.

ვარდან:

„670 [1221] წლის დამდეგს რომელიღაც ჯარი, უცხო სახისა და უცხო ენის, გამოეზურა ჩინისა და მაჩინის ქვეყნიდან: მულალს და თათარს უწოდებდნენ სახელად. მოვიდნენ, შემოვიდნენ გუგარელთა ქვეყანაში, ველზე, ალვანთა მხარეს, 20.000 [კაცი]. გაანადგურეს ყოველივე ცოცხალი, რაც კი ნახეს და სწრაფად უქუიქცნენ. მათ გამოუდგა მთელი ძალით ლაშა, დაეწია მდინარე კოდმანთან და, მათგან დამარცხებულმა, თავს უშველა ივანესთან ერთად, გაქცევით. ივანეს ცხენს [ფეხის] ძარღვი გადაუჭრა რომელიღაც მისგან ნაწყენმა მთავარმა.

„მაგრამ ეპკრამი, უფალი [იმ] ქვეყნისა, დიდი სიმაძაქით მიიწვედა წინ და სასტიკად ჰგმირავდა [მტრებს], ვიდრე გარდამანამდე, არ იცოდა რა სხვების გაქცევა.

„671 [1222] წელს მათ სურდათ კვლავ დაბრუნება, მაგრამ რადგანაც მათმა გამოგზავნილებმა ნახეს სომხები და ქართველები და მიუ-

¹ კირაკოს განძაკელი, გვ. 191—192.

ტანეს ამბავი, ველარ გაბედეს მისულიყვნენ მეორედ და წაყიდნენ, სადაც კი წაესვლებოდათ“².

ანონიმი სებასტიელი, ქამთაალწერა (XIII ს.):

„669 [1220] წელს გამოვიდა თათარი ჩინ-მაჩინიდან და მოვიდა გუგარელთა ქვეყანაში, ველზე, ალვანთა მხარიდან, 20.000 კაცი. შრავალი გაჟლიტეს, მიაღწიეს ტფილისს და სწრაფად უკუიქცნენ. მათ უკან მისდევდა ქართველთა მეფე ლაშა და დიდი მხედართნთავარი ივანე. მიაღწიეს მდინარე კოტნანს³, დაზარცხდნენ მედისაგან და გაიქცნენ.

„შემდეგ კვლავ შემოიქცნენ, შეკრიბეს ჯარი ქართველთა მეფემ ლაშამ და ივანემ თათრებთან საბრძოლველად, ხოლო მათ, მთელი თავიანთი სახლეულით, მოისურვეს დარუბანდის ქარის გავლა და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნება. ტაჰკითა ჯარებმა, რომლებიც დარუბანდში იყვნენ, არ მისცეს მათ გზა. მათ [თათრებმა] გადალახეს კავკასიის მთა, გაიარეს გაუვალი ადგილები და წაყიდნენ. მათი წეთაური იყო საბათა ბაჰადური“⁴.

„671 [1222] წელს მოისურვა თათარმა დაბრუნება ქართველთა და სომეხთა ქვეყანაში და რადგან მომზადებული იყვნენ სომეხთა და ქართველთა ჯარები, ველარ გაბედეს“⁵.

ანონიმი ქამთაალმწერელი (XIII ს.):

„669 [1220] წელს მოვიდნენ პირველი თათრები“⁶.

იზნ-ალ-ასირი:

„... მოვიდნენ ისინი [თათრები] მუქანში და გზად შეუხვიეს გურჯების ქვეყანაში. მათ წინააღმდეგ გამოემართა გურჯების შრავალრიცხოვანი ჯარი — ათი ათასამდე ნებრძოლი და გააჩადეს მათთან ბრძოლა. მაგრამ გურჯები გაიქცნენ და მათი უმრავლესობა დახოცილ იქნა. გურჯებმა გაგზავნეს უზბეკთან აზერბაიჯანის მკლაველთან [შეკრიკი], რომ ეთხოვათ ნისთვის ნშვიდობა და თანხმობა თათრებსზე ერთად გალაშქრებისა. ისინი შერიგდნენ და შეთანხმდნენ შეკრებილიყვნენ ზამთარის გასვლის შემდეგ. გურჯებმა გაგზავნეს [შეკრიკი] აგრეთვე მეფე ალ-აშ-

² ვარდანი, გვ. 186—187.

³ წყაროში წერია კოსმანს — ალბათ შეცდომაა. ნ. შ.

⁴ წერილი ისტორიკოსები, II, 137, სქოლიო.

⁵ წერ. ისტორიკოსები, II, გვ. 137, სქოლიო.

⁶ იქვე, I, გვ. 26.

რათთან, მეფე ალ-ადილის ძესთან, ხლათისა და ჯაზირის მფლობელ-თან, თხოვნით, შეერთებოდა მათ.

„ისინი ფიქრობდნენ რომ თათრები დარჩებოდნენ საზამთროდ, გაზაფხულამდე, მაგრამ ისინი სხვანაირად მოიქცნენ: გაემართნენ გურჯების ქვეყანაში. მათ შეუერთდა თურქთა მამულქი — ერთ-ერთი უზბეკის მამულქთავან, სახელად აქუში. მან შეკრიბა დიდი რაოდენობით მცხოვრებნი იმ მთებისა და უდაბნოსი, თურქმენთა, გურჯთა და სხვათაგან. მან დაიწყო მიწერ-მოწერა თათრებთან, სთავაზობდა მათ გაერთიანებულიყვნენ მასთან. ისინი დასთანხმდნენ და დაიქირეს მისი მსარე, მათი საერთო წარმომავლობის გამო. ისინი [აქუშის ჯარი] შეიკრიბნენ და გამოილაშქრეს თათართა ავანგარდში, გურჯების წინააღმდეგ. მათ ხელთ იგდეს [გურჯების] ერთი განაგებულნი ციხეთაგანი და დანაგრძეს ის; მათ გაძარცვეს ქვეყანა, დააცარიელეს ის, გაჟლიტეს მისი მცხოვრებლები და დაიტაცეს მათი ქონება. როცა ისინი [თათრები] მიუახლოვდნენ ტფილისს, გურჯები შეიკრიბნენ ყველა და კბილებამდე შეიარაღებულებმა გამოილაშქრეს მათ წინააღმდეგ. მათ ჯერ დაუხვდა აქუში თავისიანებით, გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, სადაც ყველა ნეონარმა უჩვენა დიდი სიმტკიცე. აქუშის ჯარიდან მრავალი დასოცეს მაგრამ თათრებმა დროზე მიუსწორეს მათ საწველად. ამასთან გურჯები დაილაღნენ ბრძოლისაგან და მათ მხარეზეც მრავალი იქნა მოკლული. ამის გამო მათ ვერ გაუძლეს თათრებს და უწესრიგოდ გაიქცნენ. თათრები მიეტყვენ მათ ყოველი მხრიდან და ჩხხავდნენ ხმლებით, ისე რომ დახოცეს ურიცხვი რაოდენობა მათგან. ეს ბრძოლა მოხდა ამავე წლის ზუ-ლ-ყადს [1220 წლის დეკემბერს]. დაიტაცეს თათრებმა ქვეყანაში ყველაფერი, რაც კი დარჩათ ადრე დაუტაცებელი?.

„618 წლის სადარს [1221 წლის მარტს] თათრები დაეჯდნენ ქალაქ მარაღას აზერბაიჯანში. საქმე მოხდა შემდგენიარად. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ მოექცნენ თათრები 617 [1220] წელს გურჯებს. ის წელი მათ გაატარეს გურჯების ქვეყანაში. 618 წლის დასაწყისის ისინი წავიდნენ გურჯების ქვეყნიდან, რადგან დაინახეს, რომ მათ ჰქონდათ დიდი ძალა და ვიწრო ხეობები, რამდენადაც დასაუფლებლად. საჭირო იყო ბრძოლები, ამიტომ ისინი წავიდნენ მათგან...

„ამრიგად, ისინი მივიდნენ თაერიზამდე, რომლის მფლობელმა დააკმაყოფილა ისინი ფულით, სამოსლით და პირუტყვით. ამიტომ მათ მიატოვეს ის და წავიდნენ ქალაქ მარაღაზე, რომელიც გარემოიცვს.

ქალაქში არ იყო მისი მფლობელი, რომელიც დაიცავდა მას, რადგან ის იყო ქალი, და ცხოვრობდა ციხე რევენლუზში...“

„მოათავეს რა საქმე მუსლიმანურ ქვეყნებთან აზერბაიჯანსა და არანში, ზოგან დაპყრობით და ზოგან მშვიდობიანად, თათრები გაემართნენ გურჯების ქვეყანაში, რომელიც იმავე ნხარეკი მდებარეობს. გურჯები მოეწაინდნენ რომ სათანადოდ დახვედროდნენ მათ. მათ გაგზავნეს მრავალრიცხოვანი ჯარი თავისი ქვეყნის საზღვრებზე, რომ არ შეეშვათ იქ თათრები. მაგრამ როცა თათრები მივიდნენ და შეებრძოდნენ მათ. გურჯებმა ვერ გაუძლეს და გაიქცნენ, ხოლო მათ აამუშავეს მახვილები და არაფერს გადაარჩა მათგან [გურჯთაგან], იმათ გარდა, ვინც მოასწრო გაქცევა. ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ მოკლულთა რიცხვმა მათ შორის ნიაღწია ოცდაათ ათასს. თათრებმა დაიტაცეს მათ ქვეყანაში ყველაფერი, რაც კი იპოვეს. დააცარიელეს ის და მოექცნენ ისე, როგორც მათი ჩვეულებია.“

„როცა გაქცეულები მივიდნენ თბილისამდე, სადაც ცხოვრობს მათი მეფე, მან შეკრიბა ახალი ჯარი და გაგზავნა ის კვლავ თათართა წინააღმდეგ, რომ არ მიეტოვებინათ საშუალება ქვეყნის სიღრმეში შეჭრისა. მაგრამ როცა დაინახეს, რომ თათრები უკვე წმევიდნენ [მათ] ქვეყანაში და ამაში მათ ხელი ვერ შეუშალა ვერც მთებმა, ვერც ხეობებმა და ვერც სხვა რამემ, ისინი [ქართველთა ჯარები] დაბრუნდნენ ტფილისში და მიიტოვეს ქვეყანა, ხოლო თათრებმა მოიმოქმედეს მასში, რაც სურდათ: ძარცვავდნენ, კლავდნენ და ანგრევდნენ. მაგრამ, ნახეს რა, რომ ქვეყანაში მრავალი ხეობები და ვიწროებია, მათ ვერ გაბედეს მასში ღრმად შეჭრა და წავიდნენ იქიდან.“

„გურჯების ქვეყნიდან დაბრუნების შემდეგ თათრები გაემართნენ შირვანის დარუბანდისკენ, გარემოიცივეს ქალაქი შემახა და შეებრძოდნენ მის მცხოვრებლებს...“

„მოათავეს რა საქმე ქალაქთან, მათ განიზრახეს გადაელოთ დარუბანდი, მაგრამ ვერ შეიძლეს ეს. მაშინ გაგზავნეს შირვანშაჰთან — დარუბანდ-შირვანის მეფესთან — [მოციქული] და შეუთვალეს, რომ მას გამოეგზავნა მათთან ელჩი, ზავის დასადგებად, მან გამოეგზავნა ათი კაცი თავის წარჩინებულთაგან... ისინი [თათრები] წავიდნენ მათთან ერთად იმ გზაზე, გადაიარეს ის [დარუბანდი] და მოიტოვეს უკან“⁹.

⁸ ი ბ ნ - ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 139.

⁹ ი ქ ვ ე, გვ. 140—142.

რა შიღ - ეღ - დინი:

„დასახელებული დრაკონის წლის [1220] შემოდგომის ბოლოს ჩინგის ხანი, მრავალრიცხოვანი ჯარით მოვიდა ქალაქ ოტრარშიღე მისი სამეფო კარავი [ბარგანი] გაშალეს ციხის [ხინარის] პირდაპირ როგორც ითქვა, სულტანმა მისცა ქაირ ხანს დიდი ჯარი და გაუგზავნა მას შემწედ თავისი ჰირადი ხაჯები ყარაჩა ხანი ათი ათასი ცხენოსნით. ქალაქის ციხე და გალავანი, რაც შეიძლება, უკეთ განმავრცეს და თავი მოუყარეს იქ მთელ სანხედრო საჭურველს.

„ჩინგის ხანმა უბრძანა ჩალათას და უგედეს, რამდენიმე თუმანი ჯარით გარემოცვათ ქალაქი, მან ინება, განეწყესებინა ჯუჩისთვის წასვლა ჯენდსა და იანგიკენტზე რამდენიმე რაზმით, ხოლო ამირათა ჯგუფისთვის — ხოჯენდისა და ბენაკეტის მხარეს. ამგვარადვე მან დანიშნა ყოველ მხრივ ჯარები, თვით კი, თულუ ხანთან ერთად, წავიდა ბუხარაზე.

„ოტრარში ორივე მხარე იბრძოდა 5 თვე. ბოლოს, ოტრარის მოსახლეობა მოექცა გამოუვალ მდგომარეობაში და ყარაჩა [ხანი] დათანხმდა დამირჩილებოდა მონღოლებს და ჩაებარებინა ქალაქი.

„შემდეგ აიღეს ქალაქი, გამორეკეს ქალაქიდან, როგორც ცხერის ფარა, ყველა ხალხი და ყველავერი, რაც კი იპოვეს, დაიტაცეს...“¹⁰.

„როცა ისინი მოვიდნენ თავრიზს, იქაური მმართველი [ჰაქიმი] იყო უზბეკი, ძე ჯესან პეხლევანისა. ის დაიშალა, გაგზავნა [მონღოლებთან] კაცი თხოვნით ზავის დადებაზე და გამოგზავნა ბევრი ფული და პირუტყვი. [მონღოლებმა] დადევს ზავი, დაბრუნდნენ უკან და გაემართნენ არანს, რომ გაეტარებინათ იქ ზამთარი. მათი გზა იყო გურჯისტანზე. ათი ათასი გურჯის კაცი გამოემართა [მონღოლთა] შესახვედრად და გაუმართეს ბრძოლა. გურჯებმა განიცადეს მარცხი და უმრავლესობა [მათგან] დახოცილ იქნა. იმის გამო რომ [მონღოლებმა] ნახეს გურჯისტანში ტყიანი გზები და ძნელად გასავალი ადგილები, ისინი დაბრუნდნენ უკან და აპირებდნენ მერალაში წასვლას...

„შემდეგ ისინი თავს დაესხნენ განძას, ყველაზე დიდ ქალაქს არანში, აიღეს ის და მთლიანად დაანგრიეს. აქედან ისინი გაემართნენ გურჯისტანს, ხოლო მათ მოიყვანეს ჯარი [საბრძოლო] წესრიგში და მოემზადნენ საბრძოლველად. როცა ისინი შეხედნენ ერთმანეთს, ჯებე ხუთი ათასი კაცით ჩაჯდა [სადარში] ერთ დაფარულ ადგილს, ხოლო სუბედაჰ ჯარით წავიდა წინ. ბრძოლის დასაწყისშივე მონღოლები გაიქცნენ; გურჯებმა დაუწყეს მათ დევნა, ჯებე გამოვიდა საფარისგან;

¹⁰ რაშიღ-ეღ-დინი, I, გვ. 192—199.

ისინი მოაქციეს შუაში [ორივე მონლოლთა რაზმმა: უკანდახეულმა და საფარიდან თავდაშხმელმა] და ერთბაშად გაჟლიტეს ოცდაათი ათასი გურჯი. იქიდან ისინი [მონლოლები] გაემართნენ შირვანის დარუბანდისაკენ, გზაზე მათ ალყის შედეგად აიღეს ქალაქი შემახა, მოახდინეს იქ საყოველთაო ღლეტა და წაიყვანეს მრავალი ტყვე. რადგან დარუბანდზე გასვლა შეუძლებელი იყო, მათ შეუთვალეს შირვანშაჰს: „გამოგვიგზავნე რამდენიმე კაცი, რომ დაგვიღოთ ზავი!“ მან გამოგზავნა ათი კაცი თავისი ხალხის წარჩინებულთაგან. [ერთი] მათგანი [მონლოლებმა] მოკლეს, ხოლო სხვებს უთხრეს: „თუ თქვენ გვიჩვენებთ ჩვენ გზას დარუბანდზე გასასვლელს, დაგინდობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენც დაგზოცავთ!“ მათ, თავის სიცოცხლეზე შიშის გამო, უჩვენეს გზა და მათ გადაიარეს“¹¹.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე:

„და შემოვიდეს უცხოთესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა.

„შემდგომ მოხედვითა ღმრთისათა და ლმობიერ-ქცევითა ზეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყუდნეს გაქცეულნი.

„მეორესა წელიწადსა კულაცა მომართეს და დადგეს ბარდავის ქალასა. შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა-გორსა და აგარათა შუა და ვიდრე ზედამისლვადმდე გაექცნეს და გარდაიხუეწნეს, განვლეს დარუბანდისა გზა“¹².

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„ხოლო ამა ჩინგიზ-ყაენსა ცოლნიცა მრავალნი ესხნეს და შვილნიცა. და უხუცესის ცოლის სეგინჯისაგან ესუა შვილი, რინელსა ერქუა თუბის, რომელსა ქართველნი ჟოჩიდ უწოდდეს; მეორე ჩაღათა, მესამე ოქროდა, მეოთხე თული. ესე ოთხნი ყაენად განაჩინნა ხატაეთს მყოფმან. უხუცესსა შვილსა თუბის[ს] მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარაველინა დიდსა საყვიჩაყეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და ესე ყოველი ამას მისცა, ხოლო ამათ სხუათა უკანასკნელ ვაჟსენოთ.

„ხოლო ესე რა ცნა მალალმან და ყოველთა კელმწიფეთა უდიდესმან ხუარაზმშა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმტკოვნებულ იყო

¹¹ რა შ ი დ-ე დ-ი ნ ი, I, გვ. 228—229.

¹² ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება. I, 1955 წ., გვ. 370.

და შეილისა თვისისა ჯალალდინისადა ჳელთ ედვა სულტრობა და ქუეყანანი, რომელნი მას ეპყრა ჯეონს აქეთ, ხუარასნისა და ერანისა, ცნა რა მოახლებდა თათართა, მოუწოდა სპათა მისთა ვითარ ექუსასი ათასთა კაცთა, და წარემართა ჩინგიზ-ყაენსა ზედა.

„ხოლო იგი ხუარაზმშას წინა დაემხზა. იქნა ძლიერი და ფიცხელი ომი, რომელ ორგინთვე მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ, და იძლიენეს ხუარაზმელები.

„ხოლო ბერი ხუარაზმშა დაშთა რაზმთა შინა მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარეშოდგეს მას. ცნა ესე შეილმან მისმან სულტანმან ჯალალდინ, რომელი იყო კაცი მკნე და ქველი; შენმართებელი, უშიში ვითარ უჯორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო. მივიდა მცირედითა კაცითა შეველად მამისა, და მყის წარიყვანა ზამა თვისი და იელტოდეს ხუარასნად.

„ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი ჯალალდინ მრავალჯერ, რამეთუ სამჯერ ჯეონს იქით შეება და ოთხჯერ ხუარასანს, ჯეონს აქეთ. ხოლო ვინათგან ღმერთსა ცოდვათა ჩუენთათჳს მიეცა ყოველი ქუეყანა, და იძლია სრულიად და იელტოდა. ცნა რა სიგლტოლა ამისი და სიძაგრეთა შინა შეველტოლა ჩინგიზ ყაენმან, წარმოივლინა ორნი თავადნი ზემოხსენებულნი, იამა და სალაიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯეობით უწოდიან, რათა მოელონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაყისა, სადამდის ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა. ხოლო ესენი წარმოვიდეს ათორმეტითა ათასითა მკედრითა, თჳნიერ საჭურველისა და საზრდელისა ქანებისა, არამედ მშულდი ოდენ, უჭრალიად.

„განელეს თურანი, ჯეონი, ხუარასანი, ერაყი, აღარბადაგანი და მოიწივნეს განძას. და ვერაეინ წინააღუდგა; აუ ვინ სადა განიჩნდის, ყოველთა სძლიან. და მოიწივნეს საზღვართა საქართველთსათა, იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა. ცნა ესე ვარამ გაველმან და ივანე ათაბაგმან, და აცნობეს მეფესა ლაშას უცხოთა ნათესაისა მოსლვა, უცხოთა ვნითა, ოჯრებად საჩხითისა. ხოლო მეფემან მოუწოდა სპათა თვისთა, იმერთა და აშერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი მკედარი. და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბილოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, წაქარიას ძე ამირსპასალარისა, შანშე, და ვარამ გაველი მსახურთ-უხუცესი მოერთნეს დიდითა ლაშქრითა, და წარემართნეს.

„ხოლო ივინი, დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგომად წოდებულსა, მყის ამკედრდეს და ეწყვნეს ურთიერთას. და იქმნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი იელტოდეს თათარნი, და ნახევართა მზირი ეყო, და უკანით მოუტდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდამო

უსჯულოებათა-და ცოდვათა ჩუენთათჳს, და იელტოდეს ქართველნი და სჳანი და თჳთ მეფე ლაშა, და ურიცხჳ სული ქრისტეანე მოკუდა, სა-და-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ცოცხალი განერა და მეპურქლეთ-უხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი. და აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათჳს უსჯუ-ლოებათა ჩუენთასა, და იქმნა უკუქვევა სუე-სჳანისა ბედისა, მაღლისა და საინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა, რამეთუ ვინათ-გან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯუება-აქა ჟამამდე სჳანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგას-ლიანი გამარჯვებელი არასადა ძლეულ იყო. ხოლო აქა, ვითარ იქმნა, ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათარ-თა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩუენთა.

რცრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი იგი და სახე-ლოვანნი, რომელნი სულთქმითა და მწუხარებითა შეიცვალუბოდეს. რამეთუ ვინათგან ჩუენ შევაწუხებთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, იგ-რეთვე ღმერთმან აღაესო გული ჩუენი მწუხარებითა და წინაშე მტერ-თა ჩუენთა სირცხვლეულ გვეო.

ხოლო თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშუღდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნენს საკრველნი ესე საქმენი: წარვიდეს გზასა და-რუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა დარუ-ბენდელნი, განელეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელ-თა ბრძოლა აჰვიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი, და ყოველგან თათარნი მძლე ექმნენს, და წარვიდეს ესრეთ ომითა; ხოლო ვითარცა მითქუამს, უსაქურველონი და უქედელითა ცხენითა ესეოდენ გზათა მავალნი, განელეს ყივჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გა-რე, და მიიწივნეს ჯელმწიფესა მათსა ჩინგიზ-ყანეს წინაშე ყარაყუ-რუმს; და ქმნეს საკრველი ესე საქმე, მოუსუენებელად სღვა ამა ყო-ველთა გზათა უქედელითა ცხენითა, ყარაყურუმით წარმოსრულნი მუნ-ვე მიიწივნეს¹³.

აღნიშნული წყაროების ერთმანეთთან შეჯერებით ირკვევა შემ-დეგი:

1. ჩინგიზ-ყანის მიერ ჯებე და სუბუდაჲს სარდლობით გამოგზავ-ნილ მონღოლთა ლაშქარსა და ქართველებს შორის მთავარი ბრძოლა მომხდარა მდ. საგიმის ველზე (გრიგოლ აკანელი, ჟამთააღმწერელი), იგივე მდ. კოდმანის (ვარ. კოტმანის) ველზე (გრიგოლ აკანელი, ვარ-

¹³ ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163—165.

დანი, ანონიმი სებასტიელი), იგივე მდ. ბერდუჯის ველზე (ქამთაალმწერელი), იგივე ხუნანის ველზე (კირაკოს განძაკელი). ე. ი. გამოდის რომ ბერდუჯი, საგიმი და კოდმანი ერთი და იგივე მდინარის სახელები ყოფილა, შესაძლოა სხვადასხვა დროს, როგორც ამას ქამთაალმწერელიც შენიშნავს („... წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწსაგიმად წოდებულსა“)¹⁴. როგორც ჩანს, აქვე ახლოს ყოფილა ხუნანი, რის გამოც, ამ ველს ხუნანის ველსაც უწოდებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართველთა ჯარი ბრძოლის წინ მისულა გაგში, ვარამ გაგელთან (გრიგოლ აკანელი), რადგან მონღოლები შესევან სწორედ „ქუეყანასა გაგისასა“—სომხითს. ამ დროს ისინი მდგარან სწორედ „გაგის ბოლოს“ და დაბანაკებული ყოფილან „წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა“ (ქამთაალმწერელი).

2. ეს ბრძოლა მომხდარა 1220, ან 1221 წელს (კირაკოს განძაკელი, ანონიმი სებასტიელი, ანონიმი ქამთაალმწერელი, იბნ-ალ-ასირი, რაშიდ-ედ-დინი, ვარდანი) და არა 1214 წელს, როგორც ამას გრიგოლ აკანელი გვამცნობს.

3. მცდარია აგრეთვე გრიგოლ აკანელის ცნობა, ვითომც ეს ბრძოლა რუსუდანის მეფობაში მომხდარიყოს. საქართველოს მეფე ამ დროს ლაშა გიორგი ყოფილა, რომელიც წასტოლოდა ქართველთა ჯარს მონღოლთა წინააღმდეგ (ვარდანი, კირაკოს განძაკელი, ანონიმი სებასტიელი, ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე, ქამთაალმწერელი).

4. ქართველთა მარცხენა ფრთას სარდლობდა ივანე ათაბაგი, ხოლო მარჯვენას — ვარამ გაგელი (გრიგოლ აკანელი). ივანე ათაბაგი დამარცხებულია, ხოლო ვარამ გაგელს გაუმარჯვნია და სალამომდე უდევნია მტერი ვიდრე გარდმანამდე, შემდეგ დაბრუნებულია თავის ციხესიმაგრე ქარჭერში (გრიგოლ აკანელი, ვარდანი).

5. ქართველთა დასამარცხებლად მონღოლებს ამ ბრძოლაში გამოუყენებიათ თავიანთი სამხედრო ხერხი: ჯარის ნაწილი გაქცეულა, ხოლო მეორე ნაწილი ზურგში მოქცეეია ქართველებს, რის შემდეგ გაქცეულებიც შემობრუნებულან (კირაკოს განძაკელი, რაშიდ-ედ-დინი, ქამთაალმწერელი).

ეს სამხედრო ხერხი, მონღოლთა მიერ არა ერთხელ ყოფილა გამოყენებული იმ შემთხვევაში, როცა ისინი დამარცხების საფრთხის წინაშე იდგნენ. ამაზე ცნობას გვაწოდის პლანო კარპინი:

„თუ დაინახეს [თათრებმა], რომ მათი [მტრების] დამარცხება შეუ-

¹⁴ ვახუშტი აღნიშნავს ამ მდინარის 3 სახელს: ბერდუჯს, საგიმს და დებეჯას (იხ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ. გვ. 342).

ქლებელია, თავისიანებისაკენ იხევენ; ამას მოსატყუებლად შერებიან, რათა მტერი მათ გამოუდგეს და მათ მიერ მოწყობილ საფარში მოხვდეს, სადაც ისინი მას კოდავენ და ჰკლავენ...

„ხანდახან გაქცეული თათრები იძანტებიან და ფართოვდებიან, რათა მტერს ვა დაუთმონ რაზმებს შორის, ხოლო შემდეგ სტეენისა და ძახილის ხმაზე სწრაფად ერთდებიან, მტერს გარს ერტყმიან და ანადგურებენ...“¹⁵.

ნ. ბრძოლის დროს ერთ-ერთ ქართველ მთავარს, პირადი მტრობის გამო, ფეხის ძარღვები გადაუჭრია ივანე ათაბაგის ცხენისათვის (გრიგოლ აკანელი, ვარდანი). გრიგოლ აკანელის ცნობით ეს ქართველი მანასაგომის უფალი ყოფილა, სახელად ჰამიდოლა. ჰამიდოლა უნდა იყოს დამახინჯებული საჰმადაველა, ანუ სამადაველა. ასეთი სახელწოდების პირი მოხსენებულია 1260 წლის რკონის დაწერილში, როგორც კახა თორელის ნათესავი.

წყაროთა ერთმანეთთან მიმართების თვალსაზრისით ამ ადგილის მიხედვით ჩანს შემდეგი:

1. ანონიმი სებასტიელის ცნობა გადმოწერილია ვარდანისა და კირაკოს განძაკელის თხზულებებიდან: პირველი და შესამე აბზაცი თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ვარდანს, ხოლო მეორე აბზაცი — კირაკოს განძაკელს.

2. გრიგოლ აკანელს აქვს რამდენიმე ნიშანდობლივი დამთხვევა ვარდანთან: ა) გრიგოლ აკანელი თბრობის დასაწყისში ბრძოლის ადგილად ასახელებს კოდმანის ველს, ვარდანი მდ. კოტმანს. სხვა წყაროები ამ ადგილს არ ახსენებენ (ცოტა ქვემოთ, გრიგოლ აკანელი ამ ადგილს, ისევე როგორც ჟამთააღმწერელი, უწოდებს საგიმის ველს). ბ) ორივე ისტორიკოსი გვამცნობს ივანე ათაბაგისთვის მისდამი მტრულად განწყობილი მთავრის მიერ ცხენის დაჭრის ეპიზოდს. სხვა წყაროებში ეს ცნობა არ მოიპოვება. გრიგოლ აკანელის ცნობა უფრო დაწვრილებითაა: აღნიშნულია ამ მთავრის სახელი და სამფლობელო. გ) ორივე ისტორიკოსი აღნიშნავს ვარამ გაგელის მიერ მონღოლთა დამარცხებას და ქართველთა სხვა ჯარების შემუსრვას. არც ერთი სხვა წყარო ამ ფაქტს არ ასახელებს. გრიგოლ აკანელი აქაც უფრო ვრცელ ცნობას გვაწვდის: რომ ქართველთა ჯარი მივიდა გაგს ვარამ გაგელთან (ამ ცნობას ადასტურებს ჟამთააღმწერელიც), რომ ქართველთა ჯარის მარჯვენა ფრთას სარდლობდა ვარამი, ხოლო მარცხენას — ივანე ათაბაგი და

¹⁵ პლანო კარპინი, გვ. 33—34.

რომ ბრძოლის შემდეგ ვარამი დაბრუნდა თავის ციხე-სიმაგრე ქარ-ჭერში.

ამ ცნობას მხარს უჭერს რამდენადმე ჟამთააღმწერელის ცნობა, რომ: მეფეს მონღოლთა მოსვლა აცნობეს ვარამ გაგელმა და ივანე ათაბაგმა, რომ მონღოლები იდგნენ გაგის ბოლოს, რომ მეფეს „მოერთ-ნეს დიდითა ლაშქრითა“ ივანე ათაბაგი, შანწე მხარგრძელი და ვარამ გაგელი. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ ჟამთააღმწერელი აღნიშნავს ივანე ათაბაგისა და სამცხის სპასალარის გაქცევას და ბექა ჯაყელის სიკვდილს, ხოლო ვარამზე არაფერს ამბობს. ეტყობა, მას ვარამი გაქ-ცეულთა შორის არ ეგულებოდა.

ვარდანისა და გრიგოლ აკანელის ცნობების ეს ნიშანდობლივი დამთხვევები ორნაირად შეიძლება აიხსნას: 1) გრიგოლ აკანელი ემყარება ვარდანის, ან მისი წყაროს ცნობებს. პირუქუ მოვლენა (ე. ი. ვარდანის მიერ გრიგოლ აკანელის გამოყენება წყაროდ) გამოორიციხუ-ლია, რადგან გრიგოლ აკანელის ისტორიის წერის დროს ვარდანი უკ-ვე გარდაცვლილი იყო. 2) გრიგოლ აკანელმა და ვარდანმა, როგორც თვითმხილველებმა, ერთნაირად ვადმოგვეცეს ამბები.

3. ჩანს, რომ რაშიდ-ედ-დინი იცნობს იზნ-ალ-ასირს, ან მის წყაროს (დარუბანდზე თათართა ვავლა შირვანშაჰის მიერ წარგზავნილ ელჩთა მეშვეობით). რაშიდ-ედ-დინს, კირაკოს განძაკელსა და ჟამთააღ-მწერელს აქეთ ერთნაირი ცნობა მონღოლთა მიერ საგიმის ველზე ხმა-რებული სამხედრო ხერხის შესახებ.

IV. მონღოლთა მიერ ალვანთა და ქართველთა კვეთების დაპყრობა. მონღოლთა ნოინები

(გრიგოლ აკანელი. გვ. 10,27-38; 11.26-38; 12,1-37; 16,1-32).

საგიმის ბრძოლიდან 3 წლის შემდეგ, გრიგოლ აკანელის ცნობით, მონღოლებმა აიღეს და დაარბიეს განძა, რის შემდეგაც დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. შემდეგ, ყაენის ბრძანებით, მონღოლები კვლავ შემოესიენ ამიერკავკასიას და დაიპყრეს ქართველთა და ალვანთა ქვე-ყნები. გრიგოლ აკანელი ასაბუთებს მონღოლთა მხედართმთავრებს და ჩამოთვლის მათ მიერ აღებულ საქართველოს სასაზღვრო ციხე-ქა-ლაქებს.

ამ საკითხზე, გარდა გრიგოლ აკანელისა, ცნობებს გვაწვდიან: ვარ-დანი, კირაკოს განძაკელი, სტეფანოს ორბელიანი, „წერილი“ სომეხი ისტორიკოსები: ანონიმი სებასტიელი (XIII ს.), ანონიმი ჟამთააღმწე-

რელი, სტეფანოს ებისკოპოსი (XIII ს.) და კირაკოს რშტუნი (XV ს.), აგრეთვე ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი.

მოვიყვანოთ ეს ცნობები:

კირაკოს განძაკელი:

„მოულოდნელად მიაღწია თათართა ჯარმა და ალყა შემოარტყა ქალაქ [განძაკს] ყოველი ნაზიდან. დაიწყეს ბრძოლა მრავალი მანქანებით და მოსპეს ცეცხლები ქალაქის გარშემო. შემდეგ დაატყვეს ფელაქანებით ქალაქის გალავანი, ყოველ მხარეს. მაგრამ მტერთაგან არავინ შევიდა ქალაქში, არამედ იარაღშეპურვილებმა დაიცვეს ის ერთი კვირა.

„ხოლო ქალაქის მცხოვრებლებმა, როცა იხილეს, რომ ქალაქი აღებულა მტრისაგან, ზოგმა თავის თავი [თვით] დაიწვა თავის სახლთან ერთად, რომ არ ჩაეარდნოდა ხელში მტრებს. სხვებმა დაწვეს ცეცხლი ყოველივე, რაც კი დაიწვოდა და ხოლოდ თვით დარჩნენ. ეს რომ იხილეს მტრებმა, უფრო ნეტად განრისხდნენ და ყველა მცხოვრები მახვილით მოსრეს: კაცები, ქალები და ბავშვები...

„ასე უკაცრიელი იყო ქალაქი ოთხი წელი. შემდეგ ბრძანება გასცეს [თათრებმა] ქალაქის აშენებისათვის, მოვიდნენ და შეკრბენ მცხოვრებლები ცოტ-ცოტად და იწყეს შენება, გარდა გალავნისა“¹.

„ერთმა ვინმე უფროსთაგანმა, რომლის სახელი იყო მოლარ ნოინი და რომელსაც წილად ხედა ეს ქვეყნები, ვიდრე დაიძვრებოდნენ მათი ადგილიდან, სადაც დამკვიდრებული იყვნენ, ველზე, რომელსაც ჰქვიან მულანი, გაგზავნა ცოტა ჯარი — ასამდე კაცი, რომლებიც მივიდნენ და დადგნენ ქალაქ შამქორის კარებთან და აკავებდნენ შემსვლელსა და გამომსვლელს, ხოლო იმეამად იყო ვაჰრამისა და მისი შვილის აღბუღას მთავრობის ქვეშ ქალაქი, რომელიც წაართვეს ადრე სპარსელებს.

„გაგზავნეს ქალაქ შამქორის მცხოვრებლებმა ვაჰრამთან და იმის შეილთან [მოციქული], რათა დახმარებოდნენ, შეუთვალეს. რომ ცოტანი არიანო [მტრები]. ხოლო ის [ვაჰრამი] არ დაეხმარა და შეილსაც, რომელმაც მოისურვა წასვლა, დაუშალა, ეუბნებოდა, რომ ბევრი არიან [მტრებიო]. ასევე მოქალაქეებსაც არ უბრძანა მათთან ბრძოლა“².

„... აიღეს ის [შამქორი], მოსრეს მახვილით ყველა, დაწვეს მისი ნაგებობები და წაიღეს, რაც კი იპოვეს მასში. შემდეგ შეუტყვეს სხვა

¹ კირაკოს განძაკელი, გვ. 222—224.

² იქვე, გვ. 228.

ციხეებს, რომლებიც ვაჭარმის მთავრობის ქვეშ იყო: ტერუნაკანს, ერგევანქს, მაწანაბრდს [რომელიც ჰქონდა კვირიკე ბაგრატიუნს — აღსართანის ძეს]. გარდნანს, ხოლო სხვა მხარეებს: ჩარექსა და ვეჭაბაქს გაეწარათა სხვა ვინმე მეთაური, რომელსაც ერქვა დატაღან ნოინი. ხოლო ვაჭარმი, რომელიც იყო იმეაზაღ გარდნანს, მუხალ გაიქცა დაჲ, სადაც კი შეეძლო თავის დაღწევა.

„ხოლო ისინი, რომლებმაც აიღეს შანქორი, წავიდნენ მთელი თავისი ქონებით ტაეუშს, კაწარეას, ნორბერდს, ვაგსა და სხვა [ციხეებისაკენ], რომლებიც მათ გარემო იყვნენ, შგაბრეცს და გარემო იტყეს ისინი“³.

„წარმართთა რაზმის მხედართმთავარს, რომლის სახელი იყო მალათა, ესმა ქალაქ ლორეს სიმაგრისა და განძის სიმრავლის შესახებ. ნახში იყო ხალხი შაჰანაჰ მთავრისა და მისი განძი. თან წაიყვანა რამდენი ნომორები მრავალი მანქანებითა და ყოველგვარი აკანწულადიო, მივიდა იქ, მოადგა და გარემოიცვა ის. ხოლო შაჰანაჰ მთავარსა წაიყვანა თავისი ცოლი და შვილები, მალულად გავიდა იქვე ხეობაში და განაგრდა გამოქვაბულში. ქალაქის ზედანდგომლობა კი მიანდო თავის სიმაგრებს. მაგრამ, რადგან ისინი იყვნენ ქალაჩუნა კაცები, ქაზას, სხასა და ლოთობას მიეცნენ, იმედი ჰქონდათ გალაენის სიმაგრისა და ამა ღმრთობას...“⁴.

„... მტერი შევიდა ქალაქში და დაუზოგავად დახოცა კაცები: ქალები და ბავშვები...“⁵.

„... ასე მოექცნენ აგროეთეე სხვა ქალაქებსაც: დმანისს, სანშვილდესა და დედაქალაქ ტფილისს...“⁶.

აიღეს აგროეთეე: ანისი (შაჰანაჰისა)⁷ და კარი⁸.

„გამოჩენილი მეთაურები, რომლებიც მოწინავენი იყვნენ, ესენია: უპირველესი, დიდი და თავი, რომელიც მბრძანებელი იყო ჯარებისა — ჩორმადან ნოინი, კაცი მოსამართლე და მსაჯული; მისი მოადგილეები იყვნენ: ისრარ ნოინი, ასუთუ ნოინი⁹, ტუთუ ნოინი და მალათა, რომელიც ჯარის სარდალი იყო და რომელიც მოკლეს მუჭლიღებმა. სხვა მრავალი მეთაურები იყნენ და ურიცხვი ჯარი...“¹⁰.

³ კირაკოს განძაკელი, გვ. 229.

⁴ იქვე, გვ. 239—240.

⁵ იქვე, გვ. 240.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 244—246.

⁸ იქვე, გვ. 246—248.

⁹ გრიგოლ აკანელთან — ხუთთუ.

¹⁰ კირაკოს განძაკელი, გვ. 261.

ვარდანი:

„ხოლო თათრად წოდებულს, რომელიც მივიდა ცოტა ადრე — 669 (1220) წელს, სურდა დაბრუნება 671 (1222) წელს, მაგრამ ვერ გაბედა. შეიერთეს უთვალავი სიმრავლე, წინამძღოლად ჰყავდათ ჩარმალანი, რომელიც მხედართმთავრად იწოდებოდა, წავიდა განძაქ შაჰასტანზე 684 (1235) წელს. გარემოიკვა ის რამდენიმე დღე, სანამ არ აილო, დახოცა დაუზოგავად (მცხოვრებლები), გარდა ჩვილი ბავშვებისა და ქალებისა, რომლებიც მოსწონდათ.

„ამ დროიდან ძალა მოიღეს, შევიდნენ ქართველთა სამეფოში, დანაწილეს კუთხეთა სახელოვანი ადგილები და დიდებულ მთავართა გამაგრებული ციხეები მათ, რომლებსაც ნოინებს უწოდებდნენ. ისინი წაყიდნენ ზათთვის წილხდომილ მხარეთა ციხეებში, რომლებიც მყის მიეცნენ მათ ხელს სასჯელად, ჩვენს უზომო ცოდვათა გამო.

„ჩალათა ნოინმა აილო ქალაქი ლორე და კუთხეები მის მხარეს, დულადა ნოინმა — კაენის უმაგრესი ციხე, საიდანაც მოიყვანეს ავაგი, მფლობელი [ამ] ქვეყნისა; დიდმა ჩარმალანმა — ანისი და კარი და მათი მახლობელი ადგილები; ლატალან ნოინმა — ოთხი მხარე გეტაპაჰისა და ვარდანაშატისა; ხოლო მოლარ ნოინმა — დიდი მთავრის ვაჰრამის მხარეთა ციხეები, პირველად აილო მოხერხებულობით შამქორი“¹¹.

„მონღოლებმა ხელთ იგდეს აგრეთვე ვარამ გაგელის სხვა ციხეებიც, რომლებიც ისევ მას დაუბრუნეს მისი დამორჩილების შემდეგ: ტაეუში, კაწარეთი, ტერუნკანი, ერგევანქი, მაწნაბერდი, რომელიც იყო აღსართანისა — კვირიკეანთა სამეფო გვარიდან, ნორბერდი რომელიც იყო ვასაქ მეფისა, ქავაზინი — უძლეველი სიმაგრე, სახელოვანი ციხე ავაგი და [მისი] მხარე, აწენებული ავაიკ მეფის მიერ, სადაც იყო წმინდა და სახელგანთქმული მონასტერი, გამოჩენილი მთელ ქვეყანაში ჯვარი და ეკლესია, შემკული და ნაკურთხი წმინდა მესროპის, სომეხთა მოძღვრისა და მთარგმნელის მიერ, რომელიც (ეს ეკლესია) დგას ავაგის თავს და გაჰყურებს ფართოსა და გრძელ ველს....

„... ყველაფერი ეს მათ ხელში გადავიდა მოკლე ხანში, შრომისა და გარჯის გარეშე“¹².

სტეფანოს ორბელიანი.

„აი, ისინი [თათრები] გაიყვნენ სამ წინამძღოლად:

„პირველი მათგანი წავიდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხაზართა,

¹¹ ვარდანი, გვ. 189—190.

¹² იქვე, გვ. 190.

სუტალთა, რუსთა, ჩერქეზთა და ბულღართა ქვეყნებში. ისინი გაბატონდნენ საზღვრებამდე ალამანისა და ონკართა [ჰუნგართა], რომლე. ბიკ არიან ფრანგები. მათი მეთაურის სახელი იყო ბათუ ყაენი.

„ხოლო სხვა ნაწილი წავიდა ინდოეთისაკენ. ისინი გაბატონდნენ ინდოელთა დიდ ნაწილზე და დაიმორჩილეს უღურები, უგუზები, ხორაზმელები, დელემიკები, აილეს ალამალები, ბეშპალები და ყველა იქაური მხარე. მათი მეთაური იყო ოქოთა ყაენი.

„ხოლო სხვა ნაწილი მოვიდა შუაქვეყანაში, გადალახა დიდი მდინარე ჯაჰანი და წყალი, რომელსაც თვითონ ამუ-მორანს უწოდებენ.

„ბობოქრობით, ქარიშხალივით მოაღწიეს ჩვენს ქვეყანას. საზოგადოდ გაბატონდნენ და დაიმორჩილეს მთელი სამყარო, გასთელეს და დაანგრიეს ყველა სამეფო, აილეს ხორასანი და დაანგრიეს მისი მთავარი ქალაქები: ბალხი, ჰრე, მავრი, ნიშაეური, ტუსი, დამლანი. აილეს ხუქასტანი, ლორასტანი, სპარსეთი, ქურდისტანი, არაბისტანი აილეს დიარბაქი, რომელიცაა ასურესტანი, შუშტარი, კირმანი, ბაღდადი, ბასრა, ვიდრე ჰორმუზ ქალაქამდე და ინდოთა ზღვამდე. აილეს ატრბატაკანი, არანი, სომხეთი, საქართველო, ჰორომი, ვიდრე ანკვირიაამდე, განგრამდე და ფეფსელთა სმირნამდე. კილიკია: ვიდრე ოკეანის ზღვამდე [ხმელთაშუა ზღვამდე] და პონტოს ზღვამდე, ქალაქ ტრაპიზონამდე. აილეს აგრეთვე შამის სახლი, ჯურჰა და ხარანი, ვიდრე ჰამსსა და ჰამამდე.

„პირველნი მოვიდნენ [ჩვენს] ქვეყანაში ჩორმანი, ჩალათა, ასლანი, ასაეური და ლატლანი. აილეს ქვეყანა 685 (1236) წელს“¹³.

„პირველად როცა თათრები მოვიდნენ ამ ქვეყანაში, ჩვენი მხარეები შეხვდა წილად ასლან ნოინს“¹⁴.

„ამ ხანებში მოისართა მხედართმთავარი, ვითარცა მეფე ყოველთა ზედა, იყო ბაჩუ ნოინი და იჯდა ჰაბანდის მხარეში, ძაგეძორის თავში“¹⁵.

„წერილი“ სომეხი ისტორიკოსები

ანონიმი სებასტიელი:

„678 [1229]. ურიცხვი სიმრავლით გამოვიდა თათარი, რომლის ჯარის მთავარი იყო ჩორმალანი. მოვიდა და მოაღწია განძაკ შაჰას

¹³ სტეფანოს ორბელიანი. გვ. 401—402.

¹⁴ იქვე, გვ. 403.

¹⁵ იქვე, გვ. 404—406.

ტანს¹⁶, აიღო ქალაქი და ამოწყვეტა უწყალოდ, ქალები და ბავშვები ცხვედ წაიყვანეს. შემდეგ შევიდნენ ქართველთა სამეფოში, გაუყვეს ყველა ადგილი დიდებულებს: ნოინებსა და მეთაურებს, და აიგვარად აიღეს მთელი ქვეყანა“¹⁷.

ს ტ ე თ ა ნ ა ს ე პ ი ს კ ო ბ ო ს ი [XIII ს.]:

„ამ წელს [1238] აიღეს ჩორბანა და ჩადათამ მთელი ჩვენი ქვეყანა: ანისი, კარი, ლორე, წმინდა მარი. ავაგი მიიყვანეს კარს კენის ციხიდან“¹⁸.

კ ი რ ა ქ ო ს ო შ ტ უ ნ ი. (XV ს.):

„685 [1235] თათარი მოვიდა“¹⁹.

ა ნ ო ნ ი მ ი ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი [XIII ს.]:

„680 (1231) წელს აღებულ იქნა განძაკ ქალაქი თათართა მიერ და დახოცილ იქნა აურაცხელი კაცი, ქალი და ბავშვი, ტყვეთ წაიყვანეს ქრისტიანები და სპარსელები ერთად“²⁰.

„685 (1236) წელს აუღებელი ციხე, რომელსაც ერქვა კენი, ქალაქი ლორი, ანისი — სომეხთა დედაქალაქი და დანარჩენი მთელი სომეხთა მხარეები, აუღებელი ციხეები და ქალაქები და შეუვალი ტყეები ერთ წელიწადში აიღეს. ამოწყდა აურაცხელი და უთვალავი კაცი, ქალი და ბავშვი. ვის ძალუძს მოთხრობა ქირისა და ვაებისა, რომელიც მოიწია ჩვენზე უწყალო მოისართა ტომისაგან“²¹.

ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი:

„... ვითარცა მოიწიენეს თათარნი ქუეყანასა ჩუენსა, ზეოტი სულტანი ჯალალდინ ივლტოდა და დაუტევა სამეფო მისი, ადვილად ჯელთ ივდეს თურანი, სათურქეთი და ყოველი ხუარასანი. და განჰყო ოთხად ლაშქარი თჳსი და განიჩინა შეილნი ოთხნი ყაენად:

„პირმოსა მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა დიდსა საყვიჩაყეთსა. ვიდრე ბნელეთადმდე, ოსეთსა, ხაზარეთსა, რუსეთსა ვიდრე

¹⁶ განძაკ შაჰსტანზე იხ. აქვე, ტექსტის შენიშვნები, III, 17.

¹⁷ წვრილი ისტორიკოსები, II, გვ. 139.

¹⁸ იქვე, I, გვ. 41.

¹⁹ იქვე, გვ. 119.

²⁰ იქვე, გვ. 26.

²¹ წვრილი ისტორიკოსები, I, გვ. 26.

ბოროტობა და სერბთაგან, კავკასთა ჩრდილოთა ყოველთა მკვლარ-
ვანთა, ვითარცა მიტყუაჲს.

„ხოლო მეორესა შეილსა ჩაღათას ნისცა ლაშქარი და უძღურთა
ქუეყანა სამარყანამდე და ბეხარა ვიდრე აღმუთის ქუეყანამდე. ვიცნებ,
ესე არს თურანი.

„შესაბესა შეილსა ოქიათს ნისცა თუთ მისი ტახტი საჯღონად და
ქარაყურუმი, ჩინ-შაჩინი, ვეღლისა და ყუთაყისა ქუეყანა და ხატაეთი.

„და მეოთხესა შეილსა თელი ერქვა; ანას ნისცა ლაშქარი და
ოქიათსა სედაშოკიდებით ქუეყანა აღმოსავლეთით.

„ესე ოთხნი განაიხინა ყაენად და ამცნო: წელიწადსა შინა ერთ-
ხელ ოქიათასსა ნიერდოდენ ძმანი შინნი უსუტესნი ყურულთასა საქმე-
ლად, ამაღ რამე ტახტი მასი ოქიათს ნისცეს.

„ესრეთ რა დააწყუნა შეილნი, მივიდა თურანს და წარმოაელნა
შეილი ნისი უმრწამესი თული ხუარასნისა მოთვალად. განვილო
ჯეონი და მივიდა ნიშაბურს, სადა ნიშაბურელთა სანგზის წყობა ყვეს
ბრძოლისათჳს. სირველსა ომსა ქელად იგდო ქალაქი, სადა იგი მოკლა
სამასი ათასი კაცი თავ-დაკუეთითა, ხოლო მეორესა ჯგრსა ასი ათასი
და მესამესა ომსა ოცდაათრმეტი ათასი. უკეთუ არა ჯერ ხართ, სა-
მართლადცა არს: დიდისა სიბდიენისა ხოჯა ანშადინის ძმა თანადამ-
მხუდარი იტყოდა ამას ნიშაბურისა მოკვრებასა. წარმოვიდა ესე თული,
გამრელო ხუარასანი, მაზანდარანი, მოეახლა ერაყის ქუეყანასა:

„ცნა ესე სულტანმან ჯალალდინ, აიყარა ტყლისით დედაწული-
თა და ბარგითა, წარმოემართა ბრძოლად თათართა და მოვიდა აღარ-
ბადაგანს. წარმართა მოციქული ხლათის სულტანსა და ხალიფას, ბაღდა-
დის მპყრობელსა, რათა შეეწიენენ მასცა და თავთაცა და ნათთაცა.
ეგრეთვე ერაყისა სულტანსა მიუმცნო: „უკეთუ თუთ თავითა არა გსე-
ბავს ბრძოლა თათართა, ლაშქარნი წარმოაელნიენით და ვბრძოდე,
რამეთუ ვიცი წყობა მათი. თუ არა ისმენთ ჩემსა, ვიდრე მე წინა არა
აღუდგენი, თქვენ ვერ შემძლებელ ხართ“. ვითარ. მივიდა მოციქული
სულტანისა, და არა ინებეს ბრძოლა თათართა...

„ხოლო თათართა უმთავრესი თული მივიდა ერაყს ვიდრე ყაზვი-
ნადმდე, მოაკვრა ქუეყანა, მოსწყუნდა ურჩინი, წარვიდა და განვილო ხუა-
რასანი, ჯეონი, და მივიდა მამასა მისსა ჩინგიზ-ყაენს წინაშე და ძმა-
თა მისთა თანა. ვითარ ცნა სრულიად ლტოლვა სულტან ჯალალდი-
ნისა, მოუწოდა ოთხთა ერის მთავართა, რომელთა ქართველნი ნოინო-
ბით უკმობენ, სახელით: ჩორმადანსა უპირველესსა და მეორესა ჩაღა-
ტას, იოსურსა, ბიოსსა. და ამით ათი ათას-ათასი კაცი მისცეს დედა-
წულითა მათითა და წარმოაელნიეს ძებნად სულტანისა. ესე ოთხნივე

ნოინნი ყენის შვილები იყენეს. თუთოეულსა აცნობეს, რათა სადაცა მივიდოდენ და ზენარსა ითხოვდენ, შეიწყალებდენ, და ურჩთა მოსრკიდენ, და ხარაჯასა მის ქუეყანისასა ოთხად იყოფდენ და თავის კელმწიფეთა გაუგზავნიდენ.

წარმოვიდეს ესე ოთხნი ნოინნი—ჩორმალანი, ჩალატა, იოსურძ და ბიჩოი — გამოვლეს ჯეონი და ხუარასანი ვითარ ორმოცი ათასითა კაცითა და დედაწულითა, მოვიდეს ქუეყანასა აღმთისასა და წინა განეწყუნეს, და დიდად აენეს. და წარვიდეს მიერ ქუეყანად ერაცისა და მოაოჯრეს. რომელი მივიდის, შეიწყალიან. და მერმე, მოვიდეს ადარბადაგანს, რომელ არს თავრეეი, წინ მიეგებნეს ყოველნი ადარბადაგანელნი ძლუნითა ურიცხვთა. მიერ მივიდეს ქალაქად არდავლისა, იგინიცა მოეგებნეს. გავლეს რაცხი და მივიდეს განძად, რომელი-იგი მტკიცედ განმაგრებულ იყო, და სამთა დღეთა რა შინა ბრძოლა უყვეს თათართა, მყის კელთ იგდეს, და შიგან ქალაქსა შევიდეს, მოაოჯრეს, და მრავალი სული მოსწყვტეს, რამეთუ საძაგელ უჩნდათ სჯული მოამედის მიერ ქადაგებული.

ამისი მცნობელი სულტანი მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და ივლტოდა საბერძნეთად...

ხოლო მო-რა-იქცეს თათარნი ხუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მოაოჯრეს ქუეყანა ხლათისა და ვალაშკერტისა. და ვერ წინააღუდგა სულტანი ხლათისა, არამედ გამაგრდა ქალაქსა შინა. ხოლო თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს, და ზავნი იქმნეს თავრეეელთა შორის და თათართა, და აღიღეს თავრეეი და მიმდგომი მისი ქუეყანა. და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მულანს, და მიერ იწყეს რბევად და ოჯრებად საქართველოსა; იწყეს დარუბანდით აღმომართ, ქუეყანასა შარვაშისასა, და კაბალას, ჰერეთს, კახეთს, სომხითს, და ქუეყანასა არშაკუნიანთასა დვინს და ანისსა. ხოლო ვინათგან მეზობლობით მოეახლებოდეს ქუეყანასა საქართველოსასა, უდიდესნი და უბოროტესნი, ზემოკსენებულთა მათ განსაცდელთა მსგავსთაგან უმეტესცა მძვნვარენი განსაცდელნი აღიძვროდეს საქართველოსა საზღვართა, უკეთურებისათჳს მკვდრთა ქართლისათა, რამეთუ ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა. დიდთა და მცირეთა მიდრკა სიბოროტეთა. რამეთუ დაუტევეს სიმაართლე და ქეშმარიტება, ვინათგან თუთ მღდელთა მიერ იხილებოდა არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა, ვითარ ოდესმე ძენი ბენიამენისნი... იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლისა ოჯრად...

ხოლო ნოინნი ესე ზემოკსენებულნი შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კო-

ლას, არტანს, ანისს, და მოფინეს მსგავსად მკალთა ოჯრებად და ჯო-
ცად, და არსად იყო ლზინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესა ქუე-
ყანა. მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აქარისა და
ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა, და ვარამ გაგელი შეივლ-
ტოდა ქუთათისს, და ეგრეთვე ჰერნი, კანნი, სომზითარ-ქართლელნი,
მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი, — ყოველნი ივლტოდეს ცი-
ხეთა და მათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა.

„და გაგრძელთა ოჯრება და მოსპოლვა ქუეყანისა სიმრავლისათს
უსჯულოებათა ჩუენთასა, რამეთუ განრყუნა ყოველმან ასაკმან ქუეყანა,
დაღათუ საქართველო, არამედ სპარსეთი, ბაბილოვანი და საბერძნეთი.
რამეთუ მიეცემოდეს მწარესა ტყუეობასა და უწყალთა სიკუდილთა,
რომელ არა იყო წყალობა, საესე იყენეს მოკლულთა მიერ ქალაქნი და
სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ჳეენი. თზნიერ სიმაგრეთა თულა
სადმე [ვინ] დაშთომილიყო, საესე იყო ტყეპითა, და გოდებითა მიერ
შეიცვლებოდეს ყოველნი მკვდრნი საქართველოსანი ამერისნი. ხედიდეს
მამა-დედანი შვილთა მოკლულთა, და შვილნი მამათა და დედათა მკუ-
დართა მდებარეთა, სხუანი ძმათა და ნათესავთა და დათა თქსთა იავარად
წარსხმულთა, ცოლთა და შვილთა მათთა და ყოველსა სიმდიდრესა
მათსა წინაშე მათსა განზნეულსა. და ესეოდენნი ზარნი იქმნეს თათარ-
თანი, რომელ უმრავლესნი ქართველნი ციხეთა და მაგართა აღგილთა
დაუტეობდეს და ივლტოდეს კავკასიად.

„ხოლო ამათ ულზინებელთა რა ბოროტთა მოეცევა ქუეყანა, ძლიერ-
ნი ერისთავთა ერისთავნი და ვაზირნი განდგეს უკრთიერთას თავთა
მათთა შემწყობელნი, რამეთუ მეფე რუსუდანი ყოვლადვე დამკვდრდა
ლიხთ-იქით და ვერცა ლიხთ-აქეთ გარდამოვიდის და ვერცა ამიერნი
ვაზირნი მის წინაშე მივიდიან უცალოებისა ძლით, გარნა ლტოლვილნი.
და ესრეთ ურთიერთას შეუზრახებელ იყენეს და შეუთქმელ. რამე-
თუ ძლიერნი იგი საქართველოსანი და სახელგანსმენილნი ულონო
იქმნეს ყოვლადვე ვერ შემმართველნი კსენებადცა წყობისა მიყოფად
თათართა, რამეთუ ჰერეთი და კახეთი ტყეთა მიერ ძლიერად იცვებო-
დეს. მაშინ მკვდრნი საქართველოსანი, სახელოვანნი და წყობათა შინა-
მუნენი ერისთავნი, სრულიადსა მოოჯრებასა მიეცნეს. ეგრეთვე აღმო-
მართ ყოველნი მკვდროანნი“¹.

აღნიშნულ წყაროთა შეჯერების შედეგად ჩანს შემდეგი:

1. მონღოლთა მიერ განძის აღება და მისი დანგრევა მოწმდება
ყველა წყაროს ჩვენებით (ქართული, სომხური, სპარსული). მაგრამ,

¹ „ამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 180—189.

როგორც ჩანს, ეს მომზადება არა მონღოლთა პირველი შემოჭრის დროს ამიერკავკასიაში, როგორც ამას გრიგოლ აკანელი და რამილ-ეფ-დინი გვამცნობენ. არანვდ მონღოლთა მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის დასაწყისში — 1235 წელს (ვარდანი, კირაკოს განძაქელი, „წვრილი ისტორიკოსები“, ჟამთააღმწერელი).

2. ამიერკავკასიის დაპყრობის დროს მონღოლთა მხედართმთავარი ყადღილა მისიძე დანი (გრიგოლ აკანელი, კირაკოს განძაქელი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი, ჟამთააღმწერელი). მასდამე დაქვემდებარებული ნაიზები ყადღილას: სტენალი (გრიგოლ აკანელი) და მელარი (გრიგოლ აკანელი, ვარდანი, კირაკოს განძაქელი, რომლებიც მალე ვარდაცულდნენ (გრიგოლ აკანელი). აგრეთვე: ბაიუ, რომელმაც ჩორბაღანის სტეფანოს შემდეგ შეცვალა ის (გრიგოლ აკანელი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი), იაღათა (ვარდანი, ჟამთააღმწერელი, სტეფანოს ორბელიანი), რამელსაც დანი ეწოდა (გრიგოლ აკანელი) და რომელიც მონღოლთა ჯარის ზორვარი იყო (კირაკოს განძაქელი, ასარი (გრიგოლ აკანელი) (ვარდანი — სტეფანოს ორბელიანი, იოსური — ჟამთააღმწერელი, ისარი — კირაკოს განძაქელი), დატადანი (ვარდანი, კირაკოს განძაქელი, სტეფანოს ორბელიანი), თუთუ I (გრიგოლ აკანელი, კირაკოს განძაქელი), დუღადა (ვარდანი), ასაეური (სტეფანოს ორბელიანი), ხუთთუ II დუთუ (გრიგოლ აკანელი, კირაკოს განძაქელი), ასუთუ, სანითა, მცირე ჩაღათა, ოგოთა, ხოჯა, ხურუმში, ხუნანი, თენალი, ანგურაგი (გრიგოლ აკანელი).

3. მონღოლთა ნოინებს სხვადასხვა მხრიდან შემოუტყვეით და ხელთ უგდიათ საქართველოს სასახლერო ციხეები და ქალაქები:

მოლარ ნოინს — ვარამ გაგელის ციხეები სომხეთში: შამქორი, ტაეუში, კაწარეთი, ტერუნაკანი, ნორბერდი, ერგვენაქი, მწანაბერდი, ქარბერდი, ქაგანინი, გავი, გარდანი, ტერევენა, ზეგანი (გრიგოლ აკანელი, ვარდანი, კირაკოს განძაქელი).

დატადანს — გეტაპაჰის, ვარდანაშატის და ჩარექის მხარეები (ვარდანი, კირაკოს განძაქელი).

ჩორბაღანს — ანისი და კარი (ვარდანი, კირაკოს განძაქელი, სტეფანოს ეპისკოპოსი, ჟამთააღმწერელი, იოანე ხუცესი).

ჩაღათას — შანშა მხარგრძელის ციხე-ქალაქი — ლორე (ვარდანი, სტეფანოს ეპისკოპოსი, იოანე ხუცესი).

დუღათას — ავაგ ათაბაგის ციხე — კენი (ვარდანი, სტეფანოს ეპისკოპოსი, ანონიმი ჟამთააღმწერელი).

ამის შემდეგ მონღოლები ქვეყნის შუაგულშიც შემოჭრილან და

დაუპყრიათ მისი სიმაგრეები: სამშვილდე, დმანისი და ბოლოს თბილისი (კირაკოს განძაყელი).

ამგვარად, მონღოლებს ხელთ უვდიათ შაველი აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველო: შიდა ქართლი, თრიალეთი, სომხეთი, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კილა, არტაანი (ქაშთააღმწერელი).

4. მონღოლებს საქართველოს დაპყრობა დაუწყიათ 1228 წელს (ვარდანი, ანონისი ქაშთააღმწერელი, კირაკოს ბრძენი, სტეფანოს ეპისკოპოსი).

5. გრიგოლ აკანელი ამიერ-კავკასიისა და წინა აზიის ტერიტორიას უწოდებს „შუა ქვეყანას“. როგორც სტეფანოს ორბელიანის შემოტანილი აღგილიდან ჩანს, „შუა ქვეყანად“ ეს ტერიტორია იგულისხმება ამ შემთხვევაში, როგორც მონღოლთა მიერ დაპყრობილ რუსეთსა და ინდოეთის ზღვის ნებეაოე.

6. მონღოლთა მხედართმთავარს ჩორშადანს დასაწყისად თავის რეზიდენციად აურჩევია განძა (გრიგოლ აკანელი).

წყაროთა ურთიერთშინაობის თვალსაზრისით ჩანს შემდეგი:

1. გრიგოლ აკანელი სხვა წყაროებზე უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ამიერკავკასიაში შემოჭრილ მონღოლთა ნოინების შესახებ. ის, ჩორშადანის გარდა, ასახელებს 11 ნოინს. კირაკოს განძაყელი და სტეფანოს ორბელიანი — ბუთ-ხუთს, ვარდანი და ქაშთააღმწერელი — სამ-საშს. გრიგოლ აკანელის მიერ დასახელებულ ნოინებს სხვა წყაროები უმატებენ: ლატადანს (კირაკოსი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი) და დულადას (ვარდანი).

2. მონღოლთა მიერ დაპყრობილი ციხეებიდან და ქალაქებიდან გრიგოლ აკანელი ასახელებს მხოლოდ ვარამ გაგელის მფლობელობაში მყოფ, სომხეთის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებს (სულ ათს), რომელთაგან მას გამოჩინილი აქვს გაგი (კირაკოსი, ვარდანი), კაწარეთი (კირაკოსი) და ქავაზინი (ვარდანი). ორი, მისგან დასახელებული ციხე-სიმაგრეებიდან (ქარჭერძი და ზეგაში) სხვა წყაროებში არ გვხვდება.

კირაკოს განძაყელი, გარდა ვარამ გაგელის ციხეებისა, ასახელებს აგრეთვე: ლორეს, ანისსა და კარს, ხოლო შემდეგ — დმანისს, სამშვილდესა და თბილისს.

ვარდანი, აგრეთვე, გარდა ვარამ გაგელის ციხეებისა, ასახელებს: ლორეს, კაენსა და კარს.

„წვრილი“ სომეხი ისტორიკოსები (ანონისი ქაშთააღმწერელი, სტეფანოს ეპისკოპოსი) მონღოლთა მიერ აღებული ციხეებიდან არ ასახელებენ ვარამ გაგელის ციხეებს, არამედ მხოლოდ: ლორეს, ანისს,

ქარსა და კენს (გარდა ამისა, ისინი ერთხმად აღნიშნავენ საქართველოში შემოსვლამდე მონღოლთა მიერ განძის აოხრებას).

ჯამთააღმწერელი ჯერ გვამცნობს მონღოლთა მიერ საქართველოს მოსახლვრე (ყმაღნაფიცი) "ქვეყნების დაპყრობას (ამაზე უწინარეს კი, განძის აოხრებას): რანის (ბარდავი, განძა, მულანი), აზერბაიჯანის (თავრევი), ხლათისა და ვალაშკერტის, აქედან საქართველოს სანაპირო მხარეების: კახეთის, ჰერეთის, სომხეთის, კაბალას, დვინის, ანისის დარბევას, ხოლო შემდეგ მთელი აღმ. და სამხრ. საქართველოს პროვინციების ხელში ჩაგდებას.

ამრიგად: 1. კირაკოს განძაკელისა და ვარდანის ცნობები განხილულ საკითხზე მცირედ განსხვავდებიან ერთიმეორისგან.

2. გრიგოლ აკანელის ცნობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია კირაკოს განძაკელისა და ვარდანის ცნობებისაგან და ავსებს მათ.

3. ე. წ. „წერილი“ სომეხი ისტორიკოსები (ანონიმი სებასტიელი, იოანე ხუცესი, კირაკოს რშტუნი და სტეფანოს ეპისკოპოსი) ამ შემთხვევაშიც არ სცილდებიან კირაკოს განძაკელისა და ვარდანის ცნობებს.

4. სომხური წყაროები კონკრეტული მასალით ავსებენ ჯამთააღმწერლის თხრობას აღნიშნულ საკითხზე.

V. ქართველი და სომეხი მთავრების მიერ მომჩილების გამოცხადება მონღოლებსაჟვის და მათ ხაკაქვეშ მოქცევა

(გრიგოლ აკანელი, გვ. 12,15-37; 17,8-16)

გვამცნობს რა მონღოლთა მიერ საქართველოს სასახლვრო ციხე-ქალაქების დაპყრობას, გრიგოლ აკანელი აღნიშნავს, რომ ქართველმა და სომეხმა მთავრებმა გადაწყვიტეს დამორჩილებოდნენ მონღოლებს და დაედოთ მათი ხარკი, რაც იქვეც შეასრულესო.

ამავე საკითხზე ცნობებს გვაწვდიან ვარდანი და ჯამთააღმწერელი მოვიყვანოთ ეს ცნობები:

ვ ა რ დ ა ნ ი:

„ვაჰრამი, შვილით აღბუღათი, მირბოდა ერთი ადგილიდან მეორეში, ვიდრე არ შეიტყო, რომ [თათრები] ინდობენ დამორჩილებულთ, ვინც თავისი ნებით ექვემდებარებოდნენ მათ. შემდეგ [ვაჰრამი] მივიდა

[ათარებთან] და მიიღო მათ მიერ წართმეული ციხე და მხარე — მისი საკუთარი მამული, რომელიც მთლიანად წაეღო [ათარებს]¹.

ე ა მ თ ა ა ლ მ წ ი რ ე ლ ი :

„ამათ რა ბოროტთა ხედვითა ამირსპასალარი ავაგ, ძე ივანე ათაბაგისა, წარმოავლინა მოციქული ბარდაეს, სადა დაებანაკათ ზემოვსენებულთა მათ მთავართა, რომელთა ზამთრის აქუნდა საყოფელად ბარდავი და ზაფხულის — გელაქუნისა მთანი და არარატისანი, რამეთუ მაშინ აეღო ანისი ჩორმადანს; ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად და თქუა მათ წინაშე მისლვა, ხილვა, და მსახურება, და ხარაჯის მიცემა და დადება ქუეყანისა მისისა, და ითხოვა ფიცი და სიმტკიცე. ხოლო მათ გაიხარეს და სიხარულით შეიწყნარეს მოციქული ავაგისი, და ფიცთა მიერ მტკიცეთა გულსავე ყვეს“².

„... წარვიდა ამირსპასალარი ავაგ, დამღები სულსა მისსა ქუეყანისა მისისათჳს, და მივიდა ჩორმადანს, ჩალატას, ბიწუსა და იოსურს წინა, რომელთა იხილეს, და პატივსცეს, და შეიყუარეს, და მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს, რომელთა შანად³ უწოდდეს სიტყუთა მათითა.

„გითარ დამძღუნა ქუეყანა ავაგისი და ცნა შანშე მანდატურთუხუცესმან ზავი ავაგისი და თათართა, უვნებელად დაცვა ინება ქუეყანისა, დაცვა ზავითა მყოფელი, და ავაგსცა მიუმცნო, უკეთუ მიუმცნოს და მივიდეს ხილვად თათართა. ამისნი მცნობელნი თათარნი სიხარულით შეიწყნარებდეს, რომლისათჳს მიუმცნეს მითვე ოქროსა საფიცრითა მტკიცე ფიცი უვნებლობისა. და წარვიდა შანშეცა და იხილნა ივინი, რომელთა შანშესცა ფრიადი პატივი უყვეს, და ანისი და მათ მიერ წაღებულნი მისი ქუეყანა ყოველი მისცნეს, და მცველნი დაუდგინნეს ქუეყანასა შინა. და ეინცა მოვიდის ქართველთა მთავართაგანი, პატივითა შეიწყნარიან, ხოლო ურჩთა ქუეყანა მოისრეოდა. ამისნი მცნობელი ვარამ გაგელი ზაქარიას ძეცა მიენდო და ზავითა შეწყნარებელი ქუეყანა ამისიცა დამძღუნა.

„... ამათ ულხინებელთა ქირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის, კაცი სწავლული და ფილასოფოსი და მრავალღონე, ხოლო მესხნი სათნოებისათჳს მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს. ამისთჳს განძვებულმან ჩალატა ნოინ

¹ ვარდანი, გვ. 190.

² ეამთაალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 189.

³ სომხ. წყაროების შაჰნა.

აღიწველრა სამცხესა ზედა, არამედ ზესხნი შეიწრებულნი შიშისაგან შეივლტოდეს ციხეთა შინა.

„ესრეთ მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხეს, და ბევრი ერი მაიკლა, ოდეს არღარა იყო ღონე, მოაჯსენა მეჯესა რუსუდანს ივანე ციხისჯუარელმან ჯაყელმან, რომელსა ყუარყუარეკა ეწოდებოდა, უკუთუ სთნდეს რათა იქსნას ქუეყანა სამცხისა ოჭრებისაგან, და იგიცა მიენღას ჩაღატას, რამეთუ პატრივითა იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი და მთავარი ქუეყანასა სამცხისასა. ინება მეჯემან და წარმოებანა. მაჰინ წარტილა ივანე და იხილა ჩაღატა, რომელმან პატრივითა შეიწყნარა და დაუღვივნა მკველნი ქუეყანისანი.“

„ესრეთ პა ქელთ იგდეს ყოველი ქუეყანა, ვანიყვეს ოთხთა მთერისმთავართა ოთხად, და ეგრეთვე ერისთავნიცა თუჯეულნი, ხუდერი ნისი და ხარაჯა, რომელსა აიღესდიან და წარცხანდიან. და ესრეთ მტირედ იწყო ქუეყანამან დაწყნარებულა“⁴.

აღნიშნული წყაროების ცნობების ურთიერთშედარებიდან ჩანს, რომ:

1. საქართველოს მთავრები მოქმედებენ მეჯისაგან დამოუკიდებლად და ცალ-ცალკე სდებენ მონღოლებთან ზავს, „რომელი ნებით და რომელი უნებლიეთ“. დანახასიათებელია, რომ გრიგოლ აკანელი არც კი ასხენებს მეჯეს, თითქოს ის აქ არადერ შუაში იყოს. ამასთან, ისტორიკოსი ამართლებს მათ ასეთ საქციელს და ბრძენებს უწოდებს მათ, რადგან შეიცნეს, რომ მონღოლებს ღმერთმა მისცა ჩვენი ქუეყანაო.

ასევე ცდილობს მთავრების გამართლებას ჟამთააღმწერელი, რომელიც ავაგზე აღნიშნავს, რომ ის იყო „დამდები სულსა მისსა ქუეყანისა მისისათჳს“.

საქართველოს მთავრებში ნსოლოდ სამცხის მთავარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი ყვარყვარე ჯაყელი არ დამორჩილებია მონღოლებს. მხოლოდ უთანასწორო ბრძოლისა და რუსუდანისგან ნებართვის მიღების შემდეგ დაუყრია მას ფარ-ჭმალი (ჟამთააღმწერელი):

როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკური წყობილება XIII საუკუნეში დეცენტრალიზაციის გზით წასულა და მონღოლთა შემოსევის დროს ეს დეცენტრალიზაცია საკმაოდ შორს ყოფილა წასული⁵.

⁴ ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II. 1959, გვ. 190—191.

⁵ დანახასიათებელია ამ მიზრე გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ: „რუსუდანს ეყარა სამეფო ივანეს ზედანდვომლობით, აგრეთვე კირაკოს განძაკელის ცნობა, რომ: „რუსუდანი თავის საქმეებს განაგებდა თავისი მხედართმთავრების: ივანეს, მისი შვილის ავაგის, ხაქარიას შეილის შაჰანშაჰის, ეპარამიას და სხვათა ნეშეობით“ (კირაკოს განძაკელი, გვ. 224). ამ ცნობებიდან ჩანს, რომ სამეფოს მეფე კი არ განაგებდა, არამედ ივანე ათაბაგი, ავაგი, შანშა მხარგრძელი, ვარამ გაგელი და სხვა დიდებულები.

2. დამორჩილებული მთავრებისათვის მონღოლებს დაუდევიათ ხარკი: მალი, თალარი და ყალანი (გრიგოლ აკანელი), ხოლო მათ ქალაქებში ჩაუყენებიათ თავიანთი ზედამხედველები — შანა (ან — შაჰნა) (გამთაალმწერელი).

ამრიგად, გრიგოლ აკანელი არ ასახელებს დამორჩილებულ ქართველ მთავართა სახელებს. სოგადად აღნიშნავს ამას. სამაგიეროდ კონკრეტულად ასახელებს მათზე დადგმული ხარკის სახეებს, რაც გამთაალმწერელს და ვარდანს არა აქვთ.

გამთაალმწერელი კონკრეტულად ასახელებს თათრებს დამორჩილებულ რამდენიმე მთავარს, შემდეგ კი ასახელებს მხოლოდ მხარეს, მთავრის გარეშე.

VI. მონღოლთა მიმართ მკაცრის აღმარება

(გრიგოლ აკანელი, გვ. 13,13-35; 17,16-37; 18,1-11)

გრიგოლ აკანელი ვრცლად აგვიწერს, თუ როგორ აიხრებდნენ მონღოლები ამიერკავკასიის მიწა-წყალს. ეს რბევა-ობზობა გრძელდებოდა ზავის ჩამოგდებას შემდეგაც. გრიგოლ აკანელი განსაკუთრებულ ენაწყულიანობას იჩენს ამ ამბების აღწერისას.

მოეცივანოთ ამ საკითხზე აგრეთვე კირაკოს განძაკელისა და გამთაალმწერლის ცნობები.

კირაკოს განძაკელი:

„ცოტა ხნის წინათ აყვავებული ქართველთა სამეფო იყო ამ დროს დაქინებული. ის, აღმოსავლეთს რომ თათართა ჯარია, მისი მონობის უღელქვეშ მოექცა. მათი მეთაური, ჩარმალანის სიკედილის შემდეგ, იყო ბაჩუ ნოინი“¹.

გამთაალმწერელი:

„ხოლო ჰერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი, და აღმართ კარნუ ქალაქამდის, — ყოველი ქუეყანა მწარესა ოცრებასა შინა იყო: არბევდეს, ტყუედ ჰყოფდეს, სრვიდეს მამაკაცთა, ვიდრე დედათა და ყრმათა ტყუედ წარიყვანებდეს.

და ქალაქი ტფილისი მათეე დაიპირეს.

ხოლო იწყეს შენებად, და ზამთრის დაიბანაკიან ბარდავს, მტყუარისა პირსა, იორის პირთა და აღმომართ გაგამდე. და მოტყუენვი-

¹ კირაკოს განძაკელი, 299.

დიან, არბევდიან ქართლს და სამცხეს და ჯავახეთს და აღმართსა ბერძნეთამდე, კახეთს და ჰერეთს დარუბანდამდე“².

VII. კარნუ ქალაქის აღება მონღოლთა მიერ

(გრიგოლ აკანელი, გვ. 19,27—20,13)

ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ მონღოლებს გეზი აუღია მცირე აზიისაკენ. ისინი ჯერ შექრილან კარნუ ქალაქის საამიროში და ორი თვის ალყის შემდეგ (გრიგოლ აკანელის ცნობით) აუღიათ თეის კარნუ ქალაქი (იგივე კარინი, თეოდოსიოპოლი, არზრუმი), რომელიც დაურბევიათ და გაუძარცვათ. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავ გრიგოლ აკანელი აქ მდგარი მრავალი ეკლესიის დარბევას და იქიდასაღვთო წიგნების წამოღებას ქართველთა და სომეხთა მთავრების მიერ

გრიგოლ აკანელი კარნუ ქალაქის აღების თარიღად 1239 წელს ასახელებს, კირაკოზ განძაკელი, ვარდანი და „წერილი“ სომეხი ისტორიკოსები: ანონიმი სებასტიელი და სტეფანოს ეპისკოპოსი — 1241 წელს. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი თარიღი უფრო სწორია (საერთოდ, გრიგოლ აკანელი, როგორც უკვე დავინახეთ, თარიღებში ხშირად უშვებს უზუსტობას). ჟამთააღმწერელი კარნუ ქალაქის აღებაზე მონღოლთაგან არაფერს გვამცნობს.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები ამ საკითხზე:

კირაკოს განძაკელი:

„სომხური წელთაღრიცხვის 691 წელს (1242 წ.) მოუვიდა ხალხის ჰროვარტაკი ჯარსა და მხედართმთავრებს, რომლებიც აღმოსავლეთში იყვნენ, რომ მხედართმთავრად და წინამძღოლად ჩარმალანის მაგიერად, რომელიც დამუნჯებულყო, დაეყენებინათ ერთი მხედართაგანი სახელად ბაჩუხურაი, რომელსაც ხვდა წილად წინამძღოლობა, რადგან მზმელობას მისდევდნენ. როდესაც აიღო მან მთავრობა, მაშინვე შეკრიბა ჯარი ყველა მის ხელქვეშ მყოფი ხალხისაგან და გაემართა სომეხთა ქვეყნისაკენ, რომელიც ჰორომთა სულტნის მთავრობის ქვეშ იყო. მიაღწია კარინის მხარეს და მოიცვა თეოდოსიოპოლი, რომელიც ეხლა იწოდება კარნუ ქალაქად, დაღვა მის გარშემო, გაგზავნა იქ მოციქულები და [შეუთვალა] რომ დამორჩილებოდნენ“³.

² ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 190—191.

³ კირაკოს განძაკელი, გვ. 263—264.

„... შეიჭრენ შიგნით, მახვილით მოსრეს ყველა უწყალოდ, მიიტაცეს ქონება და ნაშოვნის, და ცეცხლით დასწვეს ქალაქი“⁴.

„ხოლო თათართა ჯარი, როდესაც მოიმოქმედა ეს, დაბრუნდა მრავალი დავლითა და სიხარულით აღვანთა ქვეყანაში, თავის საზამთრო სადგომს, ნაყოფიერსა და მოსავლიან ველს, რომელსაც ჰქვია მულანი, და იქ დაიზამთრეს...“⁵.

ვარდანი:

„691 (1242) წელს სომხური წელთაღრიცხვით ბაჩუ ნოინმა შეცვალა ჩარმალანის მთავრობა, აიღო კარნო ქალაქი, და გამოიყვანა იქიდან კაცი გამოჩენილი, მდიდარი და ღვთისმოშიში — უმეკი და მისი ნათესავეები: შეილენი პარონ იოანესისა — სტეფანოსი და მისი ხუთი ძმა“⁶.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„691 (1242). ბაჩუ ნოინმა შეცვალა ჩორმალანის ხელისუფლება, ყენის ბრძანებით. მან აიღო კარნო ქალაქი და განდევნა იქიდან კაცი ჩინებული და მდიდარი, პარონი უმეკი, მისი ნათესავეები და შეილენი და პარონი იოანე“⁷.

სტეფანოს ეპისკოპოსი (XIII ს.):

„691 (1242).

„თათარმა კარნო ქალაქი აიღო და მიიტაცეს მრავალი წიგნები და ეკლესიის სამსახურებელი [და თათრებით] გაივსო ჩვენი ქვეყანა“⁸.

როგორც ვხედავთ, ანონიმი სებასტიელის ცნობა გადმოწერილია ვარდანიდან, ხოლო სტეფანოს ეპისკოპოსისა ძალიან მიაგავს გრიგოლ აკანელისას (საეკლესიო წიგნებისა და ქურჭლის ხელთ გდება და საქართველო-სომხეთის ეკლესიების გავსება ამ დავლით), თუმცა თარიღი ისევე ვარდანისაა.

⁴ კირაკოს განძაკელი, გვ. 264.

⁵ იქვე, გვ. 265.

⁶ ვარდანი, გვ. 194.

⁷ წვრილი ისტორიკოსები, II, გვ. 139.

⁸ იქვე, I, გვ. 41.

VIII. მონღოლთა ლაშქრობა ჩუჩის სასულტანოში

(გრიგოლ აკანელი, გვ. 20, 23—23, 23);

კარნუ ქალაქის აღებიდან ერთი წლის შემდეგ (გრიგოლ აკანელის მიხედვით — 1240, ხოლო კირაკოს განძაკელისა, ვარდანისა და წერილი ისტორიკოსების: ანონიმი სებასტიელის, სარგის ბიწაკ სისელისა და სტეფანოს ებისკოპოსის მიხედვით 1243 წელს), მონღოლები შეიჭრნენ რუმის სასულტანოში, ხოლო შემთავად მწვერლით — საბერძნეთს.

გრიგოლ აკანელის ცნობით რუმის სულტანს ყიასედინს (სომხ. მწერლობაში — ხიატადინი) ჰყოლია 160.000 შეიმაოი, შემთავად მწვერლის ცნობით — 400.000.

ამ ბრძოლაში სულტანის მხარეზე, გრიგოლ აკანელის ცნობით, მონაწილეობდა შადვა ახალციხელის ძე, რომელსაც შემთავად მწვერლის ცნობით ფარადავლა რქნევია, ხოლო მონღოლთა მხარეზე მონაწილე ქართველთა და სომეხთა ჯარს, გრიგოლ აკანელისვე ცნობით, სარდლობდა ვარამ გაგელის ძე — აღბუღა. საერთოდ, გრიგოლ აკანელის ცნობით, მონღოლთა გამარჯვებებში უმთავრესი დამსახურება მიუძღოდან ქართველებსა და სომეხებს, რომლებიც მეწინავეები იყვნენ და მუდამ პირველი ექვეთებოდნენ მტერს.

ბრძოლა, გრიგოლ აკანელის ცნობით, მომხდარა კარნუ ქალაქსა და ერზინკას შორის, კირაკოსის ცნობით — ჩმანკატუქთან.

სულტანის დამარცხების შემდეგ მონღოლებს აუღიათ რუმის ქალაქები: ერზინკა, კესარია, სებასტია და იკონია.

ერთ-ერთი „წერილი“ სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოს ებისკოპოსის ცნობით ერთი წლის შემდეგ — 1244 წელს მონღოლები აღებოდაც მისდგომიან და ბაღეში აუღიათ.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები ამ ლაშქრობაზე:

კირაკოს განძაკელი:

„ვიდრე თათართა ჯარი იდგა უშიშრად მთელი სომხეთისა და აღვანეთის ველებზე, მოვიდა მოციქული ღიადატინ სულტანისაგან მრისხანე და მუქარის სიტყვით, როგორც ეს ტაჭიკთა ჩვეულებაა...“

„ხოლო ისინი [თათრები] არ ჩქარობდნენ, წყნარად შეკრიბეს თავისი ჯარი და ვინც კი მათი ხელქვეითნი [ხალხები] იყვნენ, მოვიდნენ სომეხთა ქვეყანაში, ბალახიან ველებზე, მთელი ავლა-დიდებით, დაასუქეს ცხენები და შემდეგ წყნარად მიუახლოვდნენ [იმ ადგილს], სადაც იყო სულტანის ბანაკი. ისიც [სულტანი] თავისი ადგილიდან გამოემართა მათზე, სომეხთა ქვეყანას, რომელიც იყო მათი მთავრობის

ქვეშ. [დადგა] ერთი დაბა-ქალაქის ახლოს, რომელსაც ჰქვია ჩანკატუქი, უთვალავი სიმრავლით, ცოცხებით, ხარკებით, ოქროთი და ვერცხლით; აგრეთვე ყოველივე, რაც სანახარებელი იყო მისი დიდებულისა, აიკიდა და თან მიიტანა...¹.

„... ისინი [თათართა მეწინავენი] წავიდნენ და შეეყარნენ სულტნის ჯარს, ბრძოლა გაუძარტეს მათ და გააქციეს ისინი. ძლივს გაიქცა სულტანიც და ნიაცოფა იმავე აღვირს მიწყობილია და ქურბელი. ხოლო ესენი [თათრები] გამოუდგნენ მათ უკან და დაუშავეს. ამოწყვიტეს [მათი] ჯარი, მისცეს ნახვილის პირს. სოლო შენდევნი იმრუნდნენ და იწყეს დახოცილთა ძარცვა. როდესაც მოვიდნენ [თათართა ჯარი და ბანუ] ნანდილ ბანაკს, ნახეს, რომ სულტანი გაქცეულიყო და მისი ჯარი დამარცხებულიყო. შენდევნი იხილნენ მხარეებს დასარბევად. ალაფობდნენ და ანადგურებდნენ მრავალ მხარეს, კრებდნენ ოქროს, ვერცხლს, ძვირფას საშოსებს, აქლემებს, ცხენებს, ჯორებსა და უთვალავ პირუტყვს.

„მივიდნენ და გარემოიციეს ქალაქი კესარია კაპადოკიელებსა, რადგან არ ემსრობოდნენ მცხოვრებლები, ძალით აიღეს [ქალაქი], ნახვილით მოსრეს მცხოვრებლები, წაართვეს, რაც კი ჰქონდათ და დატოვეს რა დაცარიელებული ქალაქი, მივიდნენ სეზასტიას. რადგან ქალაქის მცხოვრებლები აღრგვე მიეხსრნენ მათ და წინ შეეგდნენ მათ საჩუქრებითა და ძღვენით, აღანიანებს არაფერი დაუშავეს. არაწივდ გაძარცვეს და დაარბიეს ქალაქი, თავიანთ სახელზე დაიჭირეს ის, მისცეს ზედამდგომელს და გარბუნდნენ. მივიდნენ და გარემოიციეს ერზინა და მრავალი ბრძოლა გადაიხადეს მის წინააღმდეგ. ქალაქის მცხოვრებლებმა მრავალი დარტყმა აგემეს თათართა ჯარს. შენდევნი იწყეს ათარგებში მოტყუებით მცხოვრებთა გარეთ სმობა სიყვარულის მიზეზით და ისინი დაეთანხმნენ და გამოვიდნენ რადგან არავინ ეგულებოდათ საიდანმე დამხნარედ. ისინი მთლიანად ნახვილით დახოცა თათრის ჯარმა: კაცები და ქალები. გადაურჩნენ ცოტა ბავშვები და ქალიშვილები, რომლებიც წაიყვანეს ტყვედ.

ასე ააოხრეს და წარტყვენეს მრავალი მხარე და ქვეყანა, მივიდნენ ქალაქთან, რომელიც იწოდებოდა ტიურიკედ. როცა შეიტყვეს მცხოვრებლებმა რომ შეუსტლებელია წინააღმდეგობა ბრძოლით, ნებით გაუხდნენ მათ ხელქვეითებად. თათრებმა აიღეს მრავალი ქონება და გაუშვეს ქალაქი უვნებლად...².

¹ კირაკოს განძაკელი, გვ. 265—267.

² იქვე, გვ. 267—268.

ე არ დ ა ნ ი :

„692 (1243) წელს თათრებმა აიღეს ჰორომად წოდებული მთელი ქვეყანა: პირველად სახელგანთქმული ქალაქი კესარია, შემდეგ სებასტია, რომლის მცხოვრებლები დაინდვეს ხოცვა-ჟლეტისგან, რადგან [ისინი] მყის დაემორჩილნენ თათრებს, შემდეგ ერზინკა, რომლის მცხოვრებლები უწყალოდ ამოწყვიტეს და ტყვედ წაიყვანეს, რადგან მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, და სხვა ქვეყნები და მხარეები, სადაც უმეტესად ცხოვრობდა დატანჯული ხალხი. წელთაღრიცხვის ასოები ამ დროს იყო „ოლბ“ 692³ და მართლაც, ამ დროს იქმნა საქმე შესატყვისი გლოვისა და ცრემლებისა რომელმაც მოიცვა (არა მარტო მეტყველები, არამედ უტყვებიც) მთები და ველები, რომლებიც მოირწყნენ სისხლითა და ცრემლით“⁴.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„692 (1243). აიღეს ჰორომნი, ჯერ კესარია, შემდეგ სებასტია, კვლავ ერზინკა. დაუზოგავად დახოცეს ვინც წინააღმდეგობას უწევდა“⁵.

სარგის პიწაქ, სისელი (XIV ს.):

„692 (1243). თათარმა აიკლო ხიათადინი“⁶.

სტეფანოს ეპისკოპოსი (XIII ს.):

„692 (1243) თათარმა ჰორომნი დახოცა. აიღო ერზინკა, სებასტია და კესარია“⁷.

„693 (1244), თათარი წავიდა ალემოს კარს და ბაღეში აიღო“⁸.

რუბრუკისი:

„ჩვენ გავიარეთ ველზე (ქალაქ არსენგენის⁹ ახლოს), რომელზეც თათრებმა დაამარცხეს თურქეთის სულტანი. რომ დაგვეწერა, თუ როგორ დაამარცხეს ის, ძალიან გრძელი გამოვიდოდა; მაგრამ ჩენი გამოკლის ერთი მსახური, რომელიც იყო თათრებთან, ამბობდა, რომ ისინი

³ ოლბ (ოღ), ნიშნავს „გლოვას“.

⁴ ე არ დ ა ნ ი. გვ. 194.

⁵ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 140.

⁶ იქვე, I, გვ. 105.

⁷ იქვე, გვ. 41.

⁸ იქვე, გვ. 42.

⁹ იგულისხმება ერზინჯანი (ქართ. სოფ. წყაროების ერზინკა)

იყენენ არა უმეტეს 10 ათასისა, ხოლო ერთი კურგი¹⁰, მონა სულტანისა ამბობდა, რომ სულტანთან იყო 200 ათასი მეომარი—ყველა ცხენოსანი. ამ ველზე, სადაც მიმდინარეობდა ეს ბრძოლა, უფრო სწორად გაქცევა, წარმოიქმნა მიწისძვრის შედეგად დიდი ტბა¹¹.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ლ ი :

„... ინება ამკედრებად (თათარმა) დიდსა სულტანსა ყიასდინს ზედა, ნათესავით სალჩუქიანსა, რათა დაიმორჩილონ, რომელსა აქუნდა საბერძნეთი. და წარავლინეს ბიჩოი ნოინი, და თანა-წარიყვანნა დიდნიცა იგი მთავარნი საქართველოსანი. ვითარ მიიწვიენეს ქუეყანასა სევასტიას და ერზინქისასა, იწყეს ოკრებად. მაშინ სულტანმან ყიასდინ მოუწოდა ყოველთა სპათა და შემოიკრიბა მკედრები თხი კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი, და განაჩინნა მკედართა თავად შარვაშის-ძე აფხაზი, სახელით დარდინ, რომელი სიძნისა მისისათჳს პირველვე დიდსა დიდებასა აღეყვანა და მტკიცედ ეპყრა სჯული ქრისტესი, ამას თანა ფარადავლა, თორელისა ახალციხელის შალვას ძე, რომელი ლტოლვილი წარსრული იყო სულტანსა წინაშე, კაცი მკენ და წყობათა შინა სახელოვანი,—ესენი მკედართა მთავარ ყენა და ლაშქართა წინამბრძოლად განაჩინნა. და მოეახლა, მახლობელად მათსა დაიბანაკა.

„ვითარ ესმა თათართა მოსლვა სულტანისა წყობად მათდა, ესე-ზომ განლაღებულ იყენეს, რომე განიხარნეს...

„ვითარ განთენა და მოვიდა სულტანი სპითა საზარელითა, რამეთუ იყო ოთხასი ათასი მკედარი და განაწყყეს რაზმი. აქათ თათართა განაწყყეს რაზმი, და ურჩეულენი მათნი მარცხენასა მვარსა დააწესნეს. ესრეთ აქუნდა წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენასა კერძისა დააწესებდინან, ამის ძლით, რომელ სხუანი ნათესაენი ყოველნი უმჯობესთა და უმკნეთთა მარჯუენით აქუნდა დაწესებითა, რათა ურჩეულენი ურჩეულესთა შეემთხვენენ. ხოლო დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამოღურილობასა მტერთასა.

„ამათ რა ესრეთ ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლ ყვეს და ვითარცა დაეასლნეს ერთიერთას, იწყეს თათართა ჯმითა მადლითა თქმად აჰლა, აჰლა, აჰლა, რომელი ძნელად სათარგმანებელ არს და უცნაურ, და სამსა ვიდრემე ჯერასა აქუნდა წესად თქმა ამისი: აჰლა, აჰლა, აჰლა, და ძყის მიეტევენინან. ხოლო ქართველნი უპირატეს და უმკნეს ძლიერად ეწყუნეს. და იქმნა ომი სასტიკი, და მოსწყდა ურჩიცხვ

¹⁰ იგულისხმება ქართველი — გურჯი.

¹¹ რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, გვ. 192.

სიმრავლე სპათაგან სულტანისათა, სადა სახელოვანიცა შარვაშის-ძე დარდანი, აფხაზი, მწედართ-მთავარი მათი, მოიკლა, და იელტოდეს სპანი სულტანისანი. და დევნა უყვეს რა თათართა და ქართველთა, ურიცხვ მბრძოლი მოსრეს, და შეიპყრნეს. ხოლო ახალციხელი სულტანისა მიერ მოიკლა, შურითა ქართველთათა. ესოდენ ეწყუნეს პირველ ვითა განკურდეს ყოველნი მწედართ-მთავარნი მათნი ძლიერად მბრძოლობასა ქართველთასა. ამისთჳს სიყუარულსა და ჰატისა და ნიჴსა წინა-უყოფდეს, და ქენასა შეასწინდეს. ხოლო აღივსნეს ქართველნი და თათარნი ყოვლითა სიმდიდრითა, ოქროთა და ვეცხლითა, სასწერითა და სამხარეულოთა ოქროსა და ვეცხლისათა, უცხოთა ლარითა და სამოსლითა, ცხენისა, ჯიროისა და აქლემისა არა იყო რიცხვ, რაზომი აღიდეს.

„ესრეთ სავსენი მივიდეს საბერძნეთს, დევნაჲ სულტანისა, და მიჰყვანეს ვიდრე იკანიალმდე, რომელ არს ქალაქი დიდად დიდი და ზღუდითა მტკიცითა მიერ განწავრებულნი, სადა - იგი შელტოლვილ იყო სულტანი, და კუალად კართა ქალაქისათა იქმნა ომი ძლიერი, რომელ თუთოეულად არა არს ჟამი მოათრობად... ხოლო სულტანმან შეიწირებულმან იმითა, ითხოვა ზავი, აღუთქვა ხარაჯა დიდი და მძინე, და მრავალთა ძღუენთა და უფასოთა თუალთა და მარგალიტთა ძღუნად მიმცემულმან მოაშჴდნა, და ითხოვნა მცველნი, და ესრეთ ჟამ რაოდენმე არა იაილონ სულტანი, ვიდრემდის გამთარგმონ უმჯობესნი. ამისნი შემწყნარებელნი თათარნი უკნაოქცეს და მივიდეს ხლათს“¹².

როგორც ვხედავთ, სომხური წყაროები აღნიშნულ ლაშქრობაზე იძლევიან თითქმის ერთმანეთის ანალიგიურ ცნობებს. ნხოლოდ გრიგოლ აქანელი გვაწოდის დამატებით ცნობებს ქართველთა მონაწილეობაზე ამ ბრძოლებში და ზოგიერთ სხვა დეტალებზე.

ჟამთააღმწერელი არათერს გვამცნობს მანლოლთა მიერ რუმის ქალაქების აღებაზე, სამაგიეროდ, ადასტურებს გრიგოლ აქანელის ცნობას ამ ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ. გრიგოლ აქანელი და ჟამთააღმწერელი ამ საკითხზე ავსებენ ერთმანეთს.

IX. კილიკიის სომეხთა სამეფოს უბრძოლველად დამორჩილება მოხლოლებიანადი¹

(გრიგოლ აქანელი. გვ. 23,25—25,11)

რუმის სულტნის დამარცხების შენდეგ კილიკიის სომეხთა სახელმწიფოს მეთაურს მეფე ჰეთუმს თავის მამასთან ერთად გადაუწყვეტია

¹² ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., 192—195.

¹ ამ საკითხზე იხ. Микаелян, С., История Киликийского армянского государства, Ереван, 1952 г.

მორჩილება გამოეცხადებინა მონღოლებისათვის, რომ არ აეობრებინა მათგან თავისი ქვეყანა. პეტუშს ზავი შეუკრავს ბაჩუ ნოინთან და უკის-რია მონღოლთა ხარკი და ყალანი, რის შემდეგაც მონღოლთა ყაენთან, ყარაყორუმში გაუგზავნია თავისი ძმა, სომეხთა სპარაპეტი, პარონი სუმბატი, ალბათ მისგან ამ ზავისა და მისი ქვეყნის მფლობელობის სიმტკიცის მისაღებად.

ამის შესახებ თითქმის ერთმანეთის ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან გრიგოლ აკანელი და კირაკოს განძაკელი. სუმბატის ყაენთან გაგზავრებაზე გვაძენობს აგრეთვე ერთ-ერთი „წერილი“ სომეხი ისტორიკოსი პეტუშ კორიკოსის უფალი.

კირაკოს განძაკელი:

„როცა ეს მოხდა, პეტუშმ მეფემ, რომელიც უფლებდა კილიკიელებსა და ამ მხარეებზე. ნახა რა, რომ დამარცხდა სულტანი მათთან, გაუგზავნა მოციქულები [თათრებს] ღირსეული საჩუქრებით, რომ დაედოთ მათთან შეთანხმება ზავზე და გამოეცხადებინათ მათთვის მორჩილება. ისინი მივიდნენ დიდ კარს, წარუდგნენ ბასუ ნოინს და ელთინა ხანუნს — ჩარმანუინის ცოლს — და სხვა უფროსებს მთავარ ჯალალის შუამდგომლობით“².

„[თათრებმა] დაამყარეს [სომეხთა] მეფესთან სიყვარული და მისცეს წიგნი, მათი სჯულის თანახმად, რომელსაც ეწოდებოდა ელტამლა“³.

„სომეხთა მეფე პეტუშმა, რომელიცაა კილიკიას, გაგზავნა თავისი ძმა, მხედართმთავარი სუმბატი ლანთან, ჩინებული საჩუქრებით. მან გაიარა მშვიდობით სივრძე გზისა და დიდად განდიდებულ იქნა მის [ლანის] მიერ. დაბრუნდა საინო დიდებით. ნდობის სიგლით მისცა მას [ლანმა] მრავალი მხარე და ციხე, რომლებიც ადრე მეფე ლეგონისა იყო. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ წაიღო მათგან ჰორონთა სულტანმა ალაღინმა“⁴.

პეტუშ—კორიკოსის უფალი:

„695 (1246).

მეფე პეტუშმა გაგზავნა თავისი ძმა — პარონი სუმბატი — გუაუქ ლანთან“⁵.

² კირაკოს განძაკელი, გვ. 269.

³ იქვე, გვ. 270.

⁴ იქვე, გვ. 301—302.

⁵ წერილი ისტორიკოსები, I, გვ. 81.

X. დავით ლაშას ძის დახსნა მონღოლთა მიერ რუმის ტყვეობიდან
და მისი გამეფება¹

(გრიგოლ აკანელი, გვ. 25,12—27,20)

რუმის სასულტნოში ლაშქრობისა და კილიკიის უომრად დამორჩილების (ე. ი. 1243—44 წლების ამბების) შესახებ თბრობის შემდეგ გრიგოლ აკანელი გვამცნობს, რომ ქართველებმა, რომლებიც ამ დროს უმეფოდ დარჩნენ (რადგან ამ დროს გარდაცვლილა რუსუდანი), სთხოვეს მონღოლებს, რომ ნათ მეფედ დაესვათ ლაშას ძე დავითი, რომელიც რუმში იმყოფებოდა ტყვეობაში. მონღოლებმა გაიგეს რომ დავითი ქესარიისაშია ხაროში ჩაგდებული, გაგზავნეს იქ ვარამ გაგელი ჯარით და მოიყვანეს დავითი, რომელიც ბაიუ ნოინმა გაგზავნა მეფედ დასამტკიცებლად ბათუ ყანთან, ბათუმ — დიდ ყანთან — აღმოსავლეთში. დიდმა ყანმა ის დაამტკიცა მეფედ და გამოგზავნა საქართველოში.

გრიგოლ აკანელის ცნობით დავითის გამეფება თვით ქართველებმა მოითხოვეს, რადგან მეფე აღარ ჰყავდათ, კირაკოს განძაკელის ცნობით კი დავითი მონღოლებმა გაამეფეს რუსუდანის ჯიბრზე, რადგან ის აგვიანებდა მონღოლებთან გამოცხადებას. შემთააღმწერელი მხარს უჭერს გრიგოლ აკანელის ცნობას. გრიგოლ აკანელი დავითის გამეფებაში განსაკუთრებულ ღვაწლს მიაწერს ვარამ გაგელს და მას „ვაჰრამულ“ მეფესაც (ე. ი. ვარამის მიერ დასმულ მეფეს) უწოდებს. ვარამი კირაკოსისა თუ შემთააღმწერელის მიხედვითაც აქტიური როლვაწე ჩანს დავითის გამეფებაში.

კირაკოს განძაკელი გვამცნობს, რომ დავითი რუსუდანმა დაატყვევებინა მის სიძეს—რუმის სულტანს, ამ ცნობას ადასტურებს შემთააღმწერელიც.

გრიგოლ აკანელი ღუმს დავით რუსუდანის ძეზე, რომლის შესახებაც გვამცნობს კირაკოს განძაკელიც და შემთააღმწერელიც. კირაკოს განძაკელის ცნობით, დიდმა ყანმა ორივე დავითს მორიგეობით დაუწესა მეფობა, ხოლო ავაგ მხარგრძელის რჩევით მათ გაიყვეს სამეფო: რუსუდანის ძე წავიდა სევანეთში (ე. ი. დასავლეთ საქართველოში), ხოლო ლაშას ძე დაჯდა ტფილისში.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები ამ საკითხზე:

¹ ამ საკითხზე იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949, გვ. 123—127.

კირაკოს განძაკელი:

„ხოლო [თათრებმა], როცა დაამარცხეს ჰორომთა სულტანი — მისი [რუსუდანის] სიძე — და აიღეს მრავალი მისი ქალაქი, გაუგზავნეს მას მოციქულად მთავარი ვაჰრამი [და შეუთვალეს, რომ] დამორჩილებოდა [თათრებს]. მან [ვაჰრამმა] უკან წამოსვლისას წამოიყვანა თავისთან ქართველთა მეფის გიორგი ლაშას შვილი, რუსუდან დედოფლის ძმის შვილი, რომელიც [რუსუდანს] გაეყოღებინა თავისი ქალისათვის ბო-როტი განზრახვით, მოეკლა ის, რათა რაიმე ზიანი არ მიეყენებინა მისი მეფობისთვის. [მას შემდეგ] იყო [გიორგი ლაშას ძე] სულტანთან დაკავშირებული. წამოიყვანა ვაჰრამმა და აძენო თათართა ჯარს: ჩვენი მეფის წულია და უსაზრთლოდ მოკლებულია თავის სამფლობელოს. ხოლო მათ, მისი შინის საწინააღმდეგოდ, გაამეფეს ის, ბრძანება გაცემის, ქრისტიანული წესით ეკურთხებინათ, დაქვემდებარებოდნენ მისი წამის ყველა მთავარი და დანჯდარიყო ქალაქ ტფილისში. წაიყვანეს დიდ-დიდმა მთავრებმა, რომლებიც თათართა მორჩილებაში იყვნენ: ავაგმა, რომელიც მხედართმთავარი იყო. შაჰანშაჰმა ზაქარიას ძემ, ვაჰრამმა და მისმა შვილმა აღბუღამ და მიიყვანეს მცხეთაში, მოუწოდეს ქართველთა კათალიკოსს და აკურთხეს ის მეფედ. ერქვა მას სახელად დავითი“².

„ხოლო იმ მეთაურებმა, რომლებიც ბაჩუ ნონთან იყვნენ აღმოსავლეთის მხარეში, რომლებსაც ეპყრათ მისი სამფლობელოს მთელი ქვეყანა და მისი მთავრები მათთან იდგნენ, როცა ნახეს, რომ არ მოვიდა მათთან რუსუდან დედოფალი, ხოლო თვისი შვილი გაუგზავნა ბათუს, გაბრაზდნენ ამაზე, გაუგზავნეს ხალხი ლიათადინს — ჰორომთა სულტანს — და წამოიყვანეს იქიდან რუსუდანის ძმისწული, შვილი ლაშა გიორგისა, ქართველთა მეფისა, რუსუდანმა ის გააყოლა თავის ქალს, რომელიც იყო ცოლი სულტან ლიათადინისა, და მან შთააგდო ის საპყრობილეში, რათა მას არ ეღალატა მისი სიდედრის მეფობისათვის. მათ მოიყვანეს ის იქიდან, მისცეს მისი ხელისუფლება ხელთ და გაგზავნეს თავიანთ მეფესთან, ლანთან, ხელისუფლებაში დასამტკიცებლად. თვით კი გაგზავნეს სასწრაფოდ მოციქული ერთი მეორეზე დედოფალ რუსუდანთან, რომ მოეყვანათ მათთან ნებით თუ უნებლიეთ. ასევე ბათუმ გაგზავნა მისი შვილი ლანთან და თვით რუსუდანს მოუწოდებდა მისულიყო მასთან. ხოლო მან, შევიწროებულმა ორი ნხრიდან, თვით მიიღო საწინააღი და აღესრულა. მისწერა ანდერძის წიგნი მთავარ ავაგს და შეჰყვებოდა მას თავისი შვილი, თუ კი ის დაბრუნდებოდა ყაენისაგან.

² კირაკოს განძაკელი, ვვ. 273—274.

„ხოლო ისინი [ქართველი უფლისწულები] წაიდანენ გუიუგ დანთან. მან სიყვარულათ მიიღო ისინი და განუწყესა მათ, რომ ემეუათ რიგით. ჯერ, რომელიც უფროსი იყო მათ შორის, დავით ლაშა გიორგის ძეს, ხოლო მისი აღსრულების შემდეგ, თუ კი ცოცხალი იქნებოდა, მეორე დავითს — რუსუდანის შვილს, მის მამიდაშვილს...“

„როცა მოვიდნენ [დავითები] ჰყვეს ასე, ივანეს ძის ავაგის შუამდგომლობით: დაჯდა ლაქას ძე დავითი ქალაქ ტფილისს, ხოლო მეორე დავითი — სვანეთს“³.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი :

„ქართველთა მეფობა ეპყრა ერთ ქალს, სახელად რუსუდანს. [ხოლო] ლაშას დაჩა ერთი ვაჟი, სახელად დავითი, რომლის დაღუპვასაც მრავალი ღონისძიებით ცდილობდა ეს რუსუდანი. ხან ჩასვამდა მას კიდობანში და ზღვაში გადააგდებდა, ხან მისცემდა მთავრებს მოსაკლავად და ისინი ხაროში მალაფუნენ მას, ხან აძევენდა შორეულ ქვეყანაში, რომ იქ მოესპოთ. მაგრამ ყველაფერს გადაურჩა ღვთის განგებით. გამოვიდა და გაიქცა დიდ მეფე მანგუ დანთან, გამობრუნდა წესგან, მოვიდა და გაშეკდა თავის ქვეყანაში, ხოლო რუსუდანი ნახა გარდაცვლილი“⁴.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (XIII ს.):

„697 (1248). დავით მეფე მრავალი ხერხით გადაურჩა რუსუდანის ხელს, მოვიდა ღანიდან და დაჯდა ტახტზე“⁵.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„... იყო ჯურღმული ღრმა, რომელსა შინა წყალი არა იყო, ამას შინა იყენეს გუელნი შთაყრილნი, რომელი საესე იყო განთვნებულითა და ცოფითა გუელითა, და ზედა იდგა ლოდი, და არა იყო ნათელი, და ესრეთ მწართია სიკუდილითა მოჰკლვიდა. სულტანმან მას შინა ჩაგდება ბრძანა დავითისი, და ვითარ წარიყვანეს დავით, თანავე აქუნდა ხატი იგი, აღიღეს ორმოსა მისგან ქვა, შთავიდა და დაცულ იქნა, ვითარცა დანიელ პირისაგან ღომისა“.

რუსუდანმა მოინდომა თავისი შვილის გამეფება და ძმისწულისთვის ტახტის წართმევა. ამიტომ შეუთვალა სიძეს რუმის სულტანს ყიასედინსა და ქალს თამარს, რომ მოეკლათ დავითი, რომელიც მათთან

³ კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ. 300—301.

⁴ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 420—421.

⁵ წერილი ისტორიკოსები, I, გვ. 42.

იყო. მათ არ შეასრულეს მისი შენათვალნი. მაშინ რუსუდანმა მისწერა ყიასედინს, რომ მისი მეუღლე თამარი სამარცხეინო კავშირშია თავის ბიძაშვილთან. განრისხებულმა სულტანმა მისცა დავითი ზენაეებს და უბრძანა, რომ ჩაეგდოთ ის შუა ზღვაში. მათ შეასრულეს ეს ბრძანება, მხოლოდ მისცეს დავითს ფიცარი, ფიცარზე ხელჩაგდებული დავითი ტალღებმა ნაპირს მიუახლოვეს. ერთმი ვაჭარმა ის გადაარჩინა და წაიყვანა თავისთან. ეს რომ სულტანმა გაიგო, კვლავ წამოიყვანა დავითი და ჩააგდო საპყრობილეში.

„მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარ ყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არა ზათგან უგუარიანისისა კაცისა; ამისთჳს შეკრბეს მთავარნი ამერის საქართველოსანი: შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრგეელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი ერისმთავარნი და ძეგნა ყვეს ლაშას ძისა დავითისთჳს. და ეუწყა ვიეთგანვე ვაჭართა, ვიარამედ ჯერეთ ცოცხალ არს, გარნა პყრობილი ჯურღმულსა შინა ღრმასა, გუელთა თანა მყოფობს. ვითარ ეუწყა ესე მთავართა საქართველოსათა, წარვიდეს ჩორმადანს, იოსურსა, ბიჩუის და ანგურაგს, წინაშე, რავეთუ ჯერეთ ყაენი არა მოსრულ იყო ქვეყანასა აძას, არამედ ესეზემოტსენებულნი ნოინნი განაგებდეს ქუეყანათა...“

„და ვითარ ესმა ესა ნოინთა, განკვრდეს საქმისა მისთჳს, რომელი ექმნა მეფესა რუსუდანს, და მსწრაულ წარავლინეს ანგურაგ მოციქული, და თანა წარპყვეს ვარამ გაგელი და სარგის თმოგუელი. და წიტიცდთა დღეთა მიიწიენეს საბერძნეთს სულტანს თანა, და აუწყეს, ვითარმედ: „დავითის ძეგნად მოესულვართ, რათა მოგუცე და წარვიყვანოთ იგი...““

„ხოლო ვითარ ცნა სულტანმან, წარავლინა კაცი, და განაიყვანეს დავით, კინდა სულიერ მყოფი, რამეთუ უსულოდ რადმე, განყინულად, ანუ მკუდრად, უმრავად საგონებელ იყო მსილველთა მიერ... ახილეს რა ესე, განკვრდეს სიცოცხლესა მისსა. ვარამ და სარგის დიდელ ცრემლოოდეს, ხოლო სულტანი ღმობიერ იქმნა... ესრეთ წარმოაყლინა, და ვითარ მოიწიენეს საქართველოს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი... წარვიდეს ნოინთა წინაშე. ხოლო მათ ახილეს და განიხარეს, მეფობა ვერ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს დიდსა ბათო ყაენისსა...“

„და ვითარ მოიწიენეს, კეთილად შეიწყნარნა ბათო. შანშეს ძე ზაქარია და ვარამის ძე აღბულა თჳსად დაიმპირნა, და მეფე დავით

მანგუ ყაენს წინ წარავლინა და წარაჰყვეს თანა სარგის თმოგუ ელი და სხუანი მცირედნი ვინმე ქირთველნი ყაოაყურუმს* 6.

XI. ქართველთა შეთქმულება მონღოლთა წინააღმდეგ

(გრიგოლ აკანელი, გვ. 28,33—30,32)

დავით ლაშას ძის მეფობის დასაწყისში გრიგოლ აკანელი მოგვითხრობს ქართველ დიდებულთა შეთქმულებას, მეფის მეთაურობით და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების განზრახვას, რომელიც გამცემლობის შედეგად ჩაშლილა. მეფე და ყველა შეთქმული მთავარი შეუპყრიათ და წაუყვანიათ მონღოლთა ნოინის კარს. მონღოლებს მხოლოდ ავაგისთვის დაუჯერებიათ და ხელი აუღიათ ქვეყნის რბევაზე.

ანალოგიური, მხოლოდ უფრო დეტალურია ამ საკითხზე კირაკოს განძაკელის თხრობაც. აქაც ავაგი, თავის ნებით მისული თათრებთან, აჯერებს მათ თავის ერთგულებაში. ვარდანი სულ რამდენიმე წინააღმდეგობით აღნიშნავს ამ ფაქტს (როგორც ჩანს, ემყარება კირაკოსს და არა გრიგოლ აკანელს), ხოლო ანონიმი სებასტიელი ამ შემთხვევაშიც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვარდანს.

კირაკოსი, ვარდანი და ანონიმი სებასტიელი შეთქმულების თარიღად ასახელებენ 1249 წელს, გრიგოლ აკანელი თარიღს არ ასახელებს.

სომხური წყაროების მიერ აღწერილი ეს შეთქმულება რამდენადმე გავს ეამთაღმწერლის მიერ შემონახულ ცნობას კოხტას თავის შეთქმულების შესახებ. ორივე შემთხვევაში დიდებულები შეიყარნენ და გადაწყვიტეს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება, ორივე შემთხვევაში შეთქმულებს, ჯერ კიდევ ერთად შეყრილებს, შეიპყრობენ მონღოლები, გამცემლობის შედეგად, მას შემდეგ, რაც მათ ჯარები გაუშვეს უკვე და ამიტომ წინააღმდეგობა ვერ გასწიეს (კირაკოსი, ეამთაღმწერელი). ორივე შემთხვევაში მონღოლები ერწმუნენ ერთ-ერთი შეთქმული დიდებულის სიტყვას, რომელიც თავის ნებით გამოცხადდა მონღოლებთან (ერთ შემთხვევაში ეს დიდებული ავაგ მხარგრძელია, მეორე შემთხვევაში — ცოტნე დადიანი). დროითაც ეს ორი ცნობა შეთქმულების შესახებ ძალიან ახლოს დგას ერთიმეორესთან, ამიტომ, ჩვენნი აზრით, აქ იგულისხმება ერთი და იგივე შეთქმულება, რამდენადაც სხვადასხვანაირად გადმოცემული ქართულ და სომხურ წყაროებში

* ეამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 217—220.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები ამ საკითხზე:

კირაკოს განძაკელი:

„უეცრად თათართა ჯარის უფროსებმა მოიწვიეს კრება, შეიარაღდნენ და მოემზადნენ საერთოდ მოესრათ ზათდამი დაქვემდებარებული სომეხთა და ქართველთა მთელი ქვეყანა, იმ მიზეზით, რომ ქართველთა მეფეს, ყველა მთავრით, სურს განდგომა და ჯარს აგროვებს, რომ მოვიდეს და ამოწყვიტოს ისინი.“

• „ჩანდა მართლაც, რომ იკრიბებოდნენ ყველა მთავრები ქართველთა მეფე დაეითთან ტუილისში და, ეიდრე სეპდნენ ღვინოს, გაამაყდნენ და თქვეს მათგან უგბილებმა: „რატომ ვეპონებით ჩვენ მათ, როცა გვყავს ასე ბევრი ჯარი, წავიდეთ უეცრად, დავესხათ მათ თავს, დავხოცოთ, მოვსპოთ ისინი და ჩვენ თვით ვიპყრათ ჩვენი ქვეყანა“. უშლიდა მათ ამ განზრახვას დიდი მთავარი ავაგი.

„თათართა ჯარმა, რომელიც იმ აღვილს იმყოფებოდა, გაიგო ეს და აცნობა ზეთაურებს. როცა დაიშალნენ მთავართა ჯარები და წავიდნენ თავთავიანთ აღვილებში, მათ [თათრებმა], ამგვარად შეიარაღებულებმა, მოისურვეს საერთოდ დაეხოცათ ყველა. ამ მთავართაგანნი, რომლებიც იპოვეს თავისთან, დააპატიმრეს, ხოლო ვინც არ იყო იქ, გაგზავნეს მაწყველები და სასწრაფოდ იხმეს.“

„ხოლო მოწყალე ღმერთმა არ დაუშვა რომ მომხდარიყო ეს საქმე და ჩაშალა ის შემდეგი მიზეზით: ერთი ვინმე უფროს მეთაურთაგანი, რომელიც ყველა ჯარის სარდალი იყო — სახელად ჩალათა — და რომელიც კეთილმეგობარი იყო ავაგისა, დადგა შეიარაღებულ ჯარს შორის და უთხრა მათ: ჩვენ არა გვაქვს ბრძანება ღანისა, რომდაეხოცოთ ისინი, ვინც ჩვენი შორჩილი არიან, გვემსახურებიან და ხარკის მომცემი არიან ღანისა. მათი აჯანყების ანბავიც არ არის დადასტურებული. ეხლა, თუ თქვენ დახოცავთ მათ უმიზეზოდ, თქვენვე გასცემთ პასუხს ღანს. ეს რომ მოისმინეს, შეწყვიტეს საქმის გამოძიება.“

„მივიდა მათთან ავაგის დედა, რომელსაც ერქვა ხოშაქი, და თავმდებობდა მისი შვილის ერთგულებაზე, აგრეთვე (ამბობდა), რომ თვით ის მალე მოვა მათთან, რაც კიდევ მოხდა. მოვიდა მყის მთავარი ავაგი და აჩვენა თავისი ერთგულება მრავალი მოწიებით.“

„მოვიდა მეფე დაეითი და სხვა მთავრები. [რომლებსაც თათრებმა], თავისი კანონის მიხედვით, მაგრად შეუტრეს ხელები და ფეხები წერილი თოქებით და დასტოვეს ასე შებოროტებული დღეების განმავლობაში. შეურაცხყოფდნენ და დასცინოდნენ მათ სიამაყისა და აჯანყების გაზრახვისთვის. შემდეგ, წაიყვანეს ყველა ცხენი და გამოსას-

ყიდი მათ თავებზე და გაუშვეს ისინი. ხოლო თვით შეუტყის ქართველთა მხარეს, მრავალ კუთხეს, როგორც იმათ, ვინც აჯანყდა, ისე იმათ, ვინც არ [აჯანყდა], მრავალი დახოცეს და უმრავლესი კიდევ ტყვედ წაიყვანეს: კაცები, ქალები და ბავშვები. მრავალი მათგანი მდინარეში დაახრჩვეს. ეს მოხდა სომეხთა წელთაღრიცხვის 698 [1249] წელს“².

ვარდანი:

„ესევე გლოვა გამეორდა 698 [1249] წელს, რადგან ეჭვი აიღეს ბაჩუმ და სხვა უფროსებმა ქართველთა მეფისა და მთაერების ამპარტავნობასა და ამბოხებაზე. შეიპყრეს მეფე დავითი და სხვა დიდებულები, შეკრეს და გადაწყვიტეს [მათი] სიკვდილი. მაგრამ ზეციერის ზრუნვით იხსნეს სიკვდილიდან, თუმცაღა უთვალავი დახოცეს და გაძარცვეს სოფლები და აგარაკები, შეურაცხჰყვეს ქალები სომეხთში და უფრო მეტად ქართველთა ქვეყანაში“³.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„698 [1249]. ეჭვი აიღეს ბაჩუმა და სხვა დიდებულებმა ქართველთა მეფისა და სხვა მთაერების აჯანყების შესახებ. ხელთ იგდეს მეფე დავითი და სხვა მთაერები, შეკრეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. ღვთის ზრუნვით დაახწიეს თავი სიკვდილს, მაგრამ ბევრი გაჟლიტეს იმ დღეებში და ქალები შეურაცხჰყვეს“⁴.

ჟამთააღმწერელი (კოხტასთავის შეთქმულება):

„აღა შფოთთა რა შინა იყო ქუეყანა საქართველოსა, შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: შანზე, ევარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღაი და ყოველნი ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელი გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: „რამე ვყოთ, რამეთუ არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინაძღუარ გუექმნას და ვბრძოდით თათართა, და ჩუენ ერთი-ერთისაგან განდგომილ ვართ დავერ ძალ გჰქს წინააღმდგომად თათართა...“ შევეკრბეთ ყოველნი, და ვბრძოდით თათართა“. დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეყრისა. ამას ზედა განიყარნეს უშორეს მყოფნი: აფხაზნი, დადიანი ცოტნე, და ბედიანი, კაცი კეთილი და

² კირაკოს განძაკელი, გვ. 303–305.

³ ვარდანი, გვ. 194.

⁴ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 140.

სრული ყოვლითა საღმრთოთა და საკაცობოთა, და რაჟის ერისთავი — ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჩუს და ანგურგ და მივიდეს კობტას თავსა, დახუდეს ყოველნი მთავარნი და თავადნი საქართველოსანი მუნვე იყუნეს გაუყრელნი, და ჯერეთ ლაშქარნი არა შეეყარათ, და ამისთვის ვერლარა წინა აღუდგეს, სინცროსა ბედიოთა. მოუტდეს და დაიპყრნეს და წარასხნეს ქუეყანასა ანისისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდებინს შირაკავანი. ხოლო ვითარ მიიწიენეს იარმაღან ნოინს წინაშე, რქუა მათ: „რა არს მიზნი შეკრებისა თქუენისა, უკეთუ არა განდგინილება ჩუენი გენბაესთ?“ ხოლო მთავარნი სიუგებდეს: „არა განდგინილდა თქუენდა შეგებრით, არამედ რათა განეგოთ საქუე თქუენი და ხარკი განგინინოთ“. თათრებმა არ ირწუნენეს ეს და ტანჯუდნენ ქართველ დიდებულებს, შიშველი დასვეს ანისში ნსებე. ცოტნე დადიანი, რომელიც გადაარჩა, მივიდა და დაჯდა მათთან ერთად. თათრები ერწმუნენ მის სიტყვას და გაუყვეს ქართველები⁵.

XII. ცნობები მოძღვარ მანაქანზე

(გრიგოლ აკანელი, გვ. 12,5—14; 18,12—19,22; 30,32—31,2)

XIII საუკუნის სომხური წყაროები და მათ შორის გრიგოლ აკანელი, დიდი მოწიწებით ახსენებენ მოძღვარ მანაქანს.

მისი სამკვიდრებელი ყოფილა მონასტერი ერევანის ციხის პირდაპირ. ეს მონასტერი აფობრენა ჯალალედინს, რის გენდღე, მას ამოუთხრია განოქებაული მალალი კლდის თავზე, სოფ. ოლორუტის პირდაპირ, ციხე ტაფუზის ახლოს, და აღუნენა პატარა ეკლესია. მონაღოლთა შემოსევის დროს აქ თავი შეფარებია ხალხს, რის გამოც მონაღოლებს აუღიათ ეს მონასტერი და ტყვედ წაუყვანიათ ვანაკანი. შემდგომის გამოუსყიდიათ და გაუგზავნიათ გაგის ციხეში.

მას, ისევე, როგორც კირაკოსს, ვარდანის ცნობით, დაწერილებით დაუწერია მონაღოლთა ბრძოლების ისტორია 1236 წლიდან. გარდაცვილია 1251 წელს.

კირაკოს განძაკელის ცნობები ვანაკანის შესახებ ყველაზე უფრო დაწერილებითია. ეს გასაგებიცაა, რადგან კირაკოსი მისი სწავლე იყო [ისევე, როგორც ვარდანი] და მასთან იწყობება.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები ვანაკანზე:

კირაკოს განძაკელი:

„ამ ხანებში დიდმა მოძღვარმა ვანაკანმა თავისი შრომით ამოთხარა განოქებაული, მალალი კლდის თავზე, სოფელ ოლორუტის პირდაპირ ციხე ტაფუზიდან სამხრეთ მხარეზე. აქ მან ააშენა ერთი პატარა ეკლესია და დარჩა მასში ფარულად, როცა ჯალალედინის მიერ აოხრებულ იქნა მისი ადრინდელი მონასტერი ერევანის ციხის პირდაპირ.“

⁵ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 215—216.

„როდესაც იქმნა ქვეყნის ეს აოხრება თათართა მიერ და მივიდა მოლარ ნოინი ამ საზღვრებში, ამ სოფლის მცხოვრებლებმა მიაშურეს იმ გამოქვაბულს და გაიესო [გამოქვაბული] ქაცებით, ქალებითა და ბავშვებით...“

„მაშინ წაიყვანა მოძღვარმა ორი ჩვენგანი მღვდელი, ერთი სახელად მარკოსი, და მეორე—სოსთენი, რომლებმაც ამის შემდგომ მიიღეს მისგან მოძღვრის პატივი...“

„და გამოვიდა მათთან [თათრებთან]...“

„უბრძანა მათ [ვანაკანსა და მის მხლებლებს მოლარ ნოინმა] დამსხდარიყვნენ მის წინ და ბევრს ეკითხებოდა მას [ვანაკანს] ციხეებისა და ვაჰრამ მთავრის შესახებ: თუ სად არის ის...“¹.

„ხოლო მათ [თათრებმა] განკვეთეს შიშე ფასი მასზე [ვანაკანზე], შემდეგი კი შეამსუბუქეს და გაგზავნეს ის ციხეში, რომელსაც ეწოდებოდა გაგი...“

„და მოხდა ისე, როგორც თქვა მოძღვარმა, გამოისყიდეს ის 80 დრაჰმანად...“².

ვ ა რ დ ა ნ ი:

„... აიღეს გასაჭირში ჩავარდნილი, ნაკლულევანების გამო სარჩოსი, უმეტესად წყლისა, დიდებული, სახელოვანი და ნაყოფიერი მოძღვრის ვანაკანის გამოქვაბული. აქ ის თვით იყო გამაგრებული, თავისი მოწაფეებითა და სხვებით, მასთან თავმჯდომარეებული ხიზნით, რომელთა ნაცვლად თვით მისცა თავისი თავი და ქრისტეს მსგავსად წაეიდა ტყუედ და გაანთავისუფლა ისინი. რამდენიმე ხანს იმყოფებოდა ბარბაროსი ხალხის ბანაკში [ხოლო შემდეგ] გამოისყიდეს ქრისტიანებმა, რომლებიც [იყვნენ] გაგის ციხეში...“

„ამის [ტყვეობიდან გამოსხნის] შემდეგ [ვანაკანმა] იცოცხლა 15 წელი, ღვთის სადიდებლად და სასარგებლოდ მრავალთა და მიიცვალა ქრისტეს მიმართ...“

„700 [125: [წელს უდროოდ წავიდა სამარადისო სასუფეველში“³.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი:

„691 [1242].“

ამ ხანებში ბრწყინავდა მოხუცი დღეებით, დიდი მოძღვარი ვანაკანი — მოწაფე გოშისა. გაავსო ქვეყანა მოწაფეებით, რომლებიც ბრწყინავენ ცოდნით, როგორც ვარსკვლავნი: ვარდანი, კირაკოსი,

¹ კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ. 230—233.

² იქვე, გვ. 238.

³ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 191—192.

ოსეფი, არაქელი და სხვა მრავალი, რომლებიც არიან დასაყრდენი ეკლესიისა“⁴.

„700 [1251].

მიიცვალა ღვთის წინაშე მოძღვარი ვანაკანი და უჟვალა იოვანე—სიენიეთის დიდი ეპისკოპოსი“⁵.

XIII. მონღოლთა მიერ მოსახლეობის აღწერა და ახალი ხარკის დადება

(გრიგოლ აკანელი, გვ. 31.16—32,20)

გრიგოლ აკანელის ცნობით, 1251 წელს გაჩნდა კალია, რომელმაც შექამა მთელი „აღმოსავლეთის ქვეყანა“ (ე. ი. წინა ჰზია). როცა ამას გადაურჩა ხალხი, შემდეგ მოვიდა მანგუ ყაენის ბრძანებით არღუნი, რომელმაც აღწერა ხალხი და ხარკი დაადო მას.

გრიგოლ აკანელის მიხედვით, აღწერაში შეიტანეს მოსახლეობა 15 წლის ასაკიდან 60 წლამდე, კირაკოს განძაკელის ცნობით—10 წლის ასაკიდან. გრიგოლ აკანელის ცნობა აქ უფრო სწორი ჩანს, რადგან აღწერას (როგორც ამას გამთააღწერელი გვამცნობს) ხარკის გაზრდის გარდა, სამხედრო მიზანიც ჰქონდა და, ცხადია, 10 წლის ბავშვებს ლაშქრად ვერ წაიყვანდნენ. აღწერაში, კირაკოსის და ვარდანის გადმოცემით, არ შეუტანიათ ქალები.

გრიგოლ აკანელი გვამცნობს, რომ თითოეულ აღრიცხული კაცისაგან იღებდნენ 60 თეთრს. ვინც ხარკს არ გადაიხდიდა, სცემდნენ და აწამებდნენ, ბავშვებს ართმევდნენ.

აღწერის შედეგად ხალხი მეტად მიძინე მდგომარეობაში ჩავარდნილა. მეტად მუქ ფერებში გვიხატავს ამ მდგომარეობას გრიგოლ აკანელი და განსაკუთრებით კირაკოს განძაკელი, ხალხი სტეფანოს ეპისკოპოსი არღუნს ქვეყანის ამაოხრებელ უწოდებს¹.

გამთააღწერლის გადმოცემით მონღოლებს აღუწერიათ არა მარტო ხალხი, არამედ მიწებიც, ამასთან, არა მარტო ხარკი დაუწესებიათ, არამედ — მოლაშქრეთა რაოდენობაც.

როგორც ქართული, ისე სომხური წყაროები გვამცნობენ, რომ მონღოლებს ეკლესია არ დაუხარკავთ. გრიგოლ აკანელი აღწერასთან

⁴ წვრილი ისტორიკოსები. I, გვ. 41.

⁵ იქვე, გვ. 42.

¹ აკან. ნ. ბეჰქინიშვილი მონღოლთა აღწერას ძიიხნევს საქართველოში მათი ბატონობის მეორე, განსაკუთრებულად მძიმე პერიოდის დასაწყისად: იხ. მისი საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., თ. ს. უ. შრომები, VI. 1938 წ., აგრეთვე მისივე: Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.).

დაკავშირებით ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ სხვა ადგილზე ეს კარგად ჩანს. კერძოდ, ჰეთუმ მფუს ძმას, დიდი ყაენისგან, მასთან ყოფნის დროს, მიუღია ეკლესია-მონასტრების თავისუფლების წერილი².

მონღოლთა აღწერის თარიღს გრიგოლ აკანელი გულისხმობს კალიის გაჩენიდან ერთი, ან ორი წლის შემდეგ (ე. ი. 1252—53 წელს). ვარდანი ათარიღებს აღწერას 1253 წლით, ხოლო კირაკოს განძაკელი, სტეფანოს ორბელიანი — ანონიმი სებასტიელი და სტეფანოს ეპისკოპოსი — 1254 წლით.

მონღოლთა აღწერაზე კირაკოს განძაკელი გრიგოლ აკანელზე უფრო ვრცელ ცნობას გვაწვდის. ანონიმი სებასტიელი ამ შემთხვევაში იწერს ვარდანისა და კირაკოს განძაკელიდან.

ზოგიყვანოთ წყაროთა ცნობები მონღოლთა აღწერაზე:

კირაკოს განძაკელი:

701—702 [1252—1253] წლებში სომეხთა ქვეყნებში სპარსეთიდან, კირაკოს განძაკელის ცნობით, მოვიდა კალია, რომელმაც შექაშა ყველაგერი, ღმერთმა კი მოავლინა მიტები, რომლებმაც შექაშეს კალიები³.

„703 [1254] წელს სომეხთა წელთაღრიცხვით მანგუ ლანმა და დიდმა ზორაყარმა ბათუმ გაგზავნეს ერთი კაცი, ოსტიკანი, სახელად არღუნი, რომელმაც გიუგ ლანისგან მიიღო ბრძანება ყოფილიყო საბეთო ხარკის ამკრეფი დამორჩილებული ქვეყნებიდან. [მიავლინეს] აგრეთვე მეორე მეთაურთაგანი ბათუს სასლიდან, რომელსაც ერქვა თორა ალა, სხვა მრავალკაცთან ერთად, რომლებიც მათთან იყვნენ, აღსაწერად ყველა ხალხისა, რომლებიც მათ ხელქვეით იყვნენ მორჩილებაში.

„ისინი, მიიღეს რა ეს ბრძანება, გაეიდნენ მთელს ქვეყანაში ამის აღსასრულებლად. მიადწიეს აგრეთვე სომეხთა, ქართველთა და აღვანთა ქვეყნებში და აგრეთვე მათ ირგვლივ მდებარე მხარეებს და, ათწლიანებიდან დაწყებული ყველა შეიტანეს აღრიცხვის წიგნში, გარდა ქალღისა. ყველასაგან მოითხოვდნენ უმძიმეს ხარკს, რაც აღემატებოდა ადამიანთა ძალას, იწყეს გალატაკება. ავიწროებდნენ წარმოუდგენელი წაწებით, ტანჯვითა და მარწუხებით. ვინც იმალებოდა, იჭერდნენ და ჰკლავდნენ, ვინც ვერ გადაიხდიდა თავის ხარკს, მას ბავშვებს ართმევდნენ ვალში, რადგან მათ თან ახლდნენ არაბთა სარწმუნოების სპარსი მსახურები.

„მთავრებიც—მხარეთა მფლობელები, მათ თანამონაწილე შეიქმნენ

² იხ. გრიგოლ აკანელი, გვ. 25,2—11.

³ კირაკოს განძაკელი, გვ. 346—348.

შევიწროებასა და [ხარკის] მოთხოვნაში, თავიანთი ინტერესებისათვის. ეს არ იქმარეს, არამედ ყველა ხელოსანს, ქალაქსა და სოფლად, ხარკი დაადევს. ასევე მეთევზეურებს ზღვებსა და ტბებზე, მალაროებს, მკედლებსა და, რა სწვიროა დაწვრილებით თქმა, ყველა კარი შემოსავლისა დახმეს ადამიანისათვის და მხოლოდ თვითონ სარგებლობდნენ. მარილის ყველა საბადო, კოდბსა და სხვა კუთხეებში, წაიღეს. ვაჭრებისგანაც მრავალი ქონება წაიღეს, დააგროვეს დიდძალი განძი ოქროსი, ვერცხლისა და პატიოსან თვალთა. ყველა შეავიწროეს, ვაითა და ტყუბით აავესს ქვეყანა. დაუტოვეს ბოროტი ოსტიკანები ქვეყნებს, რათა მოეთხოვათ ყოველწლიურად [ხარკი] იმავე ოდენობითა და წიგნით.

„ხოლო ეკლესიის მსახურთაგან არ იღებდნენ არავითარ ხარკს, რადგან არ ჰქონდათ ბრძანება ღანისა“⁴.

ვარდანი:

„701 [1252] წელს მოვიდა კალია სომეხთა ზემო ქვეყანაში და ზიანი მიაყენა მრავალ მხარეს.

„702 [1253] წელს მანგუ ღანმა გასცა ბრძანება აღრიცხულიყო დამორჩილებული ქვეყნები მის საბრძანებელში, წარჩინებული კაცის არღუნის მიერ და დაედო ხარკი [თითოეული] კაცის თავზე, გარდა ქალებისა, ღრმა მოხუცებისა და ჩვილი ბავშვებისა“⁵.

სტეფანოს ორბელიანი:

„... შეიკრიბნენ ტფილისში არღუნთან, რომელიც იყო ვაზირი და ბასკაკი, დადგენილი დიდი ღანის მიერ მთელ ამ ქვეყანაზე, ყოველთა მბრძანებლად და გამგებლად, სამეფო ხარკისა და დიდი დიენისა, რომელმაც აღწერა მთელი ქვეყანა 703 [1254] წელს“⁶.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„701 [1252]. მოვიდა კალია სომეხთა ზემო ქვეყანაში და დააზიანა მრავალი მხარე.

„703 [1254]... მანგუ ღანმა ბრძანა აღერიცხათ დამორჩილებული ქვეყნები და იყო აღმრიცხველი არღუნი. დაადვა ხარკი კაცის თავს, გარდა ქალებისა, მოხუცებისა და პატარა ბავშვებისა. ამგვარი მწუხა-

⁴ კირაკოს განძაკელი, გვ. 350.

⁵ ვარდანი, გვ. 195.

⁶ სტეფანოს ორბელიანი, გვ. 412—413.

რება მოუვლინეს ჩვენს ქვეყანას, რადგან ყველა კარი შემოსავლისა დახმეს ადამიანთათვის და თვითონ იძენდნენ ქონებას“⁷.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (XIII ს.):

„702 [1253]. მოვიდა კალია ქვეყნად.

„703 [1254] მოვიდა ქვეყნის ამოხრებელი არლუნ ალაღინი, აღწერა მთელი ქვეყანა და თითოეულ სულს ხარკი დაადო“⁸.

ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი:

„ამათ ჟამთა შინა იქმნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბათო: რომელი უდიდეს იყო ყოველთა ყაენთა. ინება განსწორება და აღთუალვა ყოვლისა ქუეყანისა, და პოვა კაცი ვინმე, ნათესავით ოირიდი, სახელით არლუნ, სამართლის მოქმედი და ფრიად მართლის-მეტყუელი, და ღრმად გამგონე და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, აღმოსავლით ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთუალოს და განაჩინოს მკედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათისა ულუფა, რომელ არს ძღუენი მიმავალთა გზად და ქირა ცხენისა და საპალნისა. და ვითარ განაჩინა საბრძანებელსა ბათოსსა, მიერ წარავლინა ყარაყურუმს, ყუბილ ყაენს წინაშე, რათა მანცა ესრეთ განაჩინოს ჯელსა ქუეშე არლუნისასა. და მი-რა-იწია ყუბილ ყაენს წინაშე, ინება მანცა ესრეთ ქმნად, და წარავლინა იგივე არლუნ განგებად საბრძანებელისა მათისა და განუწესა იგივე წესი. და მივიდა ტახტსა ჩაღატასსა და უშანს წინაშე, თურანს, და განაწესა და განაგო მანდაური ყოველი, და გამოვლო ჯეონი, და მოვიდა ხუარასანს, ერაყს და ყოველსა რომეურასა, და განაგო ესრეთვე. და მოიწია ყაენს ულოს წინაშე, და მან პატივით შეიწყნარა, და წარმოავლინა საქართველოსა, მეფეს დავითს წინაშე, და საბერძნეთად, და ყოველსა საბრძანებელსა მისსა ზედა. განიჩინა აღწერად და განგებად. და ვითარცა მოიწია საქართველოსა, დიდსა ქირსა მიეცნეს ყოველნი მკვდრნი სამეფოსა დავითისნი, და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაქამდე, წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოჰდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა ღუმანი მკედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არ ცხრა ბევრი. და განაწესეს

⁷ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 140—141.

⁸ იქვე, I, გვ. 42.

ძღუენი სოფლისაგან: ათასისა მკედრისა მთაფარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთაფარსა ცხოვარი ერთი და დრაჰკანი ორი, და მიზდი ცხენისა თეთრი სამი, დღისა ერთისა. და ესრეთ განუწესა, და წარვიდა საბერძნეთს და ბაღდადს, და ყოველგან.

„... ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღაფი, არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა, და დაერგუშთა, და ყოელისა სჯულისა კაცნი საღმრთოდ განჩენილნი განათავისუფლნა“⁹.

XIV. ჰეთუმ მეფის წასვლა მანგუ ყანეთან

(გრიგოლ აკანელი, გვ. 32,22-38)

გრიგოლ აკანელის ცნობით, გაიგო რა, რომ არღუნის აღწერის შედეგად „აღმოსავლეთის ზემო ქვეყანა“, ე. ი. სომხეთი, ჩავარდა დიდ გასაჰირში, თავისი ქვეყანაც რომ არ ჩაეგდო ამ დღეში, გადაწყვიტა წასულიყო ყანეთან, რომელმაც, ჯერ კიდევ მისი ძმის სპარაპეტ სუმბატის იქ ყოფნის დროს, შემოუთვალა ჰეთუმს, რომ გამოცხადებულიყო მასთან. მანგუ ყანემ დაიდი პატივით მიიღო ჰეთუმი, შეუსრულა ყველა სათხოვარი და დააბრუნა თავის ქვეყანაში.

დაწერილებით აგვიწერს ჰეთუმის მოგზაურობის მარშრუტს (ჯერ ბათუსთან, ხოლო მერე მანგუ ყანეთან) კირაკოს განძაკელი.

ამ მოგზაურობიდან ჰეთუმი, როგორც ჩანს, დაბრუნებულა 1255 წელს.

ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე რუბრუკვისი და ჰეთუმი.

კირაკოს განძაკელი:

კირაკოს განძაკელის ცნობით ჰეთუმი წავიდა ჯერ ბათუ ყანეთან, ხოლო შემდეგ — მანგუ ყანეთან; დაბრუნდა სამშობლოში 1255 წელს. დაწერილებითაა აღწერილი მოგზაურობის მარშრუტი¹.

ვარდანის:

„703 [1254] წელს ქრისტესმოყვარული სომეხთა მეფე ჰეთუმი გაემართა ბათუსთან — ჩრდილოეთის დიდ მეფესთან. ჩინგიზ ლანის თანამეტომესთან და იქიდან მანგუ ლანთან. [ის] ღირსებისაებრ პატივ-

⁹ ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 234—235.

¹ კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ. 50—357.

დებულ და განდიდებულ იქნა და დაუბრუნდა ერთი წლის შემდეგ მშვიდობით თავის ტახტს“².

ანონიმი სებასტიელი:

„703 [1254] ... ქრისტესმოყვარე სომეხთა მეფე ჰეთუმი წავიდა ბათუსთან, ჩრდილოეთის დიდ მეფესთან, რომელიც იყო ჩინგიზ ლანის გვარიდან, ხოლო იქიდან — მანგუ ლანთან. დიდი პატივითა და ღირსებით დაბრუნდა თავის სახლში ერთი წლის შემდეგ“³.

ჰეთუმი, კორიკოსის უფალი, ეამთაალწერა (XIII ს.):

„1256. ჰეთუმ სომეხთა მეფე მოვიდა მანგუ ხანისაგან“⁴.

რუბრუკვისი:

„[კურტში]⁵ მე შევიტყე, რომ ჩამოვიდნენ [სომეხთა] მეფის ელჩები მის მამასთან⁶. მე შევკრიბე ჩემი ბარგი, გემზე რომ წამეღო ის აქრაში, ხოლო თვითონ წავედი მეფის მამასთან, რომ გამეგო, ხომ არ გაიგო მან რაიმე ახალი თავის ვაჟზე. მე ვნახე მოსუცი აზში⁷, თავის ყველა ვაჟთან ერთად, გარდა ერთისა, სახელად ბარუნუზინისა, რომელიც აწუნებდა რომელიღაც სასახლეს. ვაჟისგან მას მიუღია რამდენიმე ცნობა, სახელდობრ, რომ ის ბრუნდებოდა, რომ მანგუ ხანმა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა მას ხარკი და ამის გარდა მიანიჭა ის უპირატესობა, რომ არც ერთი ელჩი არ შედიოდა მის ქვეყანაში. ამის გამო მოხუცმა ყველა ვაჟთან და მთელ ხალხთან მოაწყო დიდი ნადივი“⁸.

XV. ჰულაგუს მოსვლა წინა აზიაში და ყანაღაღ დაჯდომა. მისი დახასიათება

(გრიგოლ აკანელი, გვ. 33,1-26; 40,15—46,7)

ჰეთუმ სომეხთა მეფის სამშობლოში დაბრუნებიდან ცოტა ხნის შემდეგ წინა აზიაში ჩამოვიდა ჰულაგუ — მანგუ ყანის ძმა. გრიგოლ აკანელის ცნობით მას თან ახლდა ყანის 6 ვაჟი, თითო ღუმანი ჯარით

² ვარდან ი, გვ. 195.

³ წერილი ისტორიკოსები, II გვ. 141.

⁴ იქვე, გვ. 69.

⁵ იგულისხმება კორიკუსი, კილიკიის ნავთსადგური.

⁶ ეს იყო, რუბრუკვისის ცნობით, 1255 წლის მაისი.

⁷ იგულისხმება სისი — კილიკიის სომხური სამეფოს მთავარი ქალაქი.

⁸ რუბრუკვისი, გვ. 192—193.

(ქმათააღმწერლის ცნობაც მონღოლთა ჯარის რაოდენობაზე თითქმის ემთხვევა გრიგოლ აკანელის ცნობას). გრიგოლ აკანელი გვამცნობს მათ სახელებს. ქმათააღმწერლის ცნობით ჰულაგუს თან ყაენის ვაჟები არ ახლდნენ, არამედ ჩრდილოეთიდან, მისგან დამოუკიდებლად, მოვიდა ყაენის 3 ვაჟი. აღნიშნული უფლისწულები რომ ჩრდილოეთის ყაენის ნათესავები იყვნენ, ამას ადასტურებენ კირაკოს განძაკელი და რაშიდ-ედ-დინი.

ქართულ-სომხური წყაროები კარგად ახასიათებენ ჰულაგუ ყაენსა და მის ცოლს — დოხუზ-ხათუნს, ერთხმად მიაწერენ მათ ქრისტიანთა მოყვარულობას.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები:

ჰულაგუს მოსვლის შემდეგ ბაჩუ ნოინს მიუღია მისი ბრძანება, რომ დაეტოვებინა ამიერკავკასია და თავისი მხედრებით წასულიყო რუმის ქვეყანაში. ამის შემდეგ, სომხური წყაროები მათ „ძველ მხედრებს“, „პირველად მოსულ თათრებს“ და სხვა უწოდებენ, ხოლო ჰულაგუს ჯარს — „ახალ მხედრებს“.

აღნიშნული უფლისწულები ჰულაგუს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, რის გამოც, მანგუ ყაენის არღუეებს, რომლებმაც ჰულაგუ ყაენად დასვეს, ისინი სიკედილით დაუსჯიათ. მათი ჯარებიც გაუფლტიათ და მხოლოდ ორ მხედართმთავარს, გრიგოლ აკანელის ცნობით, ნუხა-ქოუნს, და არადამურს (ქმათააღმწერლით — ალათემურს) მოუსწრია ბერქა ყაენთან გაქცევა. ბერქა მათ გამოხარჩლებია და დაწყებულა ბრძოლები ოქროს ურდოს ყაენსა და ილხანს შორის.

ჰულაგუს საზაფხულო რეზიდენციად აურჩევია ალატალი (ანუ „მწარე ველი“ — დარანის ველი, სომხური წყაროებით), სადაც მას აუგია სასახლე (კირაკოსისა და ვარდანის ცნობით — ქალაქი).

გრიგოლ აკანელის ცნობები ამ საკითხზე უფრო დაწვრილებითია სხვა სომხურ წყაროებთან შედარებით.

კირაკოს განძაკელი:

კირაკოსის ცნობით ჰულაგუმ უბრძანა თათართა ჯარებს, რომლებიც იყვნენ აღმოსავლეთში, ბაჩუ ნოინის ხელქვეითს, რომ მთელი თავისი ქონებით დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებლები მულანში; ალბანეთში, საქართველოსა და სომხეთში და წასულიყვნენ რუმის ქვეყანაში. თათართა ჯარს, მართალია, ეძნელებოდა ამის შესრულება, მაგრამ იძულებული იყო წასულიყო რუმისაკენ. ააოხრა ის და გაჩერდა აქ¹.

კირაკოსისვე ცნობით ჰულაგუ ყაენს შეუერთდნენ ბათუ ყაენისაგან:

¹ კირაკოს განძაკელი, გვ. 358—360.

ბალახა, ტუთარი, ღული — ჩინგიზის შვილიშვილები, რომლებიც იწოდებოდნენ ღმრთის შვილებად².

ჰულაგუსთან იყვნენ დიდი და სახელოვანი მთაწერები, ბათუსი და ბერქას ნათესაეები: ხული, ბალახა, ტუთარი, მილანი (ხულის ძე), ლატლანი. ჰულაგუმ ისინი ყველა გაწყვიტა მათი ჯარით, რადგან ისინი ერეოდნენ მის ბრძანებაში. მხოლოდ ზოგიერთმა მოასწრო ბერქასთან გაქცევა, რომელიც წამოვიდა თავისი ნათესაეების სისხლის ასაღებად³.

კირაკოსისვე ცნობით ჰულაგუმ იწყო დიდი ქალაქის შენება დარანის ველზე, რომელიც მისი საზაფხულო სადგომი იყო⁴.

ვ ა რ დ ა ნ ი :

„704 [1255] წელს მოვიდა ჰულაგუ, ძმა მანგუ დანისა, უთვალავი ჯარით და უფლების სიმკაცრით სპარსელებზე, ასურისტანელებზე, სომხებზე, ქართველებსა და ალვანელებზე.

„ბრძანება მისცა ადრე მოსულ ჯარს მთელი თავისი ავლადიდებით წასულიყვნენ ჰორომთა ქვეყანას. მათ შინით დატოვეს ზემო ქვეყანა და წავიდნენ იძულებით. დაუფლნენ მთელ შუა ქვეყანას, ვიდრე ზღვამდე, რომელიც ჰორომთა სულტნების ხელისუფლების ქვეშ იყო“⁵.

„მისი უფროსი ცოლი ტოლუზ-ხათუნი ქრისტიანი იყო, ასურელთა მოძღვრებისა, რომლებსაც ნესტორიანებიც ეწოდებოდათ, მაგრამ არ იყო გაცნობილი მათ მწვალებლობას, და გულწრფელი სიყვარულით ადიდებდა ქრისტიანთა ყველა ტომს და ალავლენდა ლოცვას, ისევე, როგორც თვით ილხანი ჰულაგუ. მათთან ატარებდნენ ეკლესიის მოყვანილობის ტილოს კარავს. მეზარის ხმასა და წირვა-ლოცვის წესზე მსახურებდნენ მუდამ მღვდლები და დიაკვნები. ჰქონდა მათ სკოლები და [წვრთნიდნენ] ბავშვებს თავისუფლად. იქ ისვენებდნენ ეკლესიის მსახურნი, რომლებიც ყოველი მხრიდან და სხვადასხვა ქრისტიან ხალხთაგან მოდიოდნენ და ეძიებდნენ მშვიდობას, პოვებდნენ მას და ბრუნდებოდნენ სიხარულითა და საჩუქრებით“⁶.

„დაბრუნდა ჰულაგუ საზამთრო სადგომში — მუდანის ველზე — და საზაფხულო სადგომში დარანის მხარეს, ანუ სხვანაირად — დარანის ველზე. იქ, მთების ახლოს, მდებარეობენ გამოქვაბულები და კლდოვანი ციხეები გარშემო. ეს [ადგილი] შეიყვარა მან და გააჰენა აქ ნაგებობები

² კირაკოს განძაკელი, გვ. 359.

³ იქვე, გვ. 378 - 379.

⁴ იქვე, გვ. 380.

⁵ ვარდან ი, გვ. 195.

⁶ იქვე, გვ. 196

თავისი სურვილის მიხედვით. განიზრახა აეგო ქალაქი, რის გამო და-
ზარალდა ეს ქვეყანა, [რადგან] კაცი და პირუტყვი შორიდან ზიდავდა
მძიმე მორებს“⁷.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი:

„... მოვიდა ჰულაგუ დანი, შვილისშვილი დიდი ჩინგიზ დანისა“⁸.

„... დიდად მოყვარე იყო [ჰულაგუ] ქრისტიანთა, ამის გამო ყვე-
ლა ტომი მორწმუნეებისა ნებაყოფლობით დამორჩილდა მას და დიდად
შეუწყო ხელი და დაეხმარა“⁹.

„... [სუმბატი] წავიდა ბასენში, ჰულაგუს ბრძანებით, ფიქვის ხეე-
ბისათვის, რადგან [ჰულაგუ] აშენებდა დიდ სასახლეს მწარე ველზე, რო-
მესაც ალადალს უწოდებენ“¹⁰.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (XIII ს.):

„705 [1256]. ჰულაგუ დანი მოვიდა ალამუტს მულჰეტი აილო“¹¹.

„711 [1262]. ხული და ბალახა გაიქცნენ“¹².

ა ნ ო ნ ი მ ი ს ე ბ ა ს ტ ი ე ლ ი, ჟ ა მ თ ა ა ლ წ ე რ ა (XIII ს.):

„704 [1255]. დიდი ჰულაგუ, მანგუ დანის ძმა, მოვიდა უთვალავი
ჯარითა და დიდი ხელისუფლებით აღქურვილი სპარსეთს, ასურასტანს,
სომხეთს, საქართველოსა და აღვანეთში. უბრძანა მთელ თავის ჯარს,
რომელთა მეთაური იყო ბაჩუ, გამოსულიყო მათ მიერ დაკავებული
ქვეყნიდან — მულანიდან, რადგან თვით უნდა დამსხდარიყვნენ აქ. ისინი
გამოვიდნენ და წავიდნენ ჰორომთა ქვეყანაში, ხოლო სულტანი გაიქცა
და წავიდა ალაიას. მათ იპყრეს მთელი შუა ქვეყანა, ვიდრე ზღვამდე
და გაბატონდნენ ყველა [აქ მდებარე] ქვეყანაზე“.

რ ა შ ი დ - ე ღ - დ ი ნ ი:

„[მანგუ ყაენმა] ჰულაგუ ხანი დანიშნა ირანის ქვეყნის დასავლეთ
მხარეებში, სირიამი, მისრში, რუმსა და სომხეთში...“

„... ჰულაგუ ხანი, ყველა თანამოგვარის თანხმობით, გააგზავნა
ირანის მიწაზე და იმ სამფლობელოებში, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ,

⁷ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 198—199.

⁸ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 402.

⁹ ი ქ ვ ე, გვ. 403.

¹⁰ ი ქ ვ ე, გვ. 415.

¹¹ წვრილი ისტორიკოსები, II, გვ. 141—142.

¹² ი ქ ვ ე, I, გვ. 43.

დაადგინა, რომ ის ჯარი, რომელიც ადრე ბაიჯუსა და ჩურზალანთან ერთად გაგზავნეს ტამას [სამსახურისთვის], მდგარიყო ირანის მიწაზე, ხოლო ის ჯარი, რომელიც აგრეთვე გაგზავნეს ტამას [სამსახურისთვის] კაშიმირსა და ინდოეთში დაირ ბაჰადურთან, დამორჩილებოდა ჰულაგუ ხანს.

„როცა ეს დანიშვნა მოათავა, [მანგუ ყაენმა] გაგზავნა ჩინეთში შიკრიკინი, რათა მოეყვანათ ათასი ჩინელი ქვისმტყორცნელი და მეარბალეტე. წინ გაგზავნეს შიკრიკინი, რომ მათ ჰულაგუ ხანის ლაშქრის გასაველელ გზაზე, ყარაყორუმიდან ჯეიხუნის ნაპირებამდე, ნაკრძალად გამოეცხადებინათ ყველა წინდორი და საძოვარი და აეგოთ მტკიცე ხიდები ღრმა მდინარეებზე.

„წინ, მოთავე რაზმით გაგზავნეს ქითბულა ნოინი, ნაიმანის გვარადან, რომელსაც ჰქონდა ბაურჩის წოდება, 12.000 კაცით და ის საჩქაროდ გაემართა წინ. მოვიდა ხორასანში, დაუცადა ყოველსმპყრობელ დროშებს და შეუდგა კუხისტანის მხარის დაპყრობას“¹².

„... ვეფხვის წლის შემოდგომაზე, რომელიც დაემთხვა ზი-ლ-ხიჯჯეს თვეს, 651 წელს [1254], ძმის ბრძანებულების თანახმად, დატოვა ადგილზე ალალი და გაემართა მრავალრიცხოვანი ჯარით ამ მხარეებისაკენ“¹³.

„ზი-ლ-ხიჯჯეს თვის პირველ რიცხვს, 653 წელს [11.1256] [ჰულაგუ] ხანი, ძლევაში იყო ჯარით, გადავიდა ჯეიხუნზე“¹⁴.

„... ნაბრძანები იყო, რომ ბაიჯუ ნოინი და ლაშქარი, რომელიც ადრე ჩორზალანთან ერთად მოვიდნენ, წასულიყვნენ რუმში...“¹⁵.

„ბაიჯუ ნოინი მაშინვე გატრიალდა და წაიყვანა ჯარი რუმის მხარეში. ამ ხანებში რუმის სულტანმა ყიას-ად-დინმა, ქეიხოსრო ალა-ად-დინის ვაჟმა, ბრძოლა გაუმართა ბაიჯუ ნოინს კოსედალს და დამარცხდა. ბაიჯუმ დაიკავა მთელი რუმი და ხელი მიჰყო [ხალხის] ძარცვასა და ხოცვას. ჰულაგუ ხანი მეფის მვილებით: ყულით, ბულაღით¹⁷ და ტუტარით, და უფროსი ამირებით: ბელა-თემურით, კულუსუნით, კატათი¹⁸, სუნჯაკითა და კოქე-ელკეთი დადგა ხამადანის ველზე... რომელიცაა საძოვარი... და შეუდგა ჯარის აღჭურვასა და შეიარაღებაზე ზრუნვას“¹⁹.

„ამავე ხანებში უეცრად გარდაიცვალა ნადიშე მეფისწული ბულა,

¹² რა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 21.

¹³ იქვე, გვ. 23.

¹⁴ იქვე, გვ. 24.

¹⁵ იქვე, გვ. 21.

¹⁷ სომხური წყაროების ზალახა.

¹⁸ სომხური წყაროების ლატა.

¹⁹ რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 31.

შიბანის ძე, შვილიშვილი ჯუღისა. შემდეგ ექვი შვიტანეს ტუთარ-ოღულის გრძნეულებაზე და ლალატზე. დანაშაულის დადასტურების შემდეგ ჰულაგუ ხანმა გაგზავნა ის, სუნჯაქის თანხლებით, ბერქასთან სამსახურში. [სუნჯუქმა] მოახსენა მისი დანაშაული.

„ბერქამ, ჩინგიზ ხანის იასის ძალით, გააგზავნა ის ჰულაგუ ხანთან და საფარის თვის 17 რიცხვს 658 წელს (2, II. 1250) ის დასაჯეს სიკვდილით. სიკვდილით დასაჯეს აგრეთვე საღრ-ედ-დინ საეჯი. შემდეგ გარდაიცვალა ყულიც. აღნიშნული უჯლისწულების სიკვდილით დასჯის შემდეგ, მათი ჯალაბი გაიქცა და დარუბანდისა და გილანის ზღვის გზით გაემართა ყივჩაღის მხარეში“²⁰.

„ბერქაჲ განუწყვეტლივ გზავნიდა შიქრიკებს [ჰულაგუსთან] და ამჯღაენებდა თავის ძალაუფლებას. იმის გამო, რომ ბერქა იყო უფროსი ძმა, ჰულაგუ ხანი ითმენდა. როცა მის [ბერქას] ნათესაეებს: ტუთარს, ბულას და ყულის შეემთხვათ [ზემოაღნიშნული ამბავი], მათ შორის თავი იჩინა მტრობამ და სიძულელიმა, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა. სიკიზინჯის თვეში, რომელიც შეესაბამება მეორე შავადს 660 წლის [20. XIII. 1262], ის დაიძრა ალატალიდან. შირემუნ²¹ ნოინი მან გაგზავნა მოწინავე რაზმში²².

„[ჰულაგუს] უფროსი ცოლი -- დოკუზ-ხათუნი, ძეალი ქერეთისა, ქალი უიკუსი, ძისა ონგ ყაენისა. რადგან ის იყო ცოლი [ჰულაგუ ყაენის] მამისა, ამიტომ ის იყო სხვა ცოლებზე უფროსი.

„ის სარგებლობდა პატივისცემით და იყო უჯლებისმოყვარე, რადგან ქერეთის ხალხი უმთავრესად ქრისტიანობას აღიარებს, ის მუდამ მხარს უჭერდა ქრისტიანებს და ისინი მის დროს გაძლიერდნენ. ჰულაგუ ყაენი ასრულებდა მის ნებას და მფარველობას უწევდა ამ ხალხს. ყველა სამფლობელოში ააგო ეკლესია, ხოლო დოკუზ-ხათუნის საწყოფელთან მუდამ დგამდა პატარა ეკლესიას, [სადაც] რეკდენ ძელზე“²³.

„ჰულაგუ ხანს ძლიერ უყვარდა მშენობლობა და მის მიერ აგებული ნაგებობათაგან ბევრი შემორჩა. ალატალში მან ააგო სასახლე, ხოლო ხოეში ააგო კუმირნი“²⁴.

²⁰ რა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 54.

²¹ სომხური წყაროების სირამუნი.

²² რა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 59—60.

²³ იქვე, გვ. 16.

²⁴ იქვე, გვ. 61.

ე მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„ხოლო ამათ ჟამთა შინა იქმნა საქმე ესე. ამას მანგუ ყაენს ესხნეს ძენი ორნი, უხუცესი ვითარმე ყუბილ ყაენ და უმრწამესი ულო რომელსა ეჯნობითცა უჭმობდეს. ამან მანგუ ყაენმან განაჩინა ყაენად პირმშო ძე თჳსი ყუბილ ყაენ, და უბრძანა ლაშქრობა დასაველეთით კერძო, ბაბილოვანსა, რომელ არს ბაღდადი, და ეგჳპტისა და ყოვლისა დასაველეთისა კერძოთა, ხოლო ულოს უბრძანა წარსლეა დიდთა ინდოეთად და ზუნ განლაშქრობა“.

ულომ და ყუბილ ყაენმა გაცვალეს ლაშქრობის ადგილები.

„... მოუწოდა [მანგუმ], ძესა თჳსსა ულოს, და მისცა ლაშქარი ვითარ ექუსი ზევრი მწედარი, დედაწულითა მათითა და ხუასტაგითა და განაჩინა მწედართ-მთავრად, რომელთა - იგი ულოს ნოინობით უჭმობდეს და აწ ბეგლარბეგად, სახელით ელგა ნოინი, ნათესავით ჯალარი, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და სამართლის მოქმედი. ამას მოსცა მწედარნი ვითარ ათი ათასი, და წარვიდეს ულო და მწედართ მთავარი მისი ელგა ნოინი, განელეს თურანი და ჯეონი, მოიწივნეს ხუარასნის არესა და მიერ აღმუთს. ვითარ მოიწივნეს ბრძოლად აღმუთისა, მოკუდა მანგუ ყაენი და დასუეს ტახტსა მამისა მისისასა ყუბილ ყაენ, რომელი მამასა მისსა დაედგინა ყაენად და დარჩეს ყარაყურუმს ზემოკსენებულნი ესე კელმწიფენი, უცალოებისაგან თათართასა.

„ხოლო ულო მოიწია ადარბადაგანს მწედრითა სამოცი ათასითა. ვითარ ცნეს ნოინთა, ჩორმალან, იოსურ, ბიჩუი და ანგურაგ, წარემართნეს მიგებებად ულოსა, და თანა წარიტანნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი... და მიეგებნეს ადარბადაგანს. და შეკრბეს ორნივე თათარნი: პირველ მოსულნი, რომელთა თამბობით უწოდეს, და ულო ყაენს თანა მოსულნი.

„და წარჩინებულნიცა საქართველოსანი მივიდეს ულოს წინაშე, იხილნა და კეთილად შეიწყნარან... და წარმოვიდეს და მოვიდეს ადგილსა, რომელსა ეწოდების ალატალი, და მივიდეს ყოველნი მორჩილნი წინაშე მისსა. და დაჯდა ტახტსა საველმწიფოსა, და ილოცეს წესისაებრ მათისა და უწოდეს ყაენად. რამეთუ პირველ მათ თაიჩუთთა²⁵ ოთხთა ნოინთა მიერ განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელისა მათისა. პირველად რომეუარი, რომელ არს ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოვაკანი, ბარდავი, შარვანი, საქართველო ყოველი, ხლათი და საბერძნეთი დიდი, ვიდრე ასიადმდე; — ამათ ოთხთა ნოინთაგან განეგებოდა, და მათი საურავი იყვის, ვითარ ძუელ ოდესმე, შემდგომად საკადრებელისა,

²⁵ T_{mm}-თამჩთა, გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ თ ა ნ : „თემაჩები“.

რომისა და რომოსიონთა ქუეყანასა განაგებდეს ოთხნი იპატოსნი. და ვინათგან მოიწია ულო, იწყო საურავად ქუეყანათა, და განაგებდა წესთა ყაენობისათა აღსრულებად.

„მათვე ჟამთა, წარმოავლინეს სხუათაცა ყაენთა შვილნი მათნი, რომელთა ქოუნ უწოდინ: ბათო ვიდრემე ტუთარ, და ჩალატა ყაენის შვილმანუშან ყული და თულის ნათესავისგან ბოლლა, რათა ქუეყანა მათი წილბდომილი ყაენის შვილთა დაიპყრან, და ხარაჯასა იგინი აიღებდენ. და ოქოთა ყაენის შვილის შვილი. ყუბილ ყაენის ძმა ულო, აქ დახუდა, პირველ მოსული. და ვითარ იხილნა ულო სამნი ესე ქოუნნი, შეყწნარნა და მისცა ქუეყანა ხუედრი მათი, და ესრეთ მშუდობით იყოფოდეს“²⁶.

„...ყაენთა შვილნი ზემოქსენებულნი, ულოს თანა წარგზავნილნი, ტუთარ, ყული და ბალალა, დაიპყრნა ყაენშან ულო. და მოკლნა სამნივე, და დაიპყრა ქუეყანა მათი, და ყოველი სიმდიდრე მათი, და ვითარ ცნეს სიკუდილი პატრონთა მათთა საბერძნეთს მდგომთა დედაწულითა, რომელთა თავადი იყო ალათემურ ვინმე, კაცი სახელოვანი, აიყარა ბარგითა და დედაწულითა, და ივლტოდა, და მომართა სამცხის კერძო. ცნეს თათართა ულო ყაენისთა სივლტოლა ალათემურისი, დევნა უყვეს და მოეწივნეს, და იგინი დაბრუნდეს და შეებნეს, და მრავალი კაცი მოკლეს ულოს ლაშქრისა. და, რათა არა განგრძელდეს სიტყუა, ვიდრე კოლის მათთა მოსვლამდე ათორმეტჯერ მოეწივნეს და ათორმეტჯერ შეებნეს, და ათორმეტჯერვე ალათემურ მოერია და გააქცივნა. და ესრეთ მოიწივნეს ქუენა არტანს, სოფელსა, რომელსა ჰქვან გლინავი. და მუნ დახუდა მურვან გურკელელი, მახუნჯავის ძე. წინა შემთხვა ნადირობას მიმავალი, რომელი შვიპყრეს თათართა და კინლა მოაკუდინეს. ხოლო იგი ვეედრა და აღუთქუა ლიხთ-იმერით წარყვანება მათი და ვგრეთ ბერქის ყაენს წინაშე წარსხმა, ხოლო იგინი მიენდვნეს. წარმოიყვანნა და მოასხნა სამცხეს, და მოასხნა გურკელის ჭალას, და ესრეთ განსცნა: წარავლინა კაცი და ამცნო სარგის თმოგუელსა და შალვას ბოცოს ძესა, და ყოველთა მესხთა და სარგის ჯაყელის ლაშქართა, რათა შეკრბენ ერთად და შეიპყრან ალათემურ და მიქგუარონ ულო ყაენს. და წარმოეპართნეს, და სცნა ესე ალათემურ, აიყარა ბარგითა და დედაწულითა, და გამოელო მტკუარი და მომართა ჯავახეთით კერძო, შემოიარა ელასის შემოღმართი, და მივიდა ოშორას ქუეჰეთ, ადგილსა. რომელსა რქვან ლერძაენი, რამეთუ თმოგუელი მუნ დაუდგა წინა, რომელი იხილნა რა, მორიდნა სარგის და ბოცოს ძე, და ლაშქარნი ერთკერძო მოსდევდეს, და გურკელელი მურვან მართლ-კულასა შედგომილი

²⁶ ე ა მ თ ა ა ლ ე წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ. გვ. 221—224.

მოსდევდა, და მოეწია გურკელელი მცირითა ლაშქრითა, რამეთუ ბო-
ცოს ძე და სარგისის ლაშქარნი არ მოვიდეს არცა შუელად გურკელე-
ლისა. შეიბნეს ძლიერად, სძლეს თათართა და მრავალი ტაძრეული აზ-
ნაური მოკლეს, და ივლტოდა გურკელელი. ხოლო თათართა განვლეს
ჯავახეთი და თრიალეთი, და რუსთავს მტკუარს გავიდეს, და მრავალ-
გან მიეწიენეს თათარნი და სომხთარნი ლაშქარნი, რომელთა თვთოფუ-
ლად არა არს ჟამი მოთხრობად, ყოველგან ალათემურ მძლე ექნა. და
განვლეს კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს
გზასა ბელაქნიასა. შევიდეს ლუნძეთს, რამეთუ წინა-განეწყო მეფე ლუნძ-
თა, და სძლეს თათართავე, და განმარჯუებულნი მივიდეს ბერქა ყაენს
წინაშე. და ესრეთი საკვრელი საქმე ქმნეს, და ამათთანანი თათარნი
სადაცა დარჩეს, აღნარლომობით უკმობდეს, ესე იგი არს უფროსთანი
გინა უხუცესთანი. ამისთჳს განძვნებული ბერქა განეშადა გამოსლვად,
და ამათ თეთრსა წყალსა ზედა ლობე შეკრეს, და მუნ იზამთრიან, ვი-
თარცა მითქუამს²⁷.

ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ ჰულაგუს საზაფხულო სადგომი
იყო ალატალი, ხოლო საზამთრო — ყარაბალი, მულანი²⁸.

XVI. სადუნ მანკაბარდელის განდიდება

(გრიგოლ აკანელი, გვ. 46,9—48,27)

მონღოლთა ბატონობის ხანაში გაჩნდნენ მედროვეები, რომლებ-
მაც სხვადასხვა საშუალებებით ხელში ჩაიგდეს დიდი სიმდიდრე და
ძალაუფლება. ერთ-ერთი ასეთი მედროვე იყო სადუნი, რომელიც მორ-
კინალობითა და მრავალი ენის ცოდნით ჰულაგუს კარზე დაწინაურდა
და შემდეგ, ჟამთააღმწერლის ცნობით, საქართველოში, მეფის შემდეგ,
პირველი კაცი გახდა, ხელთ ჩაიგდო რა ათაბაგობა და დიდძალი
მამული.

გრიგოლ აკანელი აგვიწერს იმ ეპიზოდს, როცა სადუნი პირველად
გამოჩნდა ჰულაგუს კარზე — მის შერკინებას დიდი ყაენისგან გამოგ-
ზავნილ ფალავანთან. შემდეგ კი, ისტორიკოსი აღნიშნავს, თუ როგორ
გაძლიერდა სადუნი. სადუნის დაწინაურებას გვამცნობს აგრეთვე კირა-
კოს განდაკელიც:

კირაკოს განდაკელი:

„სასუნელთა უმაგრესი ქვეყანაც დაემორჩილა აგრეთვე თათრებს,
მიენდო რა მთავარ სადუნს შერბაროქის ძეს, შვილიშვილს სადუნისას,

²⁷ ჟამთააღმწერელი, კართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 251—253.

²⁸ იქვე.

ქრისტიანს სარწმუნოებითა და კეთილი საქმით, და დიდი პატივით მყოფს ჰულაეუსთან. ის იყო წარმოსადეგი ტანისა და ისე მხნედ ზებრძოლი, რომ ჰულაეუმ ის მოწინავე ფალანგებთან განაწესა. მას მისცა სასუნის მხარე¹.

XVII. ბალდადის ალაბა მონდოლთა მიერ

(გრიგოლ აკანელი, გვ. 37,5—38,34)

გრიგოლ აკანელი, ისევე როგორც მონდოლთა შესახებ არსებული სხვა წყაროები, გვამცნობს ჰულაგუ ყანის მიერ ბალდადის ალებას და ხალიფას მოკვლას. გრიგოლ აკანელი გვამცნობს, რომ ჰულაგუმ ხალიფა, რომელიც ძლიერ მდიდარი ყოფილა, დასასჯელად აბიმშილა და შემდეგ ოქრო მიუტანა საქმელად. დაახლოებით მსგავსი ცნობა აქვს აგრეთვე მარკო პოლოს.

ბალდადის ალების შესახებ თხრობაში ნიშანდობლივი დამხვევებია დეტალებში კირაკოს განძაკელსა და ჟამთააღმწერელს შორის (ხალიფას მოკვლა ჰულაგუს მიერ და მისი შვილისა ჰულაგუს შვილის მიერ). გრიგოლ აკანელსა და კირაკოს განძაკელს შორის (ხალიფას ქადილი მაჰმადის დროში) და კირაკოსსა და რამიდ-ედ-დინის შორის (ბაჩუს ლაშქრის გაგზავნა წინასწარ, გზების შესაკრავად). ანონიმი სებასტიელის ცნობა გადაწერილია ვარდანიდან.

მოვიყვანოთ წყაროთა ცნობები:

კირაკოს განძაკელი:

„707 [1258] წ. თვით [ჰულაგუმ] უბრძანა ყველა ჯარსა და ყველა მის ხელქვეით მორჩილ [ხალხს], შეკრებილიყვნენ ერთად [და გაელაშქრათ] არაბთა სამფლობელოს დიდ ქალაქზე, რომელსაც ჰქვია ბალდადი. ის იყო სპარსელებსა და ასურელებს შუა და ჯერ არ აეღოთ. ხალიფა, რომელიც იჯდა მასში, იყო მაჰმადის ნათესავი. ხალიფას უწოდებდნენ მოადგილეს, რომელსაც ემორჩილებოდნენ ყველა არაბთა სარწმუნოების მიმდევარი სულტანი, თურქთა, ქურთთა, სპარსთა, ილამელთა და სხვა ხალხებისა. ის იყო მთავარი მბრძანებელი მათ სახელისუფლოში. ისინი პირობით ემორჩილებოდნენ და პატივს სცემდნენ მას, როგორც თანამეტომესა და ნათესავს მათი კანონმდებლისა, მათი პირველი შემაცდენელისა.

„ამ ღალანში წავიდნენ აგრეთვე დიდ-დიდი მეთაურები ბათუს.

¹ კირაკოს განძაკელი, გვ. 370.

მხარეებიდან: ღული, ბალაღა, ტუტარი და ღატა ღანი, რადგან ყველა პატივს სცემდა ჰულავეუს, როგორც ღანს, ემორჩილებოდნენ მას და ეშინოდათ მისი¹.

„ხოლო დიდმა ჰულავეუმ, რომელიც იყო მისი [მანგუ ყანის] ძმა და განწესებულ იყო მის მიერ აღმოსავლეთში მყოფი ჯარების მეთაურად, უბრძანა ყველა მის მორჩილებაში მყოფს, ერთად წასულიყვნენ არაბთა დედაქალაქ ბაღდადში, სადაც იყო არაბთა სამეფო ტახტი. მეფე, რომელიც აქ იჯდა, არ იწოდებოდა სულტნად, ან მელიქად, როგორც ჩვეულებრივ იწოდებიან სხვა ხელისუფლები, რომლებიც, თურქთა, ქურთთა და სპარსთა შორის იყვნენ, არამედ მას ეწოდებოდა ხალიფა, ე. ი. მოადგილე მაჰმადისა.

„მის წინააღმდეგ დაიძრა დიდი ჰულავეუ ყველა დამორჩილებული ხალხის უთვალავი სიმრავლით, შემოდგომისა და ზამთრის დროს, იმ ქვეყანაში დიდი სიციხის გამო. თავისი წასვლის წინ უბრძანა ბაჩუ ნოინსა და ჯარს, რომელიც მასთან იყო ჰორომთა ქვეყანაში, წასულიყო და გარემოეცვა დიდი მდინარე ტიგროსი, რომელზედაც იყო აშენებული ქალაქი ბაღდადი, რომ არავინ გაქცეულიყო ნავით ქალაქიდან და შესულიყო კატისბონს [ქტეზიფონს], ან უმაგრეს ბასრაში“².

„გაგზავნა ჰულავეუმ მამაცი პროში და სხვები მოციქულად ხალიფასთან, რომ დამორჩილებოდა მას და ხარკი ეძლია ღანისთვის. მან უპასუხა სითიცხითა და შეურაცყოფით, მიწერა თავისთავზე, რომ ვარო ჯაჰანგირი, უფალი ზღვისა და ხმელეთისა, იქადიდა მაჰმადის დროშას, აქ არისო, ამბობდა, და თუ დაეძრავ მას, საერთოდ დაიღუპები შენცა და მთელი სამყაროც. შენ ერთი ძალღი ხარ, ხოლო მე თურქი ვარ, როგორ მოგცე შენ ხარკი, ან როგორ დაგემორჩილო“³.

„ოთხი დღის შემდეგ გამოვიდა ხალიფა მუსთასარი ორი შვილითა და ყველა დიდებულით. მრავალი ოქრო, ვერცხლი, პატიოსანი თვლები და ძვირფასი ტანსაცმელი აეკიდათ და მიჰქონდათ ჰულავეუსა და მის დიდებულთათვის ძღვენად.

„მან პირველად განადიდა ის, ბრალს სდებდა მხოლოდ იმაში, რომ დაიგვიანა და მყისვე არ მოვიდა მასთან, შემდეგ კი ჰკითხა მას: „ვინა ხარ შენ, ღმერთი ხარ თუ კაცი?“ მან უთხრა: „კაცი ვარ და მონა ღმრთისა“. შემდეგ უთხრა ჰულავეუმ: გითხრა ღმერთმა შენ, რომ გაგელანძღე მე და ძალღი გეწოდებინა [ჩემთვის] და არ მოგეცა ღმრთის ძალღისთვის საკმელი და სასმელი? ეხლა დამმევისას ღმრთის ეს ძალღე

¹ კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ. 361.

² იქვე, გვ. 362—363.

³ იქვე, გვ. 364—365.

შეგვიკამს შენ“. და მოკლა ის თავისი ხელით. „ეს პატივია შენთვის, რომ მე მოგკალ შენ და არ მიგეცი სხვა ვისმეს მოსაკლავად“. ხალიფას ერთი ვაჟის მოკვლა უბრძანა თავის ვაჟს, ხოლო მეორე ვაჟი მსხვერპლად შესწირა მდინარე ტიგროსს“⁴.

„უბრძანა [ჰულაგუმ] ყველა ჯარს წაეღოთ ქონება და სიმდიდრე ქალაქისა, აივსო ყოველი ოქროთი, ვერცხლით, პატიოსანი თელით, მარგალიტითა და ძვირფასი ტანსაცმლით, რადგან ქალაქი იყო ფრიად მდიდარი, რომლის მსგავსი არ იპოვებოდა დადამიწაზე. თვით ჰულაგუმ აიღო თავის წილად ხალიფას განძი და დატვირთა მით 3.600 აქლემი; ცხენის, ჯორისა და ვირის არ იყო სათვალავი. სხვა სახლები აავსო განძით, დაბეჭდა თავისი ბეჭდით და დაუყენა მცველები, რადგან ვერ შეძლო ყველაფრის წაღება, ამიტომ რომ აურაცხელი იყო ქონება“⁵.

ვ ა რ დ ა ნ ი :

„707 [1258] წელს მამაცმა ჰულაგუმ აიღო ბაღდადი, 515 წლის შემდეგ მისი აშენებისა (ჯაფარისა და ისმაიტელთა მიერ—194 [745] წელს, სომეხთა წელთაღრიცხვით), [მდებარე] მდინარე ტიგროსზე, როგორც ამბობენ 7 დღის გზის დაშორებით ძველი ბაბილონიდან. თავისი ხელით მოკლა ჰულაგუმ ხალიფა, რომლის სახელი იყო მუსტასარი. გადარჩნენ ქრისტიანები, რომლებიც აქ იყვნენ დიდი დედოფლის დოხოზის ნებითა და შუამდგომლობით. ხალიფას ეტყოდნენ მოადგილეს მაჰმადის ტომიდან, რომელიც გამოჩნდა 60 [611] წელს სომეხთა წელთაღრიცხვისა და უქანასკნელი [ხალიფა] ცხოვრობდა 707 [1258] წლამდე“⁶.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი :

„აიღო [ჰულაგუმ] დარჩენილი პარველთაგან ქალაქი ბაღდადი, სადაც მოკლა ხალიფა 707 [1258] წელს“⁷.

ა ნ ო ნ ი მ ი ს ე ბ ა ს ტ ი ე ლ ი , ე ა მ თ ა ა ლ წ ე რ ა (XIII ს.):

„707 [1258]. მამაცმა ჰულაგუმ აიღო ბაღდადი, რომელიც აშენებინა ჯაფარ ისმაიტელს. იღვა მისი ნაგებობა 517 წელს. იყო ქალაქი მდინარე ტიგროსზე, ძველი ბაბილონიდან 7 დღის სავალზე. მოკლა ხალიფა“⁸.

⁴ კირაკოზ განძაკელი, გვ. 365—366.

⁵ იქვე, გვ. 367.

⁶ ვარდან, გვ. 197.

⁷ სტეფანოს ორბელიანი, გვ. 402.

⁸ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 142—143.

სტეფანოს ეპისკოპოსი (XIII ს.):

„707 [1257]. ჰულავუმ ბალდადი აილო“⁹.

კირაკოს რშტუნი (XV ს.):

„707 [1258]. ჰულავუმ ბალდადი აილო“¹⁰.

სარგის პიწაკ სისელი (XIV ს.):

„707 [1258]. ჰულავუმ ბალდადი ააოხრა“¹¹.

მარკო-პოლო:

„ბოდაკი — დიდი ქალაქია. როგორც რომში იმყოფება მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა მეთაური, ისე აქაც ცხოვრობს ხალიფი — მთელი მსოფლიოს სარაკინთა მეთაური. ქალაქის შუაში მიდის დიდი მდინარე [ტიგროსი]; მასზე შეიძლება ჩასვლა ინდოეთის ზღვაში [სპარსეთის ყურე]; ვაჭრები საქონლით დაცურავენ ამ მდინარეებზე ზევით და ქვევით. ბოდაკიდან ინდოეთის ზღვამდე კარგი თერამეტი დღის გზაა. ვაჭრები, რომლებიც მიდიან ინდოეთში, დაეშვებიან ამ მდინარით ქალაქ კისინდე და აქ შედიან ინდოეთის ზღვაში. სწორედ ამ მდინარეზე, გეტყვით კიდევ, კისისა და ბოდაკს შუა, არის დიდი ქალაქი ბასრა, მის გარშემო ქალებია და მოდის აქ მსოფლიოში საუკეთესო ფინიკი.

„ბოდაკში ამაღლებენ მსოფლიოში საუკეთესო ქსოვილს: ნასიტს, ნაკს, კრემზის; მათზე, სხვადასხვანაირად, მდიდრულად ამოქარგულია ყოველგვარი მხეცები და ჩიტები.

„მთელ ქვეყანაში ეს არის ყველაზე განთქმული და დიდი ქალაქი. ბოდაკის ხალიფს, ჰემმარიტად, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები უფრო მეტი აქვს, ვიდრე რომელიმეს. აი, 1255 წელს ქრისტეს დაბადებიდან, ალაუმ [ჰულავუმ] თაფართა დიდმა მეფემ, ძმამ იმ ხანისა, რომელიც ეხლა მეფობს, შეკრიბა დიდი ჯარი, თავს დაესხა ბოდაკს და აიღო ის ძალით. ეს იყო დიდი საქმე. ბოდაკში, ქვეითებს თუ არ ჩავთვლით, მარტო ცხენოსანი იყო ასი ათასი. როცა ალაუმ აიღო ქალაქი, გახსნა ხალიფის კოშკი, რომელიც საცხე იყო ოქროთი, ვერცხლითა და სხვა სიმდიდრით; არასდროს, არსად არ ნახულა ერთად ამდენი სიმდიდრე. შეხედა ალაუმ ამ სიმდიდრეს და გაუკვირდა. მოიხმო თავისთან ხალიფი და ეუბნება მას:

⁹ წერილი ისტორიკოსები, I, გვ. 43.

¹⁰ იქვე, I, გვ.

¹¹ იქვე, I, გვ. 105.

„ხალიფო, რისთვის შეაგროვე ამდენი სიმდიდრე? რა უნდა გექნა მისთვის? ან იქნებ არ იცოდი, რომ მე შენი მტერი ვარ და მოვდივარ დიდი ჯარით შენ გასანადგურებლად? თუ კი ეს იცოდი, მაშინ რატომ არ დაურთვე ეს სიმდიდრე ცხენოსან და ქვეით ჯარს, რომ ზათ დაეცავით შენ და შენი ქალაქი?“. დუმდა ხალიფი და არ იცოდა რა ეპასუხუნა. მაშინ თქვა ალაუმ კვლავ: „ეხედავ, მე ხალიფო, რომ გიყვარს შენ შენი სიმდიდრე, გაძლევ მას შენ, იყვებე მით“. ბრძანა ალაუმ გამოეცემათ ხალიფი სწორედ იმ საქურქლის კოშკში და აკრძალა ნისთვის საქმლისა და სასმლის მიცემა.

„ხალიფო, — ეუბნება ის მას შემდეგ, — ჰამე შენი სიმდიდრე, რამდენიც გსურს, შეგყვარებია შენ ის ძალიან და აღარ გექნება შენ არასდროს სხვა საქმელი!“.

მოკვდა ხალიფი ოთხი დღის შემდეგ. რაც კოშკში ჩასვეს...

მის შემდეგ აღარ იყო მეტი ხალიფი¹².

რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი ;

„[ჰულაგუ ხანმა] ინება მიეღო მტკიცე გადაწყვეტილება ბაღდადზე ლაშქრობისა და ბრძანა, რომ ჩორმალანისა და ბაჯუ ნოინის ლაშქარი, რომლის სადგომად დაწესებული იყო რუმი, ირბილიდან მარჯვენა ფრთაზე, შესულიყო მავსლში, გადასულიყო მავსლის ხიდზე და, დანიშნულ დროზე, დამდგარიყო ბაღდადის დასავლეთ მხარეს, რომ, როცა ჩვენი დრომები მოუსწრებდნენ აღმოსავლეთიდან, ისინი ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში იქეთა მხრიდან“¹³.

„ჯაქშაბათის თვის 11 რიცხვს, გველის წელს, რაც შეესაბამებოდა მუხარამის თვის 8 რიცხვს 656 წლისა [16.II.1258], ბაჯუ ნოინი, ბულათემური და სურჯაკი, დანიშნულ დონეზე, დუჯეილის გზით, გადავიდნენ ტიგროსზე და შილწიეს ნახრ-ი ისას მიდამოებს“¹⁴.

„...[ხალიფი] სამიენ შეილიდან ერთად: აბუ-ლ-ფაზლ, აბდ-არ-რახმანთან, აბუ-ლ-აბას ახმედთან და აბუ-ლ-მანაქიბ მუბარეჟთან გამოვიდა კვირას, საფარის თვის 4 რიცხვს, 656 [10.II.1258]. მასთან იყო სამი ათასი კაცი სეიდების, იმაშების, ყაზიების, ქალაქის დიდებულები და წარჩინებულები. მან ინახულა ჰულაგუ ხანი და ხელმწიფემ არ გამოამყვანა რაიმე რისხვა, არამედ ალერსითა და თავაზიანად გამოაქ-

¹² მ ა რ კ ი პ ო ლ ო, გვ. 59-60.

¹³ რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 39.

¹⁴ იქვე, გვ. 41.

კითხა [ჯანმრთელობა] და შემდეგ უთხრა ხალიფას: „უთხარი, რომ ქალაქის მცხოვრებლებმა დაჰყარონ იარაღი და გამოვიდნენ, რომ აღვრიცხოთ ისინი“¹⁵.

„ოთხშაფათი, საფარის თვის 7 რიცხვი [13.11] იყო დასაწყისი საყოველთაო ძარცვისა და მკვლელობისა. ჯარები ერთბაშად შევიდნენ ქალაქში და ცეცხლს მისცეს ნედლი და ხმელი. გარდა ცოტა არქაუნთა და უცხოელთა სახლებისა“¹⁶.

„დღის ბოლოს, ოთხშაბათს, საფარის თვის 14 რიცხვს, 656 წელს [20.11.1258] სოფელ ვაკეში ხალიფს მისი უფროსი შვილითა და ხუთი მსახურით, რომლებიც მასთან იყვნენ, მოუთავეს საქმე“¹⁷.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„ამათ ჯამათა ინება ულო ყაენმან აღმვედრება ბაბილოვანს ზედა, რომელ არს ბაღდადი, და ჯელმწიფესა ბაბილოვნელთასა ხალიფას ზედა, და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, და წარემართა ბაღდადს, ბრძოლის ყოფად ხალიფასა. მივიდა ქუეყანასა ბაბილოვნისასა, და ვერ წინააღუდგა ხალიფა, არამედ შეივლტოდა ბაღდადს, ხოლო ყაენი გარე შოადგა, და მოიკვა იგი ერთ-კერძო, თვთ ყაენი მოადგა წყალს აქეთ, და წყალს იქით ელგონ ნოინი, და ერთ-კერძო, დავით მეფე, რამეთუ მას წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი.

„და ბრძოდეს ძლიერად, არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბაღდადი. მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს ზღუდესა შიგან, შევიდეს ქართველნი, და იქნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპარსთა ბაღდადელთა, და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა. და ესრეთ განახუნეს კარნი ქალაქისანი. ქართველთა და თათართა და შევიდეს. ამისი მცნობელი ხალიფა, რომელ შევიდეს ქალაქად თათარნი, ივლტოდა ნავითა, წყალსა მას ზედა, რომელი ქალაქსა სდის. და ვითარცა იხილა ელგონ ნოინმან, რომელი იყო წყალსა იმიერ კერძო, მოუჭდა, და ვერ უძლო წარსლვად, არამედ უკუნ იქცა პალატად თქსად. ესრეთ ადვილად რა ჯელთ იგდეს სახელგანთქმული იგი ქალაქი ბაბილოვანი, ეინ-მე მიუთხარნეს განსაცდელნი და ჳირნი, რომელ მოიწივნეს ბაღდადს ზედა? მოსრნეს მახვლითა ესოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხვი, და ჰაესე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკუდართა მიერ, ხოლო

¹⁵ რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 43.

¹⁶ იქვე, გვ. 44.

¹⁷ იქვე, გვ. 45.

სიმდიდრისა და ალაფისა მაშინ პოენილთა ვინ-მე მიუთხრნეს? რამეთუ აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლითა, თუალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარიითა და შესამოსლითა, სამსახურებელითა ქურჭლითა, ოქროსა და ვეცხლისათა, რომელ არაეინ აიღებდა, თვნიერ ოქროსა და ვეცხლისა, თუალსა და მარგალიტსა, და შესამოსელთაგან კიდე. და სხუანი ქურჭელნი ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი, და მუნ შექმნილნი, სპილენძი და რკინა უპატიოდ იბნეოდა. და ესრეთ აღივსნეს ლაშქრნი, რომელ უნაგირი, კურდანი და ყოველი შეურაცხი სამსახურებელი თუალითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროთა განტენიან, და ზოგთა კრძალი ვადის პირსა მოსტეხდიან, და ქარქაში წითლითა განტენიან, და ზედა ნატეხნი კრძლისა ჩააგნიან, ზოგთა მკუდარი კაცი ბაღდადეგი გამოწლიან და წითლითა ოქროთა, თუალითა და მარგალიტითა განტენიან, და ვითარ თვისი მკუდარი განიყვანიან გარემე ქალაქსა. და ესრეთ რა აოჯრებდეს, ჰვოცდეს და ტყუე ჰყოფდეს, მიიწინეს პალატად ხალიფისა. გამოიყვანეს ხალიფა და ძენი მისნი, ცოლნი და ყოველი სიმდიდრე მისი განსაკრვებელი, და მოიყვანეს ხალიფა წინაშე ულო ყაენისა. და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა, ეტყოდეს ხალიფას, რათა თაყუანის-ცეს ყაენსა. ხოლო მან არა თავს-იღვა, დადგა და ეტყოდა: „ქელმწიფე ვარ, თვთმპყრობელი, და მონებასა ქუეშე არა ვის მყოფი. უკეთუ განმიტეოთ, დაგეპორჩილები: თუ არ განმიტეოთ, არღარავის მონებასა ქუეშე მყოფი მოვკუდები“. ხოლო იგინი აიპულეზდეს თაყუანისცემად, გამოუხუნიან ფერკნი მისნი, და იგი პირდაღმა დაეცის. და არა თაყუანის-ცა. ბრძანა განყვანება გარე და წარავლინა ელგონ ნოინი, რათა მოკლან ხალიფა და შვილნი მისნი, და რქუა ხალიფას: „ყაენმან შეგიწყალა“. და იგი მხიარულ იქმნა და ეტყოდა: „ვითარ შემიწყალებს, განმიტეოს, და ბაბილოვანივე მომკეს“. ხოლო ელგონ რქუა: „არა, არამედ ყაენი თვთ მისითა კელითა და კრძლითა მოგაქუდინაგბს, და ყაენის შვილი აბალა შენსა შვილსა მოკლავს“. და ხალიფა განკრვებული ეტყოდა: „უკეთუ მომკლავთ, გენებოს ძალღმან და გენებოს კაცმან მომკლას“. და ესრეთ მოიკლა ხალიფა, ყოველითა სახლეულითა მისითა. და შეიწყალნენ სხუანი დაშთომილნი ბაღდადელნი. და ბრძანა შენება. და დაყარა შანანი, და ესრეთ სავსენი ტყუე-ალაფითა მივიდეს სადგურს“¹⁸.

¹⁸ ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი. ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ. გვ. 232—234.

XVIII. გუზარდონის [მარტიროპოლის] ალუბა მონღოლთა მიერ

(გრიგოლ აკანელი, გვ. 38,34—39,33)

ბაღდადის აღების მეორე წელს, გრიგოლ აკანელის ცნობით, მონღოლები წავიდნენ მუფარდინის (მარტვილთა ქალაქის) ასაღებად და ხანგრძლივი ალყის შემდეგ, რამაც უკიდურესი შიმშილი ჩამოაგდო ქალაქში, აიღეს ის. კირაკოსის, ვარდანისა და რაშიდ-ედ-დინის ცნობით ეს ალყა გრძელდებოდა 2 წელი. სტეფანოს ორბელიანის ცნობით — 1 წელი. კირაკოსისა და ვარდანის ცნობით ქალაქი აიღეს 1260 წელს. სტეფანოს ორბელიანისა და რაშიდ-ედ-დინის ცნობით — 1259 წელს.

კირაკოს განძაკელი, შედარებით დაწვრილებით მიგვითხრობს მუფარდინის აღებას: ამასთან მისი თხრობა აქაც ნიშანდობლივ მსგავსებას პოულობს რაშიდ-ედ-დინის თხრობასთან (მუფარდინზე მოლაშქრე მონღოლთა სარდალი ჰულაგუს ძმა — რაშიდ-ედ-დინთან თუმშუტ, კირაკოსთან — ჯიასმუთი; მონღოლთა მიერ მუფარდინის მელიქისა და მისი ძმის შეპყრობა და სიკვდილით დასჯა და სხვა).

მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო თ წ ყ ა რ ო თ ა ც ნ ო ბ ე ბ ი :

კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი :

„ბაღდადის აოხრების იმავე წელს, დიდმა ჰულაგუმ, გაზაფხულის დადგომისას, შეკრიბა ჯარი. მისცა ხელთ თავის უმცროს ძეს, რომლის სახელი იყო ჯიასმუთ¹ და მასთან ერთად გაგზავნა თავისი სახლის დიდი ზედამდგომელი — ილიგია ნოინი. გაგზავნა ისინი მდინარე ეფრატის მხარეს დროს გასატარებლად, საალაფოდ და ამ მხარის დასამორჩილებლად.

„ვიდრე გაივლიდნენ მარტვილთა ქალაქს, რომელსაც ეწოდებოდა მუფარდინი, მოუწოდეს მცხოვრებთ დამორჩილებოდნენ, მიეცათ ჯარი და ხარკი და ეცხოვრათ უზრუნველად. მათი სულტანი იყო ედილთა ტომიდან. ის არ დაეთანხმა [თათართა წინადადებას], არამედ შეკრიბა ჯარი, გამოუდგა მათ, დახოცა ზოგი მათგანი და თვით შევიდა ქალაქში და გამაგრდა თათართა ჯარის წინააღმდეგ. მათ დატოვეს ქალაქთან ჯარის ნაწილი, თვით გაემართნენ ვიდრე დიდ მდინარე ეფრატამდე და შუამდინარეთამდე, აიღეს დავლა, რაც კი ნახეს და დაბრუნდნენ და შემატეს ჯამს, რომელიც იცავდა მარტვილთა ქალაქს.

„მოვიდნენ ჰულაგუსთან და აცნობეს, რაც გააკეთეს, აგრეთვე [მარტვილთა] ქალაქის აჯანყება. მან გაგზავნა მრავალრიცხოვანი ჯარი ქალაქის წინააღმდეგ და მეთაურებად დაუყენა ამ ჯარს ვინმე ჩალათა, რომელც იყო ზორავარი ადრე მოსული თათართა ჯარისა, ხოლო ქრის-

¹ რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი თ — მუშმეტი.

ტიანებს—მთავარი პროზი, რომელსაც ჰასანი ეწოდებოდა. [ორივე ესენი იყვნენ] კაცნი მამაცი და სახელოვანი. წაიღნენ, გარემოიცივეს ქალაქი ყოველი მხრიდან და არ უშვებდნენ შიგ არც შესვლელსა და არც გამომსვლელს. მოვიდნენ ისინი [თათრები] და ძლიერად იბრძოდნენ, დააყენეს [ქალაქთან] ქვის სატყორცნები და ფილაკაენები, მოუქრეს ქალაქს წყალი, რომელიც იქ შედიოდა. ასევე ქალაქს მყოფნიც ძლიერად ებრძოდნენ მათ და მრავალი დახოცეს თათართაგან და მათთან მყოფ ქრისტიანთაგან.

„ამგვარად იყვნენ ალყაშემორტყმულნი ორ წელზე მეტს, [რის გამო] ქალაქში გაძლიერდა სიმშლილი, ქამდნენ წმინდა და უწმინდურ ცხოველებს, შემდეგ იწყეს ადამიანთა ქამაც, საქმლის უქონლობია გამო, ძლიერი უძლურს ქამდა, და როცა მოსპეს ლატაკები, [დარჩენილები] მიექცნენ ერთმანეთს და ქამდნენ მამები თავის ვაჟებს და ცოლები თავის ქალებს და არ ეწყალოდათ თავიანთი მუცლის ნაშობნი. უარპყოდნენ საყვარლები საყვარლებს და მეგობრები ნაცნობებს. ასე შემცირდა ააზრდო, რომ ერთი ლიტრი ადამიანის ხორცი იყიდებოდა 70 დრაჰკნად, სრულიად დაილია კაცი დი საქმელიც...

„როცა დაიცალა ქალაქი ადამიანთაგან, სასტიკი შიმშილის გამო, აიღეს ქალაქი და დახოცეს, ვინც კი პოვეს მასში, მოუძღურებული სასტიკი სიმშლიისგან. სულტანი და მისი ძმა მიიყვანეს ჰულაგუსთან ცოცხლები. ბრძანა [ჰულაგუმ] მათი მოკვლა მახვილით, როგორც სიცოცხლის უღირსებისა და იმ მრავალ [ადამიანთა] სისხლის მოვალეთა, რომლებიც მათი მიზღვით დაიხოცნენ.

„მაგრამ ეკლესიები არ დაუნგრევიათ და არც უთვალავი ნეშტნი წმინდათანთა [ხელუყვით], რომლებიც შეკრიბა წმინდა მარტუთამ ყველა ტომთაგან და დაღო აქ, რადგან ქრისტიანებმა, რომლებიც მათ ჯარში იყვნენ, ამცნეს თათრებს მათი პატივი, და თვითონაც [თათრებს] მრავალ გამოცხადებას უამბობდნენ წმინდანთა შესახებ.— ქალაქის გალავანზე ძლიერი ნათელი ბრწყინავდა და კაცნი ნათელით ჩნდებოდნენო.

„აიღეს ქალაქი 709 წელს სომეხთა წელთაღრიცხვისა [1260 წ.], დიდმარხვას“².

ვ ა რ დ ა ნ ი:

„ილხან ჰულაგუმ, აოხრებული ბაღდადიდან დაბრუნების შემდეგ, იმავე წელს გარემოიცივა მუფარღინი — მარტვილთა ქალაქი [და გრძელდებოდა გარემოცვა] 2 წელი, რადგან დასახელებულმა სულტანმა, რო-

² კირაკოს განძაკელი, გვ. 368—371.

წელიც აქ იყო, ედილთა ტომიდან, წინააღმდეგობა გაუწია ჰულაჯუს შვილს ისმუდს, ჩაკეტა ქალაქი და ეომებოდა მას, რაც მიზეზი გახდა ლეთის განრისხებისა. ალყის შემორტყმის დროს [მცხოვრებლები] სკამდნენ წმინდასა და უწმინდურ ცხოველებს, შემდეგ — ლარიბებს, მერმე თავიანთ ნაშობთ და ერთმანეთს, რაც კი შეეძლოთ, იქამდე, რომ ერთმა აქაურმა უფროსმა და მთავარმა მღვდელმა, იძულებულმა სიმშვილია მძაფრი აღისაგან და გახმეცებულმა, შესჰამა თავისიანები“³.

„709 [1260] წელს აღებულ იქნა მარტვილთა ქალაქი, მრავალი გაპირვებისა და ზიანის შემდეგ, [რომელიც განიცადეს] არა მარტო გარემოცულებმა, არამედ — გარემომცველმა თათართა და ქრისტიანთა ჯარმა“⁴.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი :

„მუფარღინი აიღო [ჰულაჯუმ] 708 [1259] წელს, ერთი წლის ალყის შემდეგ“⁵.

„წავიდნენ თათრები და თან წაიყვანეს ქართველთა ჯარი, ავაგი და მაჰანშაჰი, რომლებთან ერთად გაემართა ელიგუმიც მარტვილთა ქალაქზე, რომელიც ნიფრკერტად იწოდება. შემოაველეს ირგვლივ თხრილი, დადგნენ ბანაკად გარშემო, წლობითა და თვეობით, და ვერ შეძლეს მისი აღება“⁶.

ან ო ნ ი მ ი ს ე ბ ა ს ტ ი ე ლ ი, ეამთაღწერა (XIII ს.):

„707 [1258]... იმავე წელს ჰულაჯუმ გაგზავნა ჯარი მუფარღინზე. გარემოიცივეს ქალაქი 2 წელი. სასტიკად შევიწროებულნი შიმშილისაგან, ერთმანეთს კამდნენ, რადგან ლიტრი კაცის ხორცი 100 დრაჰმანი ღირდა.

„709 [1260] წელს აიღეს მუფარღინი“⁷.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (XIII ს.):

„708 [1259]. ჰულაჯუმ გარემოიცივა მუფარღინი ერთი წელი, დაამშია და აიღო ქალაქი“⁸.

³ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 197.

⁴ იქვე, გვ. 199.

⁵ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 402.

⁶ იქვე, გვ. 404.

⁷ წვრილი ისტორიკოსები, II, გვ. 143.

⁸ იქვე, I, გვ. 43.

რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი :

„უფლისწული იუშმუტი და უფროსი ამირები: ელგა ნოინი და სონთა⁹ ნოინი, ჰულაგუ ხანის ბრძანებით გაემართნენ [სალაშქროდ]-როცა მათ მიაღწიეს მიათარიკინის საზღვრებს, მათ გაუგზავნეს მელიქ კამილს ელჩი და მოუწოდებდნენ მას მორჩილებისაკენ“¹⁰.

მელიქ კამილი არ დამორჩილდა. დაიწყო ქალაქის აღყა.

„...გავიდა ორი წელი და ქალაქში არ დარჩა საკვები, არც პირუტყვი. დაიწყეს მძორების ჰამა, შეჰამეს [ყველაფერი]: ძაღლები, კატები და თაგვებიც კი. მაშინ გახდნენ კაციჰამიები. ასე ჰამდნენ ისინი ერთმანეთს თვე... იმათ, ვინც დარჩნენ, მისწერეს უფლისწულს [იუშმუტს], რომ: „ქალაქში არ დარჩა ვინმე, რომ ჰქონდეს საკვები და ძალა, გარდა რამდენიმე სულით ცოცხალი და სხეულით მკედარი კაცისა. ვაჟიშვილი მამას ჰამს და დედა შვილს...“¹¹

„უფლისწულმა გაგზავნა ურუქტუ. როცა ისინი შევიდნენ ქალაქში, ქალაქის ყველა მცხოვრები ერთმანეთზე ეყარნენ, გარდა სამოცდაათი ნახევრადმკედარი კაცისა, რომლებიც დაიშალნენ სახლებში. მელიქ კამილი შეიპყრეს ძმით და წაიყვანეს იუშმუტთან, ხოლო მეომრებმა იწყეს ძარცვა“...¹².

მელიქი კამილი წაიყვანეს ტელ-ბაშირში, ეფფრატის იქითა ზხარეს ჰულაგუსთან. მელიქი კამილი ადრე ყოფილა ყანთან, მიულია მისგან, იარლიყი და ზეიზა და პატივით დაბრუნებულა უკან. შემდეგ კი, ბაღდადზე მონღოლთა ლაშქრობისას, წასულა სირიის მელიქთან, აქეზებდა მას, რომ დახმარებოდნენ ბაღდადის ხალიფას, მაგრამ ვერ დაუყოლებია. ბაღდადის დაპყრობის შემდეგ მას შეშინებია გამოცხადება, და ასე 2 წელი უწევდა მონღოლებს წინააღმდეგობას.

ჰულაგუმ „ბრძანა მისი დასჯა ოჯახითა და ნათესაეებით, შემდეგ ბრძანა მოეჭრათ მისთვის ხორცი და ეტენათ პირში, ვიდრე ის არ მოკვდებოდა. ეს იყო 657 [1259] წელს“¹³.

⁹ სონხური წყაროების სონითა.

¹⁰ რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 54

¹¹ იქვე, გვ. 55—56.

¹² იქვე, გვ. 56.

¹³ იქვე, გვ. 56.

XIX. გიგანტოლოგია ლაშქრობა სირიაში და მათი დამარცხება
 ეგვიპტელთა მიერ

(გრიგოლ აკანელი, გვ. 40.31—50,2)

მეთარალანის აღების შემდეგ, გრიგოლ აკანელის ცნობით, ჰულაგუ წასულა სირიაში, აუღია ალექო, უბრძოლველად სულ უგდია დამასკი, შემდეგ შესულა იერუსალიმში, დაუტოვებია სირიაში ჯარი ქითბულას სარდლობით და თვითონ დაბრუნებულა უკან. ეგვიპტის სულტანი მოულოდნელად თავს დასხმია სირიაში მყოფ მონღოლთა ჯარს, რომელსაც დაჰვაწყებია სიკრთხილედ და გასცილებია იერუსალიმს 10 დღის საეალზე. მონღოლები დამარცხებულან და დაუქარგავთ სირია.

კირაკოს განძაკელი აქ უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა, ხოლო ვარდანი ჩვეულებრივზე უფრო სიტყვაძუნწობს, აცხადებს რა აქვე, რომ ამ ამბებზე დაწვრილებით დაწერეს მწიგნობრებმაო (გულისხმობს ალბათ ვანაკანსა და კირაკოს განძაკელს).

ანონიმ სებასტიელს თავისი ცნობა გადაწერილი აქვს კირაკოსის შრომიდან.

პეტეში, კორიკოსის პატრონი, გვამცნობს, თუ რატომ მიატოვა ჰულაგუმ ჯარი სირიაში და დაბრუნდა თავის რეზიდენციაში. ამ დროს გარდაიცვალა მანგუ ყაენი — ჰულაგუს ძმა—და ჰულაგუს მოუსურვებია ყარაყორუმში წასვლა ტახტის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ვერ მოუსწრია. ჰულაგუს დაბრუნებას სირიიდან მანგუ ყაენის გარდაცვალებას უკავშირებს რაშიდ-ედ-დინიც. სხვა წყაროებში ეს ცნობა არ ჩანს.

ჟამთააღმწერელი აგიფერს ჰულაგუს სირიაში ლაშქრობის მხოლოდ პირველ ნახევარს (ისიც მეტად სქემატურად, არ ასახელებს დაპყრობილ ქალაქებს), რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველებიც. ქითბულას მარცხს ჟამთააღმწერელი აღარ ეხება, რადგან ქართველთა ლაშქარი ამაზე ადრე დაბრუნდა საქართველოში.

საყურადღებოა გრიგოლ აკანელის ცნობა ამ ბრძოლაში ეგვიპტელების მხარეზე ფრანგი მხედრების მონაწილეობის შესახებ, რადგან „მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სიყვარული თათრებთან“.

წყაროების ცნობით ჰულაგუს სირიაში ულაშქრია 1259 წელს, ხოლო ქითბულას ჯარი დაუმარცხებიათ 1260 წელს.

მოვიყვანოთ წყაროების ცნობები:

კირაკოს განძაკელი:

„დიდმა ჰულაგუმ კვლავ შეკრიბა სიმრავლე თავისი ჯარისა და გაემართა ასურეთს — ჰალეპოს, ტამაშლს (დამასკოს), ხარანს, ურპას,

ამიღს და სხვა მხარეებში. მოჰქვინა ჯარი სხვადასხვა კუთხეს, ხოლო თვით დადგა ალექსოსთან საბრძოლველად. მისი სულტანი, უსუფი, სალაქატინის გვარიდან, რომელმაც ააოხრა იერუსალიმი, შეჰპაართა მას და არ მოვიდა დასამორჩილებლად, არამედ ჩაკეტა ქალაქის კარები მის წინააღმდეგ და იბრძოდა ძლიერად. დიდმა ჰულაემ გარემოიცვა ქალაქი ყოველი წხრიდან, მრავალი დღის შემდეგ დაიკავა ის ძალით. და იწყო ქალაქის აოხრება. მაშინ სულტანმა და მასთან მყოფმა დიდებულებმა, რომლებიც გამაგრებულ იყვნენ ციხეში, იწყეს თხოვნა, რომ დამორჩილებოდნენ მას [ჰულაგუს]. [ჰულაგუ] დათანხმდა, უბრძანა შეეწყვიტათ ოხრება და დაიქირა ის ზორჩილებაში და დახარკა.

„წავიდა დამასკზე, რომლის მცხოვრებლები მრავალი საჩუქრებით და დიდი მისართმეველით გამოვიდნენ მის წინაშე. მან ზიილო ისინი სიყვარულით. დაიკავა აგრეთვე ჰემსი, ჰაჰა და სხვა მრავალი ქალაქი, გაგზავნა ჯარი გამაგრებული ქალაქის მერტინის დასაპყრობად, რომლის ალება ძლიეს შესძლეს მრავალი დღის შემდეგ“¹.

„დატოვა ჯარიდან 20.000 კაცი მხარის დასაცავად, თვით კი დაბრუნდა საზამთროთ ჰიმიანის ველზე. ხოლო მისრის სულტანმა შეკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი და წამოვიდა მხარის მცველ თათართა ჯარზე, რომლის მეთაური იყო ქითბულა, ქრისტიანული სარწმუნოების ტომით ნაიმიანი, კაცი დიდად პატივდებული. ის გამოვიდა სულტნის წინააღმდეგ საბრძოლველად და მამაცურ ბრძოლაში დაიღუპა მისი მთელი ჯარი, რადგან ეგვიპტელები ძალიან ბევრი იყვნენ. იბრძოდნენ თაბორის მთასთან მდებარე ველზე. ქითბულასთან ამ ბრძოლაში იყო მრავალი სომეხი და ქართველი, რომლებიც მასთან ერთად დაიღუპნენ. ეს იყო 709 [1260] წელს სომეხთა წელთაღრიცხვით“².

ვ ა რ დ ა ნ ი:

„708 [1259] წელს ჰულაეუ გაემართა შუამდინარეთის ქვეყანაში და აიღო ქალაქები და მხარეები, როგორც დაწვრილებით აღწერეს მწერლებმა...“

„მასთან იყო, შამის მთელი ქვეყნის ალების დროს, ჩუენი გვირგვინოსანი ჰეთუმიცი, რომელიც იმყოფებოდა ყველგან და იხსნიდა სიკვდილისგან ქრისტიანებს, [როგორც] სასულიერო, [ისე] საერო პირებს...“³.

„იმავე წელს [1260 წელს] ამოწყვიტეს ჯარი, რომელიც დატოვა

¹ კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ 371—372.

² ი ქ ვ ე, გვ. 372—373.

³ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 198.

ილხან ჰულაგუმ მხრის მცველად შამის ქვეყანაში, 20.000-ოდე კაცითა და დიდი მხედართმთავრის ქითბულას სარდლობით, [რომელიც იყო] სარწმუნოებით ქრისტიანი. მას შეებრძოლა მისრის სულტანი, თაბორაკანის მთის ძირს, უთვალავი სიმრავლით და რადგან ბულას ჯარი მცირე იყო, დახოცეს და დაატყვევეს“⁴.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი:

„მივიდა [ჰულაგუ] იერუსალიმამდე. აიღო ჰალეპო, რომელიცაა ბერია; დამაშხი, რომელიცაა დამასკოსი და პალპაქი, რომელიცაა არეგი, აიღო დიდი ანტიოქია, რომელიც ნებით დამორჩილდა, წაართვა იერუსალემი მისრელებს“⁵.

ჰ ე თ უ მ ი — კ ო რ ი კ ო ს ი ს უ ფ ა ლ ი, ჟ ა მ თ ა ა ლ წ ე რ ა (XIII ს.):

„1260.

ჰულაგუმ აიღო ბრძოლით ჰალეპო, დამასკოსი, და მთელი შამი ხელთ იგდო. თვით დაბრუნდა აღმოსავლეთს, რადგან მისი ძმა მანგუღანი გარდაცვლილიყო. და როცა მოაღწია ამ ამბავმა ჰულაგუსთან, გულმოდგინებით სასწრაფოდ მოისურვა წასულიყო აღმოსავლეთს და აეღო ტახტი თავისი ძმისა, მაგრამ ვერ მოასწრო.

„შამის ქვეყანაში დატოვა თავისი ჯარი, 10.000 კაცი, და მათი მეთაურები: ქითბულა ნოინი და პაეტარ ნოინი. რამდენიმე დღის შემდეგ მისრის სულტანი ხუთუზი მოვიდა შამს თავისი მხედრებით, შეებრძოლა ქითბულას და პაეტარს იმ ადგილზე, რომელსაც ჰქვია იაინ-ჰალუტი. დამარცხდა თათარი, გამოიქცა შამის ქვეყნიდან. დაეუფლა შამს მისრის სულტანი ხუთუზი, რომელიც ამავე წელს მოიკლა მისი ჯარის მიერ, როცა დაბრუნდა მისრს. დადგა მის ადგილზე მისრის სულტანი ფანტუხტარი“⁶.

ა ნ ო ნ ი მ ი ს ე ბ ა ს ტ ი ე ლ ი, ჟ ა მ თ ა ა ლ წ ე რ ა (XIII ს.):

„708 [1259] წელს ჰულაგუმ აიღო ჰალეპო, დამასკო, ჰამსი, ჰაზა, აიღეს მერტინი“⁷.

„709 [1260] წელს მისრის სულტანმა ამოწყვეტა თათრის ჯარი, რომლის მეთაური იყო ქითბულა“⁸.

⁴ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 199.

⁵ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 402—403.

⁶ წვრილი ისტორიკოსები, II, გვ. 70.

⁷ იქვე, გვ. 143.

⁸ იქვე გვ. 144.

სარგის პიწაკ სისელი (XIV ს.):

„700 (1260). ჰულაუმ ჰალეზი აილო“⁹.

სტეფანოს ეპისკოპოსი (XIII ს.):

„709 [1260]. თათარმა ჰალეპო ააოხრა“.

„710 [1261] მანგუ ყაენი წავიდა ლმერთთან“¹⁰.

რაშიდ-ედ-დინი:

„პარასკევს, რამაზანის თვის 22 რიცხვს, 657 წელს [12.IX.1259] ღრიანკალის თანავარსკვლავედზე ის გაეშურა სირიის მხარისკენ. როცა ის მოვიდა ალაღალს, მან მოიწონა ეს საძოვრები და უწოდა მათ ლაზნასაგუტი. [აქედან] ის შევიდა ხილათში [ახლათში] და ჰაკკარის მთებში. უკეთურ ქურთთა თავშესაფერსა და სამალაეში. ყველას, ვისაც კი იპოვნინდნენ მათგან, კლავდნენ. როცა [ჰულაუ ხანი] მივიდა დიარბექირში, მან დაიპყრა ჯაზირი და დააყენა [თავისი] ვაჟი იუშუმუტი სონთად ნოინთან ერთად მაიათარკინის ციხის მოალყედ. მელიქი სალიხი მან გაგზავნა ჯარით ამიდის დასაპყრობლად, ხოლო თვით გაემართა რუხისაკენ და დაიქირა ის. იქიდან ის წავიდა დუნაისერზე, ნისიბინზე, ჰარრანზე. ესენი აიღეს ბრძოლით და მოაწყეს აქ ძარცვა და ხოცვა. გადავიდა ეფრატზე და უცებ ალყა შემოარტყა ჰალეპოს. იქაურმა მცხოვრებლებმა, დანდობილებმა ციხის მიუვალობაზე, უარი თქვეს მორჩილების გამოცხადებაზე და მოენადნენ საბრძოლველად... ბოლოს ზილ-ხიჯჯეს თვეში, 657 წელს [XI—XII.1259] [ქალაქი] აღებული იქნა ერაყის კარების მხრიდან. ერთი კვირა გწეოდნენ ხოცვასა და ძარცვას და მრავალი ხალხი ამოხოცეს.

„ორმოცი დღე ებრძოდნენ ციხეში ჩამჯდარ მეომრებს. ბოლოს ციხეც დაპყრობილ იქნა. მრავალი ხელოსანი წაიყვანეს ტყვედ და ხელთ იგდეს განუზომელი დავლა.

„რამდენიმე ხანს გარემოცული ჰქონდათ ჰარამი. ბოლოს იქაურმა მცხოვრებლებმა ითხოვეს დანდობა... დამასკის მცხოვრებლებს შეეშინდათ მონღოლთა მხედრობის მიერ დატრიალებული უბედურებისა. როცა გაიგეს, რომ სირიის [ყველა კუთხე და მხარე] მთლიანად შევიდა ჰულაუ ხანის სამფლობელოში, ყველა იქაური დიდებული და წარჩინებული კაცები, სხვადასხვაგვარი საჩუქრებით, მისართმეველებითა და [ქალაქის] კარის გასაღებით გამოცხადდნენ მის უმაღლესობასთან, გამოუც-

⁹ წერილი ისტორიკოსები, 1, გვ. 105.

¹⁰ იქვე, გვ. 43.

ხადეს მორჩილება და ჩააბარეს ქალაქი... საბოლოოდ, მოკლე ხანში ბაღდადი, დიარბექირი, დიარრაბია და სირია მთლიანად დაპყრობილ იქნა და მოექცა ჰულაგუ ხანის მოადგილეების ბატონობის ქვეშ. მან დაიპყრო აგრეთვე რუმის ქვეყნები. ამ საქმეების დროს აღმოსავლეთიდან მოვიდნენ შიკრიკები, რომელთა უფროსი — შიქტურ ნოინი სასწრაფოდ გაემგზავრა აქედან და მიუტანა მენგუ ყაენის გარდაცვალების ამბავი. ჰულაგუ ხანი ძლიერ დამწუხრდა და დანაღვლიანდა გულით, მაგრამ არ აჩვენებდა ამას გარეგნულად. მან დატოვა იქ ქიბთულა ნოინი სირიის დასაცავად, გაემგზავრა უკან ჰალეჰოს და ჯუმადა-ლ-ახირას თვის 24 რიცხვს, კვირას, 658 წელს [6.VI.1260] ჩავიდა ახლათს.¹¹

ჰულაგუს წასვლით ისარგებლა მისრის სულტანმა კულუზმა, მოიწვია თათბირი ამირებთან [მთავარი ამირა იყო ფუნდუხტარი], დახოცქიბთულას ელჩები და გაემართა მის წინააღმდეგ. ნაწილი ჯარისა მან ჩაასაფრა, ხოლო ნაწილით თვითონ მოემზადა საბრძოლველად.

„მონღოლთა ჯარი თავს დაესხა [მისრელებს], ისრის სროლით, ხოლო კულუზი მოერიდა მათ და გაიქცა. მონღოლები გათამამდნენ, გაემართნენ მათ კვალდაკვალ და მრავალი დახოცეს. როცა ისინი გაუსწორდნენ ჩასაფრების ადგილს, მისრელები სამი მხრიდან გამოცვიდნენ საფარიდან და მიაშურეს მონღოლებს. აღრედილიდან შუადღემდე იბრძოდნენ ხელჩართულნი. მონღოლთა ჯარს აღარ შეეძლო წინააღმდეგობა და ბოლოს ისინი გაიქცნენ...¹²

„კულუზმა ბრძანა, რომ მისთვის [ქიბთულასთვის] მოეკეთათ თავი. [შემდეგ] ისინი შეესივნენ მთელ სირიას ეფრატის ნაპირებამდე, გმირავდნენ ყველას, ვისაც შეხვდებოდნენ, გაძარცვეს ქიბთულას ბანაკი, ტყვედ წაიყვანეს მისი ცოლები ბავშვები და ნათესავები, და დახოცეს მხარეთა გამგებლები და მმართველები.¹³

„ჰულაგუ ხანმა გაგზავნა სირიაში ელჩე ნოინი დიდი ჯარით. როცა ის იქ მივიდა, მეომრებმა იწყეს ძარცვა. ფუნდუხტარს, რომელიც გახდა მისრის ხელმწიფე, აცნობეს ეს და ის გამოემართა [მათ] მოსაგერიებლად. როცა ელჩე ნოინმა გაიგო ამბავი მისი მოსვლისა, სირიაში მყოფი მონღოლებით წავიდა რუმს, ხოლო დამასკოში დაიწყეს ხოტბის კითხვა და ფულის ჭრა ფუნდუხტარის სახელით, ჰულაგუ ხანს სურდა ქიბთულას შურის საძიებლად წაეყვანა ჯარი მისრსა და სირიაში, მაგ-

¹¹ რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 49-50.

¹² იქვე, გვ. 52.

¹³ იქვე, გვ. 53.

რამ მენგუ ხანთან დაკავშირებული ამბებისა და მასა და მის ნათესავებს შორის მომხდარი უთანხმოების გამო, შექმნილმა ვითარებამ და დრომ არ მისცეს მას ამის გაკეთების საშუალება. ამის შედეგად მან მოშალა [ლაშქრობა]“¹⁴.

ე ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„და მას ჟამსა ინება ყაენმან ულო ამჟედრება ეგვპტეს ზედა და მოუწოდა მეფესა დავითს ყოვლითა სპითა მისითა, და წარვიდა ბრძოლად სულტნისა. და მიიწია შუამდინარედ და იწყო ოტრებად ყოველსა შუამდინარესა და შამსა. და ვითარ ესმა სულტანსა ეგვპტისასა, აღმჟედრდა წინაგანწყობად თათართა, და მოიწია მდინარესა ზედა ევფრატსა, ყოვლით მჟედრებით მისით, და მოვიდეს თათარნი და განვლეს მდინარე, რამეთუ არა მოახლებულ იყო სულტანი პირსა მდინარისასა, და წინა მიეგებნეს. სულტანი წინაგანეწყო, და იქმნა ომი ძლიერი, სადა - იგი დავით მეფე და სპანი მისნი წინამბრძოლობდეს ძლიერად, და მოსწყდეს ორგნითვე, და იელტოდეს ქმეგვპტელნი. ხოლო ერთ მრავალი მოსწყდა სულტნისა, და ესრეთ ყაენმან დაიბანაკა მრავალ-დღე პირსა ევფრატისასა, სადა - იგი იყო ქალაქი მცირე, მდინარესა ზედა ევფრატისასა, ძლიერად განმაგრებული, რომელ ერთ - კერძო კლდე იყო და ერთ - კერძო მინდორისა ევფრატისა მიერ შეცვული. და ვითარ იხილა ყაენმან სიმაგრე ქალაქისა, ულონო იქმნა ბრძოლად, გარნა მოიგონა საქმე საკრველი, რამეთუ ეტყოდა მის ქუეშე დაწესებულთა: „არა არს ღონის-ძიება ბრძოლისა ყოფად ქალაქისა ამის. მნებაეს, რათა აღვმჟედრდეთ და გარე-მოვიცვათ ქალაქი ესე, და ვითარ ძალთა ვიწყოთ ყივილი და ყერილი“. და ვითარ ესმა ესე, განკარდეს და ამჟედრდეს, და ვითარ ძალთა იყივეს. და რა მიიწია ჯმა ესე ქალაქად, იქმნა საქმე საკრველი, რამეთუ განსქდა ქალაქი ორგან: ნახევარი წარიქცა კლდითურთ წყლისაკენ, და მოისპო სული ურიცხვ. „ესრეთ ჰელთ იგდო, და წარვიდა შამად და შუამდინარედ, და მოეგებნეს ყოველნი მკვდრნი შუმდინარისანი და შამისანი საესენი ურიცხვთა ძლუნითა“¹⁵.

¹⁴ რ ა შ ი დ - ე ლ - დ ი ნ ი III, გვ. 54.

¹⁵ ე ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 235—236.

XX. ჰულაგუ ჰანისა და მისი ცოლის გარდაცვალება.
აბალას ბაჰანება

(გრიგოლ აკანელი, გვ. 50,3—51,13; 52,9-19)

გრიგოლ აკანელი, ისევე როგორც სხვა სომეხი ისტორიკოსები და რაშიდ-ედ-დინი (რომელიც, როგორც ჩანს, იცნობს სომხურ წყაროებს), ჰულაგუსა და მისი ცოლის სიკვდილს უკავშირებენ კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენას. ჰულაგუს შემდეგ ტახტზე დაჯდა მისი უფროსი ვაჟი აბალა.

მოვიყვანოთ წყაროთა ცნობები:

კირაკოს განძაკელი:

„714 [1265] წელს ცაზე გამოჩნდა დიდი ნიშანი. გამოჩნდა ერთი ვარსკვლავი, მომავალი ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სინათლის გრძელი სხივები სვეტის სახედ ჩანდნენ მის წინ. მაგრამ თვით ვარსკვლავი მცირე ჩანდა, სწრაფად მიდიოდა, იყო ერთი თვე და არა ისე, როგორც სხვა კუდიანი ვარსკვლავები, რომლებიც ჭაშითი-ჭამად ჩნდებიან და მიდიან დასავლეთიდან ჩრდილოეთით. არამედ ის იყო გრძელი სხივებით, და დღითი-დღე იზრდებოდნენ ეს სხივები, ვიდრე არ გაქრენ. იმავე წელს აღესრულა ჰულაგუ და მისი ცოლი ტოლუს ხათუნი. და დაიკავა მისი ადგილი აბალამ 714 [1265] წელს“¹.

ვარდანი:

ჰულაგუ გარდაიცვალა 1265 წელს².

„იმავე წელს, სამი თვის შემდეგ, გარდაიცვალა ქრისტეს მოყვარნი დედოფალი დოხუზ-ხათუნი“³.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„713 [1264]... ამავე წელს გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი, ფეროცვალეების დღეს, რაც იყო ნიშანი ჰულაგუს სიკვდილისა.

„714 [1265] წელს მოკვდა ჰულაგუ“⁴.

¹ კირაკოს განძაკელი, გვ. 381—382.

² ვარდანი, გვ. 209.

³ იქვე, გვ. 212.

⁴ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 145.

სტეფანოს ეპისკოპოსი (XIII ს.):

„713 [1264]. ჰულაგუ მოკვდა და აბალა დაჯდა ტახტზე“⁵.

რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი :

„იმ ხანებში გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი სოლის მსგავსად, და ჩნდებოდა ყოველ ღამეს. ხოლო როცა ეს კუდიანი ვარსკვლავი გაქრა... თვეს, რომელიც შეესაბამებოდა კვირას რაბი-ალ-ახირის თვის 19 რიცხვს, 663 წელს [8.II.1265], მოხდა დიდი უბედურება. მისი სი-ცოცხლე გრძელდებოდა ორმოცდარვა სრული მზიანი წელი. ის განვი-და ამოცხვრებიდან სუაქუნო ადგილსამყოფელს ჩაღათუს ნაპირზე“⁶.

„ის [დოკუზ-ხათუნი] გარდაიცვალა ჰულაგუ ყაენის [სიკვდილიდან] ოთხი თვის შემდეგ. ტახტზე [აბალა ყაენის] ასვლამდე 11 დღით ადრე“⁷.

„შუნის (?) თვის 2 რიცხვს, ხარის თვეს, რაც შეესაბამებოდა რა-მაზანის თვის პირველ დღეს, 663 წელს [17.VI.1255], აღესრულა დო-კუზ-ხათუნი, რომელიც ერგო ჰულაგუ ხანს, თულუ ხანისაგან. მისი აღ-სასრული იყო ჰულაგუ ხანის სიკვდილთან ოთხი თვისა და 11 დღის შემდეგ, აბალა ხანის ტახტზე ასვლამდე 3 დღით ადრე“⁸.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„... ყაენი ულო აღსრულებულ იყო ... ხოლო ნოინთა დასვენს ტახ-ტსა ულოს ძე უხუცესი, სახელად აბალა, კაცი კეთილი, უხვ, მოწყალე, ტკბილი, მდაბალი, განმკითხველი, სამართლის მოქმედი...“⁹.

XXI. ჰეთუმ მეფის მამის კონსტანტინეს გარდაცვალება

ჰულაგუს სიკვდილის ახლო ხანებში, გრიგოლ აკანელის ცნობით, გარდაიცვალა სომეხთა მეფის ჰეთუმის მამა კონსტანტინე¹. ჰეთუმ — კორიკოსის უფლის ცნობით კი ის გარდაიცვალა 711 [1262] წელს სომხური წელთაღრიცხვით².

⁵ წერილი ისტორიკოსები. I, გვ.

⁶ რ ა შ ი დ - ე დ - დ ი ნ ი, III, გვ. 63.

⁷ იქვე, გვ. 16.

⁸ იქვე, გვ. 64.

⁹ ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება. II, 1959, გვ. 253.

¹ გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, გვ. 51, 28—52, 8.

² წვრ. ისტორიკოსები, I, გვ. 82.

XXII. სომეხთა კათალიკოსის კონსტანტინეს ბარდაცვალება

გრიგოლ აკანელის ცნობით, ჰულაგუს გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ გარდაიცვალა სომეხთა კათალიკოსი კონსტანტინე, ხოლო კონსტანტინეს გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ კათალიკოსად დასვეს იაკობი¹.

ვარდანის², ანონიმი სებასტიელისა³ და სტეფანოს ეპისკოპოსის ცნობით სომეხთა კათალიკოსი გარდაიცვალა 1267 წელს. ანონიმი სებასტიელის ცნობით იაკობი კათალიკოსად დაჯდა 1268 წელს⁴.

XXIII. თეგუდარის აჯანყება

(გრიგოლ აკანელი 40,6—43,9; 67,16—70,7)

გრიგოლ აკანელის ცნობით, განსაკუთრებით აწუხებდა მოსახლეობას თავისი რბევა-თარეშით მონღოლთა ერთ-ერთი მხედარმთავარი თავუდარი, რომელიც ერთი იმ 6 უფლისწულთაგანი იყო, ჰულაგუს რომ მოყვა წინა აზიაში, ამ რბევით შევიწროებულმა ქართველმა და სომეხმა მთავრებმა იჩივლეს აბალასთან, რომელიც თითონაც უკმაყოფილო იყო თავუდარის თავნებობით. აბალამ თავუდარის წინააღმდეგ გაგზავნა სირამუნ ნიონი — ჩორმალანის ვაჟი, 100,000 მხედრით, რომელმაც დაამარცხა თავუდარი და მიჰგვარა ის შეპყრობილი აბალას. თავუდარის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მთავრებმაც.

რაშიდ-ედ-დინისა და ჟამთააღმწერლის თხრობიდან ირკვევა, რომ თავუდარს აჯანყება მოუწყვია და სურდა აბალას ჩამოედება ტახტიდან. თავუდარის მოკავშირე ყოფილა შუა აზიაში მყოფი ბორაკი (რაშიდ-ედ-დინი) ანუ ბარახა (ჟამთააღმწერელი), თავუდარს, ჟამთააღმწერლის სიტყვით, თავი შეუფარებია დასავლეთ საქართველოში, დავით ნარინთან. ამ ცნობას ადასტურებენ ანონიმი სებასტიელი და სტეფანოს ეპისკოპოსი.

გრიგოლ აკანელი ჟამთააღმწერელსა და რაშიდ-ედ-დინთან შედარებით ამ საკითხზე უფრო მცირეს გვამცნობს.

¹ გრიგოლ აკანელი, გვ. 52,19-36; 65,18-66,10.

² ვარდანი, გვ. 215.

³ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 145, სქოლიო.

⁴ იქვე, I, გვ. 43.

⁵ იქვე, II, გვ. 145, სქოლიო.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„717 [1268]... იმავე წელს აჯანყდა თავუდარი, შევიდა ქართველთა მეფის მცირე დავითის ქვეყანაში და შეპყრობილ იქნა აბლას მიერ“¹.

სტეფანოს ეპისკოპოსი:

„718 [1269]. დიდად გოროზი თავუდარი შევიდა აფხაზეთში, ხოლო სირამონი ჯარით გამოუდგა, დოხოცა [ნისი ჯარი] და თვით შეპყრობილი მოიყვანა აბლასთან“¹.

რაშიდ-ედ-დინი:

„აბალა ხანი 666 [1267/68] წელს ამყარებდა სამართლიანობასა და მართლმსაჯულებას ირანის სამფლობელოებში და უფლისწული ნეგუდარ-ოლული, ძე მუჯი იასი, ჩალათას ძისა, განუყრელად იმყოფებოდა მასთან, ერთი ათასი მხედრით. აბალა ხანს უყვარდა ის და პატივს სცემდა. ბორაკმა გაგზავნა აბალა ხანთან რამდენიმე შიკრიკი. მათ გაატანა ნეგუდარ-ოლულისათვის საჩუქრები და, სხვათა შორის, ისეთი ისარი, რომელსაც მონღოლები უწოდებენ ტუგანეს. როცა ისინი აძლევდნენ მას [ამ ისარს], ძალიან ფრთხილად ანიშნეს, რომ მასში რალაცაა დამალული. მან ცალკე გაკვეთა ის და ნახა წერილი ასეთი შინაარსისა: „დღე, იცოდეს ნეგუდარ-ალამ, რომ მე შეეკრიბე მრავალრიცხოვანი ჯარი და მივიღიარე აბალა ხანის სამფლობელოზე. იმედი მაქვს, რომ როცა ის გამოემართება ჩემს მოსაგვრიებლად შენ არ წახვალ მასთან და ჰყოფ ისე, რომ მას არ ჰქონდეს ძალა ჩვენთან შებრძოლებისა, რათა ჩვენ ყოველგვარი საშუალებით ხელთ ვიგდოთ მისი სამფლობელოები“. როცა ნეგუდარი გაეცნო წერილს, მან ითხოვა ნებართვა წასულიყო სახლში, საქართველოში. მიიღო რა ნებართვა, ის წავიდა იქ და აცნობა თავის ამირებს ეს საიდუმლოება. დღითი-დღე ხორასანიდინ მოდიოდნენ შიკრიკნი და აცნობდნენ [ნეგუდარს] ბორაკს საქმეებს.

„აბალა ხანი იწვევდა ხოლმე ნეგუდარ-ოლულს თათბირზე მნიშვნელოვან საქმეებზე ჯარისა და ულუსის შესახებ. ამის გამო მან რამდენჯერმე გაგზავნა შიკრიკნი მისი წვევით. [ნეგუდარ-ოლული |თითოეულჯერ, რაიმე საბაბით [უარს ამბობდა], ხოლო თავის ამირებს ეუბნებოდა: „მე განზრახული მაქვს დარუბანდის გზით შევეუერთდე ბორაკს“. და დაუყოვნებლივ ის გაეშურა იმ მხარეს. შირემუნ ნოინი, რო-

¹ წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 145.

² იქვე, I, გვ. 44.

შელიც იმყოფებოდა იმ მხარეში, დაიძრა მის კვალდაკვალ და წინ წამოსწია ალინაყი, ხოლო მის უკან, სხვა ჯარით გაემართა აბატა ნოინი. ჯარები ერთმანეთს შეხედნენ ერთ მალღობზე. ნეგუდარი უომრად ილტვოდა და გაუდგა გზას დარუბანდისაკენ. არ იცოდა რა, როგორ ეშველა თავისთვის. ის გაეშურა საქართველოს მთებში და გზა დაეკარგა. ქართველმა ამირებმა გარემოიცივეს ტყე და მეფე დაეთმა შეუთვალა მას, რომ: ამ ტყიდან გასავალი არ არის, გაბრუნდი უკან და ნუ ნალელობ. მისი მითითებით ის გამოვიდა ტყიდან და შირამუნ ნოინმა, დაეწია რა მას, მრავალი დახოცა მისი ჯარიდან, ხოლო ნაწილი ტყვედ წაიყვანა. ბოლოს, რამაზანის თვეს; 688 ზათხულს [IV—V, 1270], ნეგუდარს სულ გამოეცალა ძალა და იმავე წლის რაბი-ალ-აველის თვეს ის ცოლებითა და შვილებით მივიდა აბალა ხანთან. ხელმწივემ თავისი დიდად მოწყალე [ხასიათის] გამო აჩუქა მას სიცოცხლე, ხოლო ექვსი ამირა, რომლებიც განდობილი იყვნენ მის საიდუმლოებას, სიკვდილით დასაჯა. მისი ჯარი ზან გაანაწილა ასეულებად და ათეულებად და მიუყენა მას [ნეგუდარს] მცველებად ორმოცდაათი მონღოლი. ამბობენ, რომ ის იყო გამოკეტილი დარია-ი-კაბუდანში. ერთი წლის შემდეგ, როცა [აბალა ხანმა] დაამარცხა ბორაკი, ის განთავისუფლებულ იქნა და იყო ხოლმე [აბალა ხანის] სადგომში, სანამ არ გარდაიცვალა³.

ბორაკმა დააგვიანა გამოსვლა და, როცა აბალა ხანი გაემართა მის წინააღმდეგ [ერთი წლის შემდეგ], მან არც კი იცოდა თეგუდარის ამბავი⁴.

ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი :

„ამათ ქამთა იქმნა განდგომილება თათართა ურთიერთას, რამეთუ განუდგა ყაენსა აბალას თეგუდარ ყაენი, ბარახას ძმა უმრწამესი, რომელი იყო ზემოწყნებულისა ჩინგიზ ყაენის შვილისა ჩალატა ყაენის ნათესავი, რომელსა ეპყრა ქუეყანა თურანისა და დიდი თურქეთი. ესე ბარახა ყაენი იყო თურანსა, და წარმოავლინა ძმა თუსი თეგუდარ, რათა ხარაჯა ქუეყანისა, რომელ მას წარქდომოდა, ვითარ ზემო თქმულ არს, თეგუდარს მიხუდებოდის. ესე მივიდა, ორისა ბევრისა ლაშქრისა მქონებელი. შეიწყნარა აბალა, და უჩინა ზათხულის სადგურად ვიდრემე მთანი არარატისანი და საზამთროდ რაგსისა ძირი და ნახქევანი.

„ესრეთ იყოფოდა თეგუდარ, შეშურდა ყაენობა აბალასი, და მიუძცნო ძმასა თუსსა ყაენსა ბარახას, ჯეონს იქით მყოფსა, ვითარმედ: „რად

³ რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 72—73.

⁴ იქვე, გვ. 77.

მივსცემთ ყაენობასა და ქუეყანასა დიდსა აბალას! აწ წარმოემართე მან-
დით შენ და აქათ მე, და ორთავე შევემუსროთ აბალა, და ჩუენ დავიპ-
ყრათ ქუეყანა მისი“⁵. ხოლო მოიფერაგა ესრეთ, თავი შეშისა ისრისა
აღმოთხარა, და ძულითა პილოსათა შეაწებნა სამნი ისარნი, და მათ
შინა შთადგა წიგნი, ამად რომელ ყოველგან გზისა მცველნი განჩენილ
იყვნეს თათართაგან ძუელითგან და განიკითხიან მგზაური და მოციქუ-
ლი; და ვითარ მივიდა თეგულდარის მოციქული ძმასა მისსა ბარახსა
ყაენს წინაშე, სთნდა სიტყუა და განზრახვა თეგულდარისი, და მიუმცნო
მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა შეკრბენ ერთად, და დაამჟუან აბალა ყაე-
ნი და დაიპყრან კელმწიფობა“⁶.

თეგულდარი შეცდომით ღროზე ადრე გამოვიდა თავისი ჯარით.
ბარახსა კი ემზადებოდა უფრო გვიან გამოსასვლელად. ამის გამო თე-
გულდარი „აიყარა და მომართა მათათა ღაღოსათა, კარჩხალთა და კარი-
სათა, რომელ არს შორის შავშეთსა და აქარასა, და დადგა თავსა შავ-
შეთისასა ფიქუთას, და ეზრახა სარგის ჯაყელსა, რათა მისცეს გზა,
უკეთუ უნდეს წარსლვა აფხაზეთისა მეფესა დავითს წინაშე, რათა იგი
იყოს შუამდგომელ მეფისა და თეგულდარისა, და უკეთუ განუშარჯუდეს,
დიდად განადიდოს სარგის.

„და ვითარ ამას ზრახვასა შინა იყვნეს, სთნდა სარგისს სიტყუა
თეგულდარისი. მოუწოდა სპათა მისთა და დიდსა შანშეს შვილსა ივანეს
მანდატურთ-უხსუცესსა, და წარმოავლინა დევნად თეგულდარისა, და აჩინა
მკედართ-მთავრად სირმონ, ჩორმადან ნოინის შვილი, კაკი წყობათა
შინა სახელოვანი და შემმართველი, და ბრავალნი ნოინნი სხუანი, და
მოიწივნეს მათათა არტანისათა, და დაიბანაკეს მუნ...“⁶.

„ესმა რა სიდიდე უღაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატრიოსნი-
თა ხატითა, და კანდელთა მიერ აღსავსეობა, ინება წარმოაღება მისი, და
წარმოავლინა ვითარ ათასი მკედარი, რათა მოაოჯრონ...“⁷.

ღვთის განგებამ წყლით წალეკა თათართა მხედრები და გადაარ-
ჩინა ოპიზის მონასტერი.

„იღგა მალალსა არსიანის თავსა, მოვიდეს და რქუეს, ვითარმედ:
„მოვიდა ლაშქარი დიდი აბალასი, და დადგეს მთასა არტანისასა, და
ხვალე მოსლვად არიან აქა“. ესნა თეგულდარს და, რა გათენდა, აღყარა
ბარგი და დედაწული თვისი, და უკუ აყენა მთასა მადარსა კარისათა,
რომელსა ერთ-კერძო შევალს გზა, და თვთ ლაშქრითა და მეომრითა

⁵ ესა მთა აღმწერელი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 257.

⁶ იქვე, გვ. 259.

⁷ იქვე, გვ. 259.

გარდმოიარა არსიანი აქეთ, სირმონ ჩამოვლო მთა ყუელისა, და მოვიდეს ორნივე თავსა ყუელისასა. სირმონ წინა დაუდგა, რომელი იყო ბრძოლათა შინა სახელოვანი, ეგრეთვე ძლიერნი მბრძოლნი თევუდარისნი: სეგზი ჯოლაქი, აბიშხანოხი, თელქა-დემურ, რომელთა დიდად ძლიერი ომი გარდაიჭადეს, და მოსწყდა ორგნივე ურიცხვ. და განგრძელდა ორგნითვე ომი, იძლია თევუდარ, და იელტოდა დედაწულითა მიერ მთასა ლადოსასა, ჯნალის თავსა, და მიუდგა უკანა სირმონ, ხოლო თევუდარ დაუდგა სიმაგრესა მთისა[სა] მინდობილი. და კუალად იქმნა ომი ძლიერი ორ დღე.

„და ვითარ მისჭირდა თევუდარს, იელტოდა უცნაურად, რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისცვეით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან...“

„ჩაიარეს აჭარა და ნიგალისცვეი, და მერმე შეიარეს გურია, და მივიდეს ქუთათისს მეფესა და ვითს წინაშე. ხოლო იგი სიხარულით მოეგება და სერი დიდი განუშხადა; ხუთასი ზროხა მოხარულნი დაუდგა, თუნიერ ღორისა და ცხურისა კიდე, და ლაშქრისა გამოსაზრდელად ზასვე დღესა ცხენი ექუსასი, ზროხა ათას ხუთასი, ცხოვარი ათასი ღორი ორი ათასი. ესე ყოველი მას დღესა მოილო თევუდარს წინაშეა და მან განუყო ლაშქართა, რომლისათჳს დიდად განკვრდეს თევუდარ და სპანი მისნი. ხოლო ღუნის ამარი არა იყო, მოიღეს ურმითა და ქურითა და აღმოასხმიდეს. ესრეთ კუალად ისტუმრა მეფემან დავით...“⁵

„მაშინ ევედრა ყაენი აბალა მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა, რათა არლარა შეეწიოს და არცა შეუშვას თევუდარ, და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა, რამეთუ იქსა მქონებელი ლალატისა თევუდარის ყმათაგან განცხადებულად მცნობელი, თუნიერ თევუდარის კათხვისა, ერჩდა აბალას დავით მეფე, და შეკრნა გზანი, რომელ არლარა შეისლევბოდა ცხენითა. ხოლო თევუდარ არა უწყოდა; და ვითარ ცნა აბალა, რამეთუ არლარა შეეწევის მეფე დავით, გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყვს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა,—ცნა აბალა ყაენმან და წარმოავლინა მკვდართ-მთავარი მისი სირმონ ბადურთ, და სხუანი მთავარნი ნოინნი, და სპისა სიმრავლე, და მოვიდეს თრიალეთს, და მოუწოდეს მეფესა დავითს და სპათა მისთა. რამეთუ მეფე სნეულობდა მას ყამად, და წარმოავლინა ყოველნი მთავარნი მისნი სირმონს თანა, და შთავიდა სირმონ ქართლად. და ცნა თევუდარ მოსლვა სირმონისი, წინა განაწყო სპა მისი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, და

⁵ ჭა მ თ ა ა დ მ წ ე რ გ ლ ი ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 260-261.

ესწრა და მე და გაიყარნეს. რა გათენდა, განეწყუნეს ურთიერთას პირისპირ. იქნა ბრძოლა ძლიერი, და სპა მეფისა წინამბრძოლობდა, და ვითარ აღერივნეს ურთიერთას, იელტოდა სპა თეგუდარისა, მიმოდაიბნივნეს, მოისრნეს და უჩინო იქმნეს. და დარჩეს თეგუდარ და ძე მისი მცირე ულონო-ქმნულნი, მივიდეს სირმონს თანა, და ევედრა, რათა ყაენი აბალა იხილოს მან და ძემან მისმან. ისმინა სირმონ, გარნა და-აპატიმრნა, და აღილო ტყუედ დედაწული მისი და ყოველი სიმდიდრე და ბარგი და საქონელი და ჯოგი, და მივიდა აბალას წინაშე, და მიიყვანა თეგუდარ და ძე მისი. ხოლო აბალა არა აენო რა, რამეთუ იყო კაცი მოწყალე და შემნდობელი, ვითარ ზემორე ვთქვთ, და წარგზავნა ქუეყანასა ერაყისასა, და მისცა ათორმეტი კაცი მას და ძესა მისსა, საზრდელი და შესამოსელი უხუად, ქორშაეარდენი და ავაზა, და განუჩინა სარჩომი, რომელ არა აკლდეს, და მკველნი დაუდგინნა, რათა არლარა გაუშუას ნამულსა მისსა. და ესრეთ განსუენებით იყოფოდა და აღსრულდა“⁹.

XXIV. კილიკიის ღარბავა მისრის სულტნის მიერ¹

(გრიგოლ აკანელი, გვ. 53,4—65,17)

გრიგოლ აკანელის ცნობით, ჰულაგუს სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, მისრის სულტანმა ფანტუხტარმა მოსთხოვა სომეხთა მეფეს ჰეთუმს ზღვის ერთი კიდე². ჰეთუმმა უარი უთხრა, რის გამოც ფანტუხტარი მრავალრიცხოვანი ჯარით შეიჭრა კილიკიაში. ჰეთუმში წავიდა მონღოლებთან დახმარების სათხოვნელად, ხოლო სომეხთა ჯარს წარუძღვნენ მისი ვაჟები ლევონი და თოროსი. მთავრების ლაღატის გამო სომეხები დამარცხდნენ, თოროსი მოკლეს, ხოლო ლევონი ტყვედ წაიყვანეს. ეგვიპტელებმა აიღეს დედაქალაქი სისი და ააოხრეს ქვეყანა. მეფემ გამოიხსნა თავისი ვაჟი, რისთვისაც მონღოლებს გაათავისუფლებინა ფანტუხტარის მეგობარი სლუზი. გრიგოლ აკანელის ცნობით, ჰეთუმმა იმიტომ არ დააკმაყოფილა ფანტუხტარის მოთხოვნა (ამის გამო მას ბრალს სდებდნენ მთავრები), რომ ეშინოდა მონღოლებისა. ამის შემდეგ, გრიგოლ აკანელის ცნობით, მისრელებს აულიათ ანტიოქია.

⁹ ქ ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 266—267.

¹ იხ. ამის შესახებ: Г. Г. Микаелян, История Киликийского армянского государства, Ереван, 1952 г., стр. 336—344.

² ა ბ უ ღ დ ა რ ა ჯ ი ს ცნობით ფანტუხტარს ჰეთუმისათვის უთხოვნია დამორჩილება, ფული, გზის გახსნა სირიაზე და პურის მიწოდება—იხ. გ. მ ი ქ ა ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 387.

გრიგოლ აკანელის ამ ცნობებს ადასტურებენ სხვა სომხური წყაროებიც, რომლებიც აღნიშნულ ამბებს ათარიღებენ 1267, ან 1268 წლით.

ვ ა რ დ ა ნ ი:

იმავე წელს (1266) შემოდგომის მოახლოებისას... მისრის სულტანმა ფანტუხტარმა მოითხოვა ის ციხე, რომელიც თათართა ძალით აედო სომეხთა მეფეს — ჰეთუმს. როცა ვერ მიიღო, რასაც თხოულადა, ფანტუხტარი განრისხდა ფრიად, უფრო მეტად კი თათარზე. შეკრიბა ფრიად დიდი ჯარი და გაგზავნა თავისი მხედართმთავრის მესელმოთის სარდლობით კილიკიელთა ქვეყანაში.

მოულოდნელად შევიდა ქვეყანაში. მან აიღო სისი — დედაქალაქი, მეფის საჯდომი და დაწვა ის ეკლესიებიანად. იპოვა აქ სახლი მიწაში დაფლული განძით, რომელიც წაიღო ფრიად მრავალი. ამბობენ, რომ თითო ქალაქში იყო 60.000 წირბელი, ე. ი. ოქრო.

მივიდა ოხრებით ვიღრე ადანამდე, შემდეგ ესმა თავისი ქვეყნიდან შემაშფოთებელი ამბავი და გაბრუნდა ალაფითა და ორმოცი ათასი ტყვით, გარდა მოკლულებისა, რომელთა შორის ყველაზე მთავარი და განუკურნებელი ჭრილობა იყო მეფისწულის თოროსის მოკვლა...

როცა ჰკითხეს თოროსს, ვინ იყო, არ გათქვა თავისი მამის სახელი, რომ ცოცხლად დატყვევებული არ ყოფილიყო ტვირთი მამისა და ქვეყნისათვის, თავის უფროს ძმა ლევონთან ერთად, რომელიც გვირგვინაკურთხი და მოწოდებული იყო სამეფო ტახტზე მამის სიცოცხლეში⁴.

ჰეთუმი, კორიკოსის უფალი, მატიანე (XIII ს.):

„715 [1266]... სემენლმომთა უსჯულოთა ჯარით ამოწყვიტა სომეხთა ჯარი მარში, შეიასრო სომეხთა მეფის წული პარონი ლევონი. მეორე ვაჟი თოროსი მოკლეს. შევიდა სომეხთა ქვეყანაში, ტყვეები წაიყვანა და ააოხრა ვიღრე ბარძრბერლსა და ატანამდე“⁵.

ჰეთუმი — კორიკოსის უფალი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

1262.

„... ამ წელს მისრის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ანტიოქიას. სომეხთა მეფის ჰეთუმის კარნახით დაიდრა მულალი, რომ დაეხსნა ანტიოქია. როცა ესმათ მისრელებს მულალთა მისვლა, გამოვიდნენ ანტიოქიიდან და წავიდნენ დამასკოს“⁶.

⁴ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 213—214.

⁵ წვრილი ისტორიკოსები, I, გვ. 83.

⁶ იქვე, II, გვ. 71.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (XIII ს.):

„1268. მისრელები შევიდნენ კილიკიაში, სისისა და სხვა ქვეყნები ააოხრეს, მეფის ორი შვილი ტყვედ წაიყვანეს — თოროსი მოკლეს და ლევონი დაატყვევეს, ვი და ვუი იქნა სომხეთში“⁶.

„1270. ამ წელს აიღო საღვთო დედაქალაქი ანტიოქია მისრის სულტანმა ფუნტიხდარმა, ტყვედ წაიყვანა და დახოცა 12 ბევრეულზე მეტი. დაანგრია მრავალი ეკლესია, დააქცია და ზღვით დაფარა ქალაქი“⁷.

ა ნ ო ნ ი მ ი ს ე ბ ა ს ტ ი ე ლ ი, ე ა მ თ ა ა ლ წ ე რ ა (XIII ს.):

„715 [1266] ... წელს მისრის სულტანმა ფანტუხტარმა ააოხრა კილიკიის ქვეყანა და მეფე ჰეთუმის შვილი თოროსი მოკლა, ხოლო [ნეორე შვილი] ლევონი ტყვედ წაიყვანა“⁸.

კ ი რ ა კ ო ს რ შ ტ უ ნ ც ი (XV ს.):

„717 [1268]. მისრელებმა აიღეს ანტიოქია“⁹:

XXV. სომეხთა მეფის ჰეთუმისა და ჰართველთა მეფის დავითის
ბარდცვალება. ლეონის გამეფება

(გრიგოლ აკანელი 66,11—67,12; 70,15—71,7)

გრიგოლ აკანელის ცნობით, ჰეთუმი ლევონის ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ ბერად აღიკვეცა მაკარის სახელით (ამ ცნობას ადასტურებს ჰეთუმ კორიკოსის უფალი). მცირე ხნის შემდეგ ის გარდაიცვალა და დაიმარხა დრაზარკის მონასტერში. სომეხეთის მეფედ აკურთხეს ტარსუში მისი ვაჟი ლევონი. ჰეთუმთან ერთად გარდაიცვალა ქართველთა მეფე დავითიც. გრიგოლ აკანელის ამ ცნობებს ადასტურებენ ე. წ. „წერილი“ სომეხი ისტორიკოსები. მოვიყვანოთ მათი ცნობები:

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი:

„დავით მეფე გარდაიცვალა 719 [1270] წელს“¹⁰.

⁶ წერილი ისტორიკოსები, I, გვ. 43.

⁷ იქვე, გვ. 44.

⁸ იქვე, II, გვ. 145.

⁹ იქვე, I, გვ. 119.

¹⁰ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 424.

ანონიმი სებასტიელი, ჟამთააღწერა (XIII ს.):

„719 [1270] წელს, 28 ოქტემბერს განისვენა ქრისტეს წინაშე სომეხთა მეფე ჰეთუმმა და დაიმარხა დრაზარქს...
 „იმავე წელს აღესრულა ქართველთა მეფე დავითი“².

სტეფანოს ეპისკოპოსი (XIII ს.):

„1272... იმავე წელს გარდაიცვალა ორი მეფე: ჰეთუმი — სომეხთა და დავითი — ქართველთა.
 *მიიღო მეფობა ლევონმა, ჰეთუმის ძემ 720 [1271] წელს“³.

სარგის პიწაკ სისელი, ჟამთააღწერა (XIV ს.):

„719 [1270]. ჰეთუმ მეფე მოკვდა.

„720 [1271]. ლევონი აკურთხეს მეფედ“⁴.

კირაკოს რშტუნცი, ჟამთააღწერა (XV ს.):

„720 [1271]. ლევონი მეუად დაჯდა“⁵.

ჰეთუმი, კირაკოსის უფალი, ჟამთააღწერა (XIII ს.).

„1270... ამ წელს აღესრულა სომეხთა კეთილი მეფე ჰეთუმი, ოქტომბრის თვეში, ბარძრბერდის საზღვრებში, სოფელს, რომელსაც ჰქვიან აკნერი, მდინარე პარატისის ნაპირას. ის გარდაიცვალა ბერად შემღვარი და ეწოდა მისი ბერობის სახელი მაკარი. აღესრულა თავისი კეთილი სიბერით, წაასვენეს წმინდა მონასტერში დრაზარქს და დამარხეს თავის მამებთან.

„დაეუფლა სომეხთა ქვეყანას მისი ვაჟი ლევონი, რომელიც დაედგინა სომეხთა ბარონად თავის სიცოცხლეში, იმ დღიდან, რაც გაათავისუფლა ის ღმერთმა მისრის მონობიდან.

„1271. სომეხთა ბარონა ლევონი იკურთხა, სომეხთა მეფედ დაჯდა ქალაქ ტარსუსში, წმინდა ნათლისღების დღეს“⁶.

² წერილი ისტორიკოსები, II, გვ. 146.

³ იქვე, I, გვ. 44.

⁴ იქვე, I, გვ. 105.

⁵ იქვე, I, გვ. 119.

⁶ იქვე, II გვ. 75.

უ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

თ ა ვ ი I

1. მოისართა ტომი

სომხურ წყაროებში მონღოლები იწოდებოდნენ მოისრებად (კირაკოს განძაკე-ლი, გვ. 218, ვარდანი, გვ. 192; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 400). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჟამთააღმწერლის დახასიათება მონღოლებისა: „... მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშკლდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან საჭურველმან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს ნენე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საჭურველისა არასა მქონებულნი მშკლდისა და ისრისა კიდე“ (გვ. 58). მონღოლები სომხურ და ქართულ წყაროებში იწოდებიან აგრეთვე თათრებად. უფრო იშვიათად სომხურ წყაროებში მოხსენებულია მელალი, **ჟ ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ - თ ა ნ** — მოლოლი (გვ. 193).

2. კენდურა

ძვ. სომეხი მწერლები (მოსე ხორენელი, მხითარ აირივანელი და სხვა) თვლიან, რომ პართიელები წარმოშობიდან აბრამის შხეულ კენდურასგან (ჰეტურასგან).

კენდურა სირიული ფორმაა. ებრაულსა და ბერძნულში კეტურაა (იხ. რ. ბლეიკი, შენიშენა, 2).

3. მხე არშაკო

რ. ბლეიკის აზრით აქ იგულისხმება არშაკ II (345—367), წმ. ნერსეს თანამედროვე (შენიშენა 2). არშაკ II წარმატებით ხელმძღვანელობდა სომეხი ხალხის ბრძოლას სასანიდების სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ. ამავე დროს ის დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ნახარების პარტიკულიარიზმთან. სპარსეთის შაჰმა შაპურმა ვერაგულად მიიწვია ის ზაეის დასადებად ქტეზიფონში და დაატყვევა (იხ. სომეხი ხალხის ისტორია I, გვ. 73—77).

4. სომეხთა განმანათლებელი წმ. გრიგოლი

სომხური ეროვნული ტრადიცია მას (და თირდატ III) უკავშირებს ქრისტიანობის მიღებას 301 წ.

(ამის შესახებ იხ. ნ. მარი, სომეხთა, ქართველთა და ალანთა მოქცევა წმინდა გრიგოლის მიერ, ЗБОРАО, 16, 1905 წ. გვ. 63—211).

5. თათარი

მონღოლთა სახელი ქართულ და სომხურ წყაროებში (იხ. აქვე, შენიშენა XIII, 23). სიტყვა თათრის ეტიმოლოგია უცნობია.

იხ. კლივისი, მონღოლური სახელები და ტერმინები გრიგოლ აკანელის მოისართა ტომის ისტორიაში, გვ. 428.

6. წმ. ნერსე

იხ. „ისტორია წმინდა ნერსეს პართელისა, სომეხთა მამათმთავრისა“, ვენეცია, 1853 წ. (სომხურად).

7. გოგის ტომი

გოგი აქ ალბათ იგულისხმება „გოგი და მაგოგიდან“.

8. თორგომი

ქართველთა და სომეხთა ეთნარქი, ეროვნული ტრადიციით. ვარდანი: ნოე → —იაფეთი — გამირი — თირასი → თორგომი — [7 ვაჟი: ჰაჰკი, ქართლოსი, კოვკასი და სხვა (ვარდანი, გვ. 20, 22); ლეონტი მროველით: ნოე → იაფეთი — თარში — თარგამოსი — 8 ვაჟი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს (ლეონტი მროველი, გვ. 3—4).

ლეონტი მროველით თარგამოსი დაემკვიდრა ორი კაცშეუვალი მთის: არარატისა და მასისის შორის.

9. ხკეთია

იგულისხმება სამხრეთ რუსეთის ველები.

10. იტილი

მდ. ვოლგა.

11. იმანის მთა

რ. ბლეიკის ახრით, ალბათ ჰიმალაის მთები (შენიშვნა 4).

12. უეიკური

უნდა აღინიშნავდეს ბარბაროსულს.

13. ხუჟი და დუჟი

რ. ბლეიკის ახრით, შეიძლება შევეუთავსოთ ბიბლიურ ხუზ-ს და ბუზ-ს. დუჟი, მისივე ახრით, სომხურად არის ბარბაროსი (შენიშვნა 5).

14. ბუშხი

სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში ბუშხი მოხსენებულია სარმატიაში მცხოვრებ ტომად (იხ. ქ. პატკანიანი, მაღაქია ახელას სომხური თარგმანი, შენიშვნა 3).

მარკეარტის მიერ ბუშხი გაიგივებულია ბულგარეთის ვოლგასთან (რ. ბლეიკი, შენიშვნა 5).

15. თულარი

ქ. პატკანიანი აღნიშნავს: რაც შეეხება თულარს, ცხადია, რომ ზოგიერთი სომეხი მწერალი XIII საუკუნისა აიგივებს ძველ თულარებს (თოხარე — აქედან — თოხარისტანი) თათრებთან, მონღოლებთან. შესაძლოა ძველი თოხარებიც იყვნენ თურქულ-თათრული ტომი... ბიზანტიელებთან აგრეთვე გვხვდება ეს აღრევა, იხ. Pachym I, 83 apud Stritter B. II, III, 408 და სხვა; იხ. აგრეთვე: Hammer, Geschichte der Jchane, 1⁴. (ქ. პატკანიანი, შენიშვნა 3).

თ ა ვ ი II

1. მონღოლთა სარწმუნოება. ქეჩის ხატები. მზის თაყვანისცემა

მონღოლები შედგებოდნენ სხვადასხვა ტომებისაგან, რომლებსაც სხვადასხვა-სარწმუნოება ჰქონდათ. ყველა ისინი წარმართები იყვნენ, თაყვანს სცემდნენ ბუნების სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებს.

გრიგოლ აკანელის ცნობას, რომ მონღოლები თან ატარებდნენ ქეჩის ხატებს, ადასტურებენ კირაკოს განძაკელი, ვარდანი და პლანო კარპინი, ხოლო გრიგოლ აკანელის ცნობას მათ მიერ მზის თაყვანისცემის შესახებ ადასტურებს პლანო კარპინი (გვ. 12).

მონღოლთა სარწმუნოებას ვრცლად აგვიწერენ: პლანო კარპინი (გვ. 10, 12), და მარკო პოლო (გვ. 90—91). ცნობებს გვაწვდიან ამ საკითხზე აგრეთვე კირაკოს განძაკელი, ვარდანი და ჟამთაღმწერელი. მასალები იხ. აქვე, გვ. 79-84.

2. მეთაური

სომეხი მწერლები, განსაკუთრებით კი გრიგოლ აკანელი, მონღოლი მხედართმთავრების, ნოინების და ზოგჯერ ყუანის აღსანიშნავად ხმარობენ ტერმინს „გლხავორ“-ს (*glkhsar*) მეთაურს, მთავარს. „მთავარი“ ჩვენ ავირჩიეთ მეორე ტერმინის — „იშხან“ (*ishan*)-ის სათარგმნელად, რომელსაც სომხური წყაროები უწოდებენ უმთავრესად ქართველ დი სომეხ ფეოდალებს, უფრო იშვიათად კი მონღოლ მხედართმთავრებსაც („მთავარი“, ქართველ ფეოდალთა აღსანიშნავად, ნახმარია ჟამთაღმწერელთანაც).

3. ჩინგისი (სომხ. ჩინგიზი)

თემუჩინი. მონღოლთა სახელმწიფოს დამაარსებელი. ახალგაზრდობაში თემუჩინმა თავისი რაზმით დასძლია მოწინააღმდეგე ტომთა ბელადები და 1206 წელს, მდ. ონონის ნაპირზე, მონღოლთა ყურულთაიმ ის მონღოლთა სახელმწიფოს მბრძანებლად გამოაცხადა, ჩინგის ყუანის სახელით. გარდაიცვალა 1227 წ.

მონღოლთა სახელმწიფოს შექმნაზე და ჩინგისის გაყენებაზე გრიგოლ აკანელზე უფრო რეალისტური თხრობა მოცემულია ჟამთაღმწერელთან (160—163).

საყურადღებოა, რომ გრიგოლ აკანელთან ჩინგისს ეწოდება: „ჩინგიზ ლაჩანი“, ან „ჩინგიზ ხანი“ (ლაჩანზე და ხანზე იხ. აქვე, შენიშ. II, 5. იასახზე იხ. შენიშ-გენ II, 4)

მონღოლთა სახელმწიფოს შექმნაზე მასალები იხ. აქვე, გვ. 76-79.

4. იასახი

ი ა ს ა ხ თუქული ფორმაა მონღოლური ი ა ს ა ლ - ისა. აღნიშნავს მონღოლთა სადათო სამართალს, ჩაწვრილს ჩინგის ყუანის დროს. შემონახულია ნაკლები სახით წყაროებში. იასახს წყაროები უწოდებენ ჩინგისის კანონს, ჩინგისის ანდერძს. ჩინგისის ანდერძის სახით შემონახულია ეს კანონები. მაგალითად, რაშიდ-ედ-ინთან (I, გვ. 259—265). გრიგოლ აკანელის ცნობით ეს კანონები ჩინგისს ამცნო, ღვთის ბრძანების სახით, ოქროსფრთიანმა არწივმა. მსგავსი ლეგენდა შემონახულია მონღოლურ ტექსტში, სადაც იასახს ჩინგისი ღებულობს ზუთფერა ტოროლასგან. გრიგოლ აკანელისა და სხვა სომხური წყაროების გადმოცემა ამ იასახისა ფაქტიურად არის მონღოლთა დადებითი ზნე-ჩვეულებების გადმოცემა, რის ნართებულეზეც დასტურდება სხვა წყაროების ცნობებით.

(იხ. რ. ბ ლ ე ი კ ი, შენიშენა 6). მასალები იასახზე, იხ. აქვე, გვ. 76-79.

5. ღაძან, ღან, ხან

სომხურში: ღაძან (*ղաძան*) || ღან (*ղან*) || ხან (*խան*). მონღოლურში: ყაან (ᠶᠠᠨ) || ხან (ᠬᠠᠨ). ქართულში: ყაენი, ხანი. უფრო ძველი. ფორმა: მონღოლური ხაკან (ᠬᠠᠭᠠᠨ), რომელსაც სომხურში შეესაბამება: ხაკან (*խაყან*; იხმარება VII ს. სომხურ მწერლობაში).

საყურადღებოა, რომ გრიგოლ აკნელის მსგავსად ქამთაღმწერელიც აღნიშნავს, რომ მონღოლთა მეფეს „ხანობით, გინა ყაენობით უქმობენ“ (160).

აღნიშნავს სახელმწიფოს მეთაურს, მეფეს.

იხ. კლივისი, 403; ქ. პატკანიანი, შენიშვნა 7; ივ. ჯავახიშვილი, ისტ., III, 1949 წ., გვ. 80.

თ ა ვ ი III

1. აღვანელები

ეს სახელწოდება დაკავშირებულია ძვ. აღბანეთთან (დაახლოებით თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორია).

2. მონღოლთა ლაშქრობა სპარსეთზე

აქ იგულისხმება მონღოლთა პირველი შეტრა სპარსეთში და მათი ბრძოლა ხორეზმშაჰ მუჰამედთან, 1219 წელს. გრიგოლ აკნელის ცნობა სპარსელებისათვის ქალაქის წართმევისა გულისხმობს ქალაქ ოტარას (იხ. რაშიდ-ედ-დინი, I, გვ. 198—199).

3. კოღმანი

ველი. აგრეთვე მდინარე სომხითში (იხ. აქვე, გვ. 84-95).

4. ტერუნაკანი

ციხე და მონასტერი სომხითში. ჰიუბშმანთან ლოკალიზებულია უტის მხარეში, განძის ახლოს (474). ემინიცი მას მიიჩნევს შამქორის ახლოს მდებარე (ვარდან ბარბერდელის რუსული თარგმანი, 1861, შენ. 593).

საქართველოს ის. ვარდანის ცნობით, შემოუერთა დავით აღმაშენებელმა (157).

XII ს. II ნახევარში, კირაკოს განძაკელის ცნობით, ის, სომხითის სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად, სპარსელთაგან გაუთავისუფლებიან მხარგრძელებს (155) და თამარ მეფეს ბლუ-ხაქარია მხარგრძელისთვისვე უბოძებია სამფლობელოდ ყველა ეს ადგილი. მხარგრძელ-გაგელთა ხელშია ტერუნაკანი XIII ს. ნახევარშიც. ხუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია (იხ. ინიკიანი, 538).

6. მანახაგომი

სხვა წყაროებში არ გვხვდება.

6. ჰამიდოლა

უნდა იყოს დამახინჯებული ქართული საჰამადავლა, ანუ საჰამადავლა. ასეთი სახელწოდების პირი XIII საუკუნის შუა წლებში მოხსენებულია „როკონის დაწერილში“, როგორც კახა თორგელის ახლო ნათესავი (იხ. თ. ყორდანიანი, ქრონიკები, II, 144).

ეპიზოდი საგამის ველზე ბრძოლაში ივანე ათაბაგის ცხენის წახდენისა (ყვების ძარღვების გადაჭრისა), მისდამი მტრულად განწყობილი ნთავრის მიერ, და ამის შედეგად ქართველთა ჯარის დამარცხებისა, მოთხრობილი აქვს ვარდანსაც (186—187),

მხოლოდ ის არ გვამცნობს არც იმ მთაერისა და არც მის სანფლობელში მყოფი ციხის სახელს, როგორც გრიგოლ აკანელი.

7. ივანე ათაბაგი

მხარგრძელი. თამარ მეფის, რუსუდან მეფისა და ლაშა გიორგის დროინდელი მოღვაწე. ვაზირი: ჯერ მსახურთუხეცესი, ხოლო მისი ძმის ამირსპასალარ ზაქარიას სიკვდილის (1212 წ.) შემდეგ — ათაბაგ - ამირსპასალარი. გარდაიცვალა 1225 წ.

ივანე ათაბაგს ხშირად იხსენიებენ როგორც ქართული, ისე სომხური საისტორიო წყაროები (თამარის ისტორიკოსები, ჟანთაღმწერელი, კირაკოს განძაკელი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი და სხვა).

8. ლაშა

ლაშა გიორგი. — საქართველოს მეფე (1213—1222 წწ.). მის დროს მოხდა სწორედ ბრძოლა საგამის ეელზე, რომელსაც გრიგოლ აკანელი შეცდომით რუსუდანის დროს მიაწერს.

9. დავით ლაშას ძე

საქართველოს მეფის ლაშა გიორგის უკანონო ვაჟი. საქართველოს მეფე (1247—1270). ქართული და სომხური წყაროების ცნობით, ის რუსუდანმა თავიდან მოსაშორებლად რუმის სულთანთან—თავის სიძესთან გაგზავნა და შეასმინა, რის გამოც კარგა ხანს ის რუმის ტყვეობაში იმყოფებოდა, ვიდრე მონღოლებმა არ გამოიხსნეს: ქართველთა თხოვნით (იხ. კირაკოს განძაკელი, 273—274; 300—301; სტეფანოს ორბელიანი, 420—421; ჟანთაღმწერელი, 217—220).

მასალები ამ ეპიზოდზე იხ. აქვე, გვ. 118-122.

10. რუსუდანი

სომხურში: ურუხუქან; (*Արուխուքան*), თამარ მეფის ქალი, ლაშა გიორგის და, საქართველოს მეფე (1222—1245). გრიგოლ აკანელი მას შეცდომით უწოდებს ლაშა გიორგის ქალს და ულუ დავითის დას.

11. საქართველოს პოლიტიკური წყობილება მონღოლთა შემოსევებ დროს

გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ რუსუდანს „ეპყრა სამეფთ ივანეს ზედამდგომლობით, რომელსაც ათაბაგი ეწოდა“, მოწმობს, რომ ამ დროისთვის ათაბაგი უკვე ვაზირთა უპირველესად ქცეულა. ჰყონდიდელ — მწიგნობართ - უზუცესობა კი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად იშვა, როგორც ვაზირთა უპირველესის ხელი (დავით აღმაშენებლის დროს), ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად დაიმკრო. მისი ადგილი ათაბაგობამ დაიკირა. ათაბაგი თურქული წარმოშობის ინსტიტუტია და თურქ-სულჯუკებთან უფლისწულის გამზრდელს ეწოდებოდა (იხ. В. Г о р д л е в ს კ ი й, Государство Сельджукидов Малой Азии, Ленинград, 1941 г. стр. 57). შემდეგ, ამ ტერმინმა, რა თქმა უნდა, იცვალა თავისი შინაარსი.

გრიგოლ აკანელის ხეშაღმწერელ ცნობას ავსებს კირაკოს განძაკელის ცნობა, რომ რუსუდანი სამეფოს განაგებდა ივანეს, მისი ვაჟის ავაგის, ზაქარიას ძის შაჰნაჰისა და ვარამ გაგელის მეშვეობით (გვ. 224). ამ ცნობიდან ჩანს, რომ სამეფოს რუსუდანის დროს ფაქტიურად განაგებდნენ დიდებული აზნაურები და არა მეფე.

როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველომ მარცხი განიცადა მონღოლებთან და მათი ბატონობის ქვეშ მოექცა. გრიგოლ აკანელის ცნობა რომ.

შონლოლებს ხავი დაუდო არა მეფემ, არამედ დიდებულებმა, ცალ-ცალკე, რასაც სხვა წყაროებიც ადასტურებენ, ამხვევე მიუთითებს.

12. გაგო

ციხე-ქალაქი სომხითში. ვარდანის ცნობით ააშენა გაგიკ მეფემ (გვ. 190). ვარდანისავე ცნობით, დავით აღმაშენებელმა ანისის ალბის შემდეგ ხელთ იგდო: გაგი, ტერუნაკანი, კენი, კაფონი, ლორე, ტაშირი, იაჰკანაბერდი (ე. ი. სომხითის ციხე-ქალაქები) (გვ. 157).

XII ს. მეორე ნახევარში, კირაკოს განძაკელის ცნობით, სომხითის ციხე-ქალაქები: გარდმანი, ქარჭერძი, ერგევანქი, ტაეუში, კაწარეთი, ტერუნაკანი, გაგი, შამქორი სპარსელებისაგან გაუთავისუფლებით მხარგრძელეს (გვ. 155) და თამარ მეფეს ბლუ-ხაქარია მხარგრძელისთვისვე უბოძებია ისინი.

XII—XIII სს. გაგი იქცა ქართული ისტორიული პროვინციის სომხითის ცენტრად, რომლის ფარგლები აღწევდა განძამდე. ეს იყო საქართველოს „ქუემოთი სანაპირო“ მხარე, რომელსაც განაგებდნენ მხარგრძელ-გაგელები (იხ. აქვე შენიშვნა III, 13). გაგის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია (იხ. ი ნ კ ი ა ნ ი, 513—514).

13. ვაჰრამი (ვარამი)

ხაქარიას (გრ. აკანელით — ბლუ ხაქარიას) ძე. მხარგრძელ-გაგელი. ქართველი დიდებული.

ვაჰრამის მამას — ხაქარია ვარამის ძე მხარგრძელს თამარ მეფემ უბოძა გაგი ქურდვაპრით, განძამდე, როგორც „ქუემოთი სანაპირო“ მხარე. ხაქარიას ძე ვარამი და ვარამის ძე აღბულა ფლობდნენ გაგს და მის მხარეს—სომხითს ციხეებით და ქალაქებით: შამქორი, ტაეუში, კაწარეთი, ტერუნაკანი, ერგევანქი, ქარჭერძი, გარდმანი, ზეგამი, ნორბერდი, მაწინაბერდი და სხვა. მხარგრძელთა ეს შტო, გაგის მიწების შემდეგ, გაგელებად იწოდებოდა.

ვარამ გაგელი ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი პირი იყო საქართველოში XIII ს. პირველ ნახევარში. თამარ მეფემ ივანეს გაათავაგების შემდეგ მას უბოძა მსახურთ-უხუცესობა (ისტორიანი და ახმანი, გვ. 110), რომელსაც ის ფლობდა სიკვდილამდე (40-იანი წლების ბოლომდე). როცა საქართველო მონღოლებმა აღმნებდა დაჰყვეს, ერთი დუმანი — სომხითი — მას ჩააბარეს (ჟამთააღმწერელი, ვვ. 208). კირაკოს განძაკელის ცნობით რუსუდანი სამეფოს განაგებდა: ივანე, ავაზ, შანშა მხარგრძელებისა და ვარამ გაგელის მეშვეობით.

გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ საგამის ველზე ქართველთა ჯარის მარჯვენა ფრთამ, ვარამ გაგელის სარდლობით, გამარჯვება მოიპოვა, მართებული ჩანს სხვა წყაროების ცნობათა სინათლეზე (იხ. აქვე, გვ. 85). ჟამთააღმწერლის მიხედვით ვარამ გაგელი აქტიურად მონაწილეობს XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (190, 195, 215 და სხვა). მარათუბიდან ჩანს აგრეთვე გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ ულუ დავითი რუმიდან ვარამმა ჩამოიყვანა, რომ ის საერთოდ მთავარ როლს ასრულებდა ულუ დავითის გამეფებაში, რისთვისაც გრიგოლ აკანელი ულუ დავითს „ვაჰრამულ მეფეს“ უწოდებს (გვ. 7, 16).

გრიგოლ აკანელის ცნობას რომ ვარამის შვილი აღბულა მონაწილეობდა თათრების მხარეზე, რუმის სულტანის ყიას-ედ-დინის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, ადასტურებს კირაკოს განძაკელიც, რომლის მიხედვითაც აღბულა მონაწილეობდა აგრეთვე კარნუ ქალაქის ალბაში (1265).

ჟამთააღმწერლის ცნობით აღბულა ულუ-დავითს გაჰყვა ბათუ ყანთან, რა-

მელმაც ის თავისთან დაიტოვა (219—220). ვაჭარში და აღბუღა მოხსენებული არიან 1260 წლის რკონის დაწერილში. ვაჭარმისთვის მეფეს უწყალობებია სოფელი ზოვლე, ხოლო აღბუღასა და მის შვილებს ის ურტალებისათვის მიუყიდათ (ქრონიკები, II, გვ. 149).

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაგელები აღარ იხსენებიან საისტორიო წყაროებში. როგორც ჩანს, ეს გეარი ამ დროიდან დაემცრო. 1249—51 წლებს შორის მსახურთ-უხუცესობა გაგელთა სახლიდან გადაღის სურამელებში. :

14. ბლუ ზაქარია

ვარამის ძე, მხარგრძელ-გაგელი. ბლულ (*blul*) წოდებულია მხოლოდ გრიგოლ აკანელთან. კირაკოს განძაკელის ცნობით მან სპარსელთაგან გაათავისუფლა: გაგი, გარდმანი, ქარაქრძი, ერგევანი, ტავეუში, ტრუნუანი, კაწარეთი, შამქორი (155). თამარ მეფეს ყველა ეს ადგილი მისთვისვე უბოძებია საგამგებლოდ.

(იხ. აქვე, შენიშვნა III, 12 და 13).

15. ქარაქრძი

სიმაგრე სომხითში, კირაკოს განძაკელის ცნობით ის სპარსელთაგან გაეთავისუფლებიან მხარგრძელებს, სომხეთის სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად (155) და თამარ მეფეს ბლუ-ზაქარია მხარგრძელისთვისვე უბოძებია სამფლობელოდ ყველა ეს ადგილი მხარგრძელ-გაგელები ფლობენ ქარაქრძს XIII ს. I ნახევარშიც. ხუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

16. ბრძოლა საგამის ველზე მონღოლებსა და ქართველებს შორის

გრიგოლ აკანელი შეცდომით ასახელებს თარისს. ბრძოლა მოხდა 1220 წელს. მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 84-95.

17. განძა -შაჰასტანი || განძაკი || შაჰასტანის განძაკი

იგულისხმება განძა — არანის მთავარი ქალაქი.

ქ. პ ა ტ კ ა ნ ი ა ნ ი ს აზრით განძა ორი იყო, ერთი უბრალოდ განძა—დღევანდელი კიროვანბადი, ხოლო მეორე — განძა შაჰასტანი — თაერიზი (შაჰასტანი აღნიშნავს სამეფოს).

ჩვენა აზრით ეს არ არის სწორი. წყაროებიდან. ფეიქრობთ, ჩანს, რომ ორივე შემთხვევაში აქ არანის განძა იგულისხმება, რომლისთვისაც მიუციით ეპიტეტად შაჰასტანი. ასეთივე ეპიტეტით იხსენიება ზოგჯერ სწორედ თაერიზი (სტეფანოს ორბელიანი: „თავრჯე შაჰასტან“ — 419). შესაძლოა სწორედ ეს გარეშობა დაედო ქ. პატკანიანის აღნიშნულ ნოსაზრებას საფუძვლად.

განძის სახელწოდება, ქ. პატკანიანის აზრით, აღნიშნავს საუნჯეს (СОКРОВИЩЕ) (იხ. ქ. პ ა ტ კ ა ნ ი ა ნ ი, შენიშვნა 15).

განძის დანგრევაზე მონღოლთა მიერ ერთხმად აღნიშნავენ იმდროინდელი წყაროები. მასალები იხ. აქვე, გვ. 95-106.

18. ზემო ქვეყანა

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით ძე. სომხურ მწერლობაში მოხსენებული „ზემო ქვეყანა“ (*ჰიქსის აქსარსი*) გულისხმობს მთელ სომხეთს („დიდ სომხეთს“). მეორე ნაწილი კი ფიქრობს. რომ ეს არის მხოლოდ ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი სომხეთისა.

იხ. რ. ბ ლ ე ი კ ი, შენიშვნა 17; ქ. პ ა ტ კ ა ნ ი ა ნ ი, შენიშვნა 11.

19. მონღოლთა გარეგნობა და საზრდო

შეადარ. ამ საკითხზე: კირაკოს განძაკელი, სტეფანოს ორბელიანი, პლანო კარპინი, მარკო პოლო, იბნ-ალ-ასირი, ეამთალმწერკელი.

მასალები იხ. აქვე, გვ. 79-84.

20. ჩორმანი || ჩორმადანი

მონღოლთა მხედართმთავარი, ნოინებს შორის უფროსი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. ჰყავდა ცოლი ალთანა ხათუნი და შვილები სირამუნი და ბორა (იხ. აქვე, შენიშვ. XI, 1, 2). კირაკოსის ცნობით ის დამუხჯდა და მის მაგივრად განაგებდა მისი ცოლი და ბაიჯუ ნოინი (გვ. 263, 269, 274).

ეამთალმწერლის ცნობით, მის ქალ ესუქნზე იქორწინა ულუ დავითმა (251).

მოხსენებულია ამ დროის თითქმის ყველა წყაროში.

მასალები იხ. აქვე, გვ. 95-106.

ჩორმადანი მონღოლური სიტყვაა და შედგება ძირისგან: ჩორმან და კნინობითი ნაწილაკისგან — ყან — კენ (იხ. კლივისი, 419—420).

21. ბენალი

მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აკანელთან. ერთი იმ სამ მონღოლ მხედართმთავართაგანი, რომლებმაც დაიპყრეს ამიერკავკასია (ჩორმანი, ბენალი და მოლარი). მოლარი და ბენალი მალე მოკლა დემურთმა, მათი ბოროტი ზრახვების გამო.

ბენალის მონღოლური ფორმა უნდა იყოს ბაინალ. ზოგიერთ წყაროში ეს სახელი წერია როგორც თაინალ (კლივისი, 415—416).

22. მულარი

მონღოლთა ერთ-ერთ ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს.

მოხსენებულია აგრეთვე კირაკოს განძაკელთან და ვარდანთან, რომელთა ცნობით, ამიერკავკასიაში მოლარ ნოინს აუღია ვარამ გაგელის ციხე-ქალაქები: შამქორი, ტავუში, კაწარეთი, ტერუნაკანი, ნორბერდი, ერგევანქი, მაწინაბერდი, ქარჭერძი, ქავაზინი, გაგი, გარდმანი, ტერევენი, საგამი (კირაკოს განძაკელი, 228, 229; ვარდანი, 189—190).

ის ფაქტი, რომ არც ერთი წყარო მოლარ ნოინს აღარ იხსენებს წინააზიაში მონღოლთა დამკვიდრების შემდეგ აქ მყოფ ნოინებს შორის ადისტურებს გრიგოლ აკანელის ცნობას, რომ მულარი და ბენალი მალე გარდაცვლილან,

მულარი - მოლარი არის იგივე მონღოლური მოლარ-მოლურ (კლივისი, 424). წყაროების ცნობები მულარზე იხ. აქვე, გვ. 95-106.

23. შამქორი

ქალაქი განძის ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით, მულანის ველთან ახლოს.

კირაკოს განძაკელის ცნობით შამქორი, 5 სხვა ქალაქთან ერთად (შათარი, შაქი, შირვანი, შამახია, შაბურანი) აუშენებია შათა ჯაბუხას ძეს, სპარსეთის მეფის ხოსროს დროს (184).

კირაკოსისავე ცნობით, XII ს. II ნახევარში შამქორი სპარსელთაგან გაუთავისუფლებიათ მხარგრძელებს სომხითის ციხე-ქალაქებთან ერთად (155) და თამარ მეფეს ბლუ-ხაქარია მხარგრძელისთვისვე უბოძებია ყველა ეს ადგილი. ამის შემდეგ შამქორი ქართული ისტორიული პროვინციის სასახლერო ქალაქია და ეკუთვნის მხარ-

გრძელ-გაგელებს. კირაკოსისვე ცნობით, მონღოლთა შემოსევის დროს ის აიღო და დაწვა მოლარ ნოინმა (გვ. 228).
(იხ. ინკიკიანი, 532—533).

24. საგამი

ციხე-სიმაგრე სომხითში. სხვა წყაროებში არ ჩანს.

25. ტერევენი

სომხითის ციხე-სიმაგრე. სხვა წყაროებში არ ჩანს.

26. გარღმანი

ქალაქი სომხითში. ინკიკიანის მიერ ლოკალიზებულია უტის პროვინციაში. როგორც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე (338—339). მდებარეობს ერგვეანქის ახლოს.

კირაკოს განმაცელის ცნობით, XII ს. II ნახევარში ის სპარსელთაგან გაუთავისუფლებიათ სომხეთის სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად მხარგრძელებს (155) და თამარ მეფეს ზაქარია მხარგრძელისთვისვე (გრიგ. აკანელი რომ ბლუ ზაქარიას უწოდებენ) უბოძებია სამფლობელოდ ყველა ეს ადგილი. მხარგრძელ-გაგელთა ხელშია გარღმანი XIII ს. I ნახევარშიც. კირაკოს განმაცელის ცნობით, მონღოლთა შემოსევის დროს ის აიღო მოლარ ნოინმა (გვ. 228—229), მისი ზურგის მხარეს, ერგვეანქის პირდაპირ. ვანაკანს აუშენებია ხორანაშატის მონასტერი, რომელიც ქალაქედინს აუოხრებია (230, 300, 333). ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია (იხ. ჰუბუშმანი, 417).

27. ერგვეანქი

ციხე-სიმაგრე სომხითში. ინკიკიანის მიერ ლოკალიზებულია არცახის მხარეში (316), მდებარეობს გარღმანთან ახლოს.

კირაკოსის ცნობით, XII ს. II ნახევარში ერგვეანქი, სომხითის სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად, სპარსელთაგან გაუთავისუფლებიათ მხარგრძელებს (155) და თამარ მეფეს ზაქარია მხარგრძელისთვისვე უბოძებია ყველა ეს ადგილი. მხარგრძელ-გაგელთა ხელშია ერგვეანქი XIII ს. I ნახევარშიც. კირაკოს განმაცელის ცნობით, მონღოლთა შემოსევის დროს ის აიღო მოლარ ნოინმა (გვ. 228). ერგვეანქის პირდაპირ. გარღმანის ზურგის მხარეს, კირაკოსისავე ცნობით, ვანაკანს აუშენებია ხორანაშატის მონასტერი. რომელიც ქალაქედინს აუოხრებია (230, 311, 333). ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

28. მაწნაბერდი

ციხე-სიმაგრე სომხითში. ინკიკიანის მიერ ლოკალიზებულია უტის მხარეში (351). კირაკოს განმაცელის ცნობით, ლორე-ტაშირის სომეხი ბაგრატუნები, კვირიკე ძენი: დავითი და აბასი, განდევნილი ქართველთაგან, წაიღიდნენ სპარსელებთან და მიიღეს სამკვიდროდ ტაუში და მაწნაბერდი (145). მაწნაბერდი ქმონდა აგრეთვე მათ ჩამომავალს აღსართანს. ეარდანის ცნობით მონღოლებმა აიღეს მაწნაბერდი, რომელიც იყო აღსართანისა—კვირიკეანთა სამეფო გეარადან (190) (კვირიკეანთა დამცრობის ისტორიაზე იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, გვ. 25—37).

12. მოისართა ისტორია

30. ტავუში

ციხე-სიმაგრე სომხითში. ინჟინიანის მიერ ლოკალიზებულია უტის მხარეში (350—351). მოხსენებულია იოანე კათალიკოსთან, ვარდანთან, კირაკოს განმაკელთან.

XII ს. II ნახევარში, კირაკოს განმაკელის ცნობით, ტავუში სომხთის სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად სპარსეთთან განთავისუფლებიან მხარგრძელებს (155) და თამარ მეფეს ზაქარია მხარგრძელისთვისვე უბოძებია ეველა ეს ადგილი. მხარგრძელ-გაგელთა ხელში: ტავუში XIII ს. I ნახევარშიც. კირაკოს განმაკელის ცნობით, მონღოლთა შემოსევის დროს, ის აიქო მოლარ ნოინმა (229). ტავუშის სამხრეთით სოფ. ლორუტის პირდაპირ, დამკვიდრებულა გამოქვაბულში ვანაყანი, სადაც ის ტყვედ ჩაიგდო მოლარ ნოინმა (230). ტავუშის სახელთანაა დაკავშირებული XII—XIII სს. მოღვაწეების — ორი სომეხი მოძღვრის სახელი: „იოანე ტავუშელისა“ და „იოანე ვანაყან ტავუშელისა“ (იხ. ამის შესახებ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვრნი, გვ. 214). ზუსტი მდებარეობა გაურკვეველია.

30. ნორბერდი

ციხე-სიმაგრე სომხითში.

კირაკოს განმაკელის ცნობით ნორბერდის უფალი იყო დავითი, სომეხ ბაგრატუნთა გვარიდან. რომელმაც მოტყუებით შერთო თავისი ქალი აღსართან ბაგრატუნს — მაწნაბერდის პატრონს, რომ წაერთმია მისთვის მაწნაბერდი (146—147).

ვარდანის ცნობით, ზონღოლებმა ააღეს ნორბერდი, რომლის უფალი იყო დავით ბაგრატუნის ძე ეასაყი (190). ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

31. ვანაყანი

მოძღვარი (ვარდაპეტი). სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწე და მწერალი იოანე ვანაყანი, ანუ „იოანე ვანაყან ტავუშელი“ (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვრნი, გვ. 214), კირაკოს განმაკელის ცნობით, მოწაფე იყო მხითარ გოშისა (კირაკოზი, გვ. 198). შემდეგ თვით იყო მასწავლებელი, დამაარსებელი ხორანაშატის სკოლისა. მისი მოწაფეები იყვნენ კირაკოს განმაკელი, ვარდან ბარძრბერდელი, იოსები, არაქელი და შესაძლოა გრიგოლ აკანელიც, რომელიც მასზე აღნიშნავს: „ჩვენი მოძღვარი“.

ვანაყანის ტყვედ წაყვანას მონღოლთა მიერ და მის გამოსყიდვას, საერთოდ მის ცხოვრებას, დაწვრილებით აგვიწერს კირაკოს განმაკელი, რომელიც ვანაყანთან ერთად წაიყვანეს ტყვედ (გვ. 230—233, 238).

ვარდანის ცნობით, ვანაყანს დაწვრილებით აუწერია მონღოლთა შემოსევების ისტორია, 1236 წლიდან (192). სამწუხაროდ ამ ნაშრომმა ჩვენამდე არ მოაღწია. ჩვენთვის ცნობილია მისი სხვა ნაშრომები.

ა. ოსკეანი და რ. ბლეიკი შესაძლებლად თვლიან, რომ გრიგოლ აკანელმა თავის წყაროდ გამოიყენა იოანე ვანაყანის ისტორია (იხ. ა. ოსკეანი, ვანაყანი და მისი სკოლა; გრიგოლ აკანელის ინგლისური თარგმანი, რ. ბლეიკისა, გვ. 275).

ვანაყანის შესახებ იხ.: ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვრნი და მათი ვინაობა, გვ. 250—254.

მასალები იხ. აქვე, გვ. 125—127.

მ2. მოძღვარი

ვარდაპეტს ჩვენ ეთარგმნით მოძღვრად, თუმცა, შეიძლება, ეს მთლად ზუსტი არ იყოს. პატკანიანი და ემინი ვარდაპეტს რუსულად არ თარგმნიან, ტოვებენ ვარდაპეტად. ასევე რ. ბლეიკი და რ. ფრაი ინგლისურად ტოვებენ ვარდაპეტს. თუმცა ერთგან, სადაც გრიგოლ აკანელი აღნიშნავს: „მოძღვარი ჩვენი ვანაკანი“-ო, რ. ბლეიკი და რ. ფრაი ვარდაპეტს თარგმნიან მასწავლებლად (იხ. რ. ბლეიკი, რ. ფრაი, გრიგოლ აკანელის ინგლისური თარგმანი, V, 24).

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი თვლის, რომ ვარდაპეტო იგივე ქართული მოძღვარია (იხ. ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ენათბა, ტფილისი, 1928 წ., გვ. 11, შენიშ. 1 და 2).

ლიტერატურისა და წყაროების სია ტერმინ ვარდაპეტზე იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის დასახელებულ ნაშრომში.

მ3. მალი

არაბული მალ — „ფარა, ქონება“. თურქულად — „ქონება“. „გადასახადი“. მონღოლურად — „რქოსანი საქონელი“. მონღოლეთში შტაულა თურქულიდან (კლიუსი, 438, რ. ბლეიკი, შენიშ. 22).

„სასოფლო მეურნეობაზე დადებული საყაანო გადასახადი“ (ივ. ჟავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, 1941, გვ. 56). მონღოლთაგან განთავისუფლების შემდეგ მალი აღნიშნავდა ქართულ სახელმწიფო გამოსაღებს.

მ4. თადარი

თურქული სიტყვაა — „ცხენების საყვები“. მონღოლებთან — გადასახადი ზორბალზე და საყვებ პროდუქტებზე.

კირაკოსის ცნობით ის შემოიღო სომხეთში ჰელაგუმ და მოიცავდა შემდეგს: თითოეულ თავზე ითხოვდნენ: 100 ლიტრა ხორბალს, 50 ლიტრა ღვინოს, 2 ლიტრა პრინჯს 3 ტომარს, ორ თოკს, 1 თეთრს, 1 ნალს, 20 სულ საქონელზე ერთ თავს და 20 ეერკ ხლის ფულს (გვ. 359—360).

(იხ. კლიუსი, 438—439; რ. ბლეიკი, შენიშვნა 22; ქ. პატკანიანი, შენიშვნა 17).

მ5. სამხედრო ვალდებულება მონღოლთა სასარგებლოდ

მონღოლები დაპყრობილ ხალხებს აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღოთ მათ გაუთავებელ ბრძოლებში (მონღოლთა მიზანი იყო მთელი მსოფლიოს დაპყრობა, რაც მათ ჩინგის ხანმა უანდერძა, იხ. პლანო კარპინი, გვ. 39). ეს ვალდებულება, რაც უაღრესად იწოდებოდა, ყველაზე მძიმე იყო დაპყრობილ ხალხთათვის (იხ. ივ. ჟავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, 1941, გვ. 55, 56, 79). გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ მონღოლთა გამარჯვებების უმთავრესი მიზეზი ქართველები და სომხები იყვნენ, რომლებიც მეწინაელებად იბრძოდნენ მათ ქაშპარს, დასტურდება სხვა წყაროების ჩვენებებით.

მ6. მულანის ქვეყანა

მულანის ველი, მონღოლთა სახამთრო სადგომი. მდებარეობს არანში, ყარაბაღში, ირაქისისა და მტკვრის შესართავთან.

მუდანის ველს მონღოლთა საზამთრო სადგომად გრიგოლ აკანელის გარდა ასახელებენ: კირაკოს განძაყელი (გვ. 221, 228, 248, 265, 359, 380), ვარდანი (გვ. 198—199), სტეფანოს ორბელიანი (გვ. 425, 467, 476), რაშიდ-ედ-დინი (111, 141, 169), ეამთაღმწერელი (237).

რაშიდ-ედ-დინის ცნობით, მონღოლთა საზამთრო სადგომი ყოფილა არანი, ბაღდადი და ჩაღათუ (111, 68).

(იხ. რ. ბლევცი, შენიშვნა 23, ქ. პატკანიანი, შენიშვნა 18; ინჰიკიანი, 517).

37. ღარა-ბულა

მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აკანელთან.

ღარა ბულა არის მონღოლურ-თურქული ყ ა რ ა ბ უ ლ ა — „შავი ხარი“ (კლივისი, 421).

რ. ბლევცი აზრით შეიძლება ეს იყოს იგივე ყარა ბაადური, მოხსენებული კირაკოს განძაყელთან, როგორც ქალაქ სურბ-მარის დამარბეველი (კირაკოსი, 247; რ. ბლევცი, შენიშვნა 23).

თ ა ვ ი IV

1. კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა

კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენას ვარდანი გვაძენობს 1220 წელს და მიიჩნევს თათართა შემოსევის მაუწყებელ წინასწარ ნიშნად (186). (იხ. ქ. პატკანიანის, შენიშვნა 19).

2. ხურუთა

ხურუთა არის მონღოლური ყ უ რ ი ლ ტ ა მ. გრიგოლ აკანელი სწორად განმარტავს როგორც „დიდ კრებას“, „ურილობას“ (კლივისი, 442—443; ივ. ჯავახიშვილი, ქართუერის ისტორ., III, 1949, გვ. 84).

8. ჩორმადანის წასვლა ჩინგის ყაენთან

ჩორმადანის წასვლა ჩინგის ყაენთან შეთხზულია გრიგოლ აკანელის მიერ, რადკანამ დროს ჩინგისი უკვე მკვლარი იყო.

4. ტ'ზღუ

ტ'ზღუ არის თურქული ტ უ ზ ლ უ — „სასტუმრო საჩუქარი“. მისი მონღოლური ფორმაა ტ უ ზ ყ უ. ამ გადასახადის ზუსტი შინაარსი არ არის დადგენილი. არ არის აგრეთვე ნათელი მისი კავშირი თურქულ ტ უ ზ-თან — „მარილი“, ქართულ წყაროებში ეს მონღოლური გადასახადი არა გვხვდება (იხ. კლივისი, 442; რ. ბლევცი, შენიშვნა 25).

6. ღ'ფჩური

ღ'ფჩურ (*qıçur*) მონღოლური ყ უ ბ ჩ უ რ (პატკანიანი) აღნიშნავდა „საძოვარს“, (კლივისი, 436—437); ქ. პატკანიანი, შენიშვნა 21).

მონღოლური გადასახადი — საბალახე. 100 საქონელზე — 1 სული. შემდეგ იქცა ფულად გადასახადად, 1 დინარიდან 10 დინარამდე (ივ. ჯავახიშვილი, ქართუელი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 56).

6. ალთანა ხათუნი

ჩორმადანის ცოლი. გრიგოლ აკანელის ცნობას, რომ ჩორმადანის სიკვდილის შემდეგ ალთანა ხათუნს ეპყრა მისი ხელისუფლება, რომელსაც ის ახორციელებდა ბაჩუ ნოინთან ერთად (26,37-27,4), ეთანხმება კირაკოს განმძაყელის ცნობა, რომელს მიხედვით ჩორმადანი დამუნჯდა და მის მაგივრად მთავრობდა მისი ცოლი ელთინა ხათუნი (გვ. 274). კირაკოსისვე ცნობით, პეტუმ მეფის მოციქული წარუდგა ბაჩუ ნოინს და ელთინა ხათუნს (გვ. 269).

ალთანა ხათუნს ჰყავდა შვილები: სირამუნი და ბორა (იხ. აქვე, შენიშვნა IX, 23). მისი ერთი ქალი გათხოვდა უსურ ნოინზე (კირაკოსი, 275), მეორე — ესუქნი — ულუ დავითზე (ეპითალმწერელი, 251), ალთანა ხათუნიც და მისი ძმებიც, კირაკოს განმძაყელის ცნობით, ქრისტიანები იყვნენ (276).

ალთან მონღოლური სიტყვაა და აღნიშნავს „ოქროს“. თურქული ფორმა — ალთუნ. ხათუნ //ყათუნ თურქული სიტყვაა — „დედოფალი“, მონღოლურში — ყათუნ — „ქალბატონი“. თანამედროვე თურქულში — ქალი. (კლიესი, 410—411: რ. ბლეიკი, შენიშვნა, 26).

ქ. პატკანიანის აზრით ეს არის იგივე ხანუმ და წარმოიშვა ხან-იდან (შენიშვნა 7).

8. ასუთუ

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. მოხსენებულია გრიგოლ აკანელის ვარდა ჩანიდ-ედ-დინთან („ასუთა“).

ასუთუ უნდა იყოს მონღოლურ წყაროებში დამოწმებული ასუტაი — „ალანი“ (კლიესი, 409).

9. ნუინი

ეპითალმწერელთან — ნოინი (184).

მონღოლური ნოიან — „დიდებული“ (კლიესი, 405).

დუმანის (10.000 მხედარი) მეთაური. ეპითალმწერელი ასე განმარტავს: „ერისმთავარია, რომელთა ქართველნი ნოინობით უქმობენ“ (184).

10. ჩალთა

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს.

კირაკოს განმძაყელის ცნობით ის ჯარის ზორგარი იყო და დახოცა მექლიდები (გვ. 250), საქართველოში მან აიღო ციხე-ქალაქი ლორე (კირაკოსი, გვ. 239—240, ვარდანი, გვ. 189) და დაიპყრო სამცხე (ეპითალმწერელი, გვ. 191), მოხსენებულია აგრეთვე სტეფანოს ორბელიანთან (გვ. 402). ეპითალმწერლის ცნობით მოკლეს მუღიღებმა (გვ. 208).

ჩალთა მონღოლური სიტყვაა — ჩალთაი/ჩალადაი. ძირია ჩალან — „თეთრი“, — დაი//ტაი-სუფიქსთა (კლიესი, 417—418).

წყაროების ცნობები მის შესახებ იხ. აქვე, გვ. 95—106.

11. სონთა

გრიგოლ აკანელის ცნობით, მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და

ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. რაშიდ-ედ-დინის ცნობით კი, სონდაანონა მოვიდა ჰულაგუსთან ერთად (III, 39).

სონითა არის ტრანსკრიპცია მონღოლური სონითეისა (კლივისი, 425).

12. მცირე ჩაღათა

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აქანელთან.

(ჩაღათას ეტიმოლოგიაზე იხ. აქვე, შენიშვნა IV, 10).

13. ბაჩუ

რაშიდ-ედ-დინთან — ბაიჭუ (III, 21, 31 და სხვა), ეამთაღმწერელთან ბიჩო//ბიჩუ (გვ. 184, 190 და სხვა).

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. ჩორმადანის შემდეგ — ნოინთა მთავარი; მისი სარდლობით მონღოლებმა აიღეს კარნუ ქალაქი (1243 წ.), დაამარცხეს რუმის სულტანი (1244 წ.), დახარკეს კილიკიის სომხური სამეფო.

1256 წ., ჰულაგუს მისვლის შემდეგ, ბაჩუ ნოინი დაექვემდებარა მას, მისი ბრძანებით მან თავისი ჯარით დატოვა ამიერკავკასია და ირანი და წავიდა მცირე აზაშში.

ბაჩუ არის მონღოლური ბაიჭუ (კლივისი, 411—413). კირაკოს განძაკელი ერთგან მას უწოდებს ბაჩუბურჩის, რაც მონღოლურად ნიშნავს; „ბაიჭუ აბჯროსანს“ (იქვე).

ცნობები ბაჩუზე იხ. აქვე. გვ. 95—106.

14. ასარი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. გრიგოლ აქანელის გარდა. მოხსენებულია: კირაკოს განძაკელთან (ესრარი“, გვ. 261), სტეფანოს ორბელიანთან („ასლანი“, გვ. 402, 403) და ეამთაღმწერელთან („იოსური“, გვ. 184).

კოვალევსკის განმარტებით ასარი მონღოლური სიტყვაა — „ციხე, ბასტიონი“ (იხ. კლივისი, 407—409).

15. ხუთთუ ნუინი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს.

კირაკოს განძაკელთან — ღუთუ (გვ. 261).

ხუთთუ შესაძლოა იყოს მონღოლური ყუთულთუ — „წმინდანი“ (კლივისი, 435).

16. თუთუ ნუინი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს.

კირაკოს განძაკელთან — ტუთუ ნუინი (გვ. 261).

თუთუ უნდა იყოს მონღოლური თუღთუ (კლივისი, 431).

17. ოგოთა

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს.

ეპითაღმწერელთან ოქოთა (რომელსაც ის უწოდებს ჩინგისის მესამე შვილს, გვ. 180).

ოგოთა არის მონღოლური ოგოდეი (ჩინგის ყაენის მესამე ვაჟის სახელი). (კლეისი, 409—410).

18. ხოჯა ნუინი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანის და ამიერკავკასიის დაპყრობას დროს. მოხსენებულია, გრიგოლ აქანელის გარდა, კირაკოს განძაქელთან (გვ. 355).

სახელი ხოჯა სპარსული წარმოშობისაა და ძლიერ გავრცელებული იყო მონღოლებში. ზშირად იხსენიება ჩინურ წყაროებში (კლეისი, 431—432).

19. ხურუმჩი ნუინი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი, მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. მოხსენებულია, გრიგოლ აქანელის გარდა, კირაკოს განძაქელთან (გვ. 355).

ხურუმჩი არის მონღოლური ყურუმჩი (კლეისი, 433—435).

20. ხუნან ნუინი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობას დროს. მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აქანელთან.

ხუნანი არის მონღოლური ღუნანი — „სამი წლის“ (კლეისი, 432).

21. თენალ ნუინი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს. მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აქანელთან.

თენალი არის მონღოლური თაინალ (კლეისი, 430—431).

22. ანგურაგი

მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი მათ მიერ ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობის დროს.

კირაკოს განძაქელთან — ანაკურაკ (296). ეპითაღმწერელთან ანგურაგა (ანგურაგი) ანგურგი (196, 215, 218, 222).

ანგურაგი არის მონღოლური ენგურეგი — „ძვირფასი, კარგი მეგობარი“ (კლეისი, 404—405).

თ ა ვ ი V

1. სომეხი და ქართველი მთავრების მოქცევა მონღოლთა ხაკის ქვეშ

საისტორიო წყაროები (როგორც ქართული, ისე სომხური) აღნიშნავენ, რომ მონღოლებთან საზავო მოლაპარაკება გამართა არა საქართველოს ცენტრალურმა ხელ-

სუფლებამ, არამედ ცალკეულმა მსხვილმა ფეოდალებმა („მთავრებმა“). ისინი სათითაოდ უმორჩილებდნენ მონღოლებს საქართველოს კუთხეებს, რომლებსაც თვითვე ღებულობდნენ მონღოლთაგან საგამგებლოდ (იხ. ვარდანი, 190, ეამთაღმწერელი, 189—192). გრიგოლ აკანელის ცნობას, რომ მონღოლებს დაემორჩილენ მთავრები, ზოგი ნებით და ზოგი უნებლიეთ, ადასტურებს ეამთაღმწერელი, რომელიც გვამცნობს, რომ სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი მხოლოდ ხანგრძლივი წინააღმდეგობის შედეგად დაემორჩილა მონღოლებს (191). ეს ცალ-ცალკე დამორჩილება მთავრებისა მოწმობს ამ დროისთვის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს საქართველოში, რაც იყო კიდევ, როგორც ჩანს, უმთავრესი მიზეზი მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობისა. ამ სისუსტეზე მიუთითებს სწორედ გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ რუსუდანს ეპყრა სამეფო იფანეს ზედამდგომლობით და კირაკოს განძაკოს ცნობა, რომ რუსუდანი მართადა სამეფოს იფანე, ვარამ, შაჰანშა მხარგრძელებთან და ვარამ გაგელთან ერთად (224).

2. ხალანი

ხალანი მომდინარეობს თურქული სიტყვიდან ყ ა ლ ა ნ — „გადასახადი, მიწის გადასახადი“. დამოწმებულია უიღურულშიც. რაშიდ-ედ-დინი ხმარობს კ ა ლ ა ნ-ს. ირანში აღნიშნავდა სამხედრო ბეგაბას, ასევე საქართველოშიც. ეამთაღმწერელთან ნახ-მარია ყ ა ლ ა ნ ი (235, 272). (იხ. რ. ბლეიცი, შენიშვნა 32, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1951, გვ. 57).

3. მონღოლთა ბოროტმოქმედებანი დაპყრობილ ქვეყნებში

შეადარეთ: კირაკოს განძაკელი, ვარდანი, ეამთაღმწერელი. მასალები იხ. აქვე, გვ. 109—110.

4. აღმოსავლეთის ქვეყანა

„აღმოსავლეთის ქვეყანას“ მონღოლთა დროინდელი ქართული და სომხური წყაროები ზმირად ხმარობენ როგორც სპეციალურ ტერმინს წინა აზიის აღსანიშნავად (იხ. ეამთაღმწერელი, 181, კირაკოს განძაკელი, გვ. 354, 355, 358, 363 და სხვა), ზოგჯერ კი უფრო ენწრო მნიშვნელობით: ამიერკავკასიის აღსანიშნავად.

5. ვარდანი, ვანაკანის მოწაფე

მოძღვარი (ვარდაპეტი). ისტორიკოსი. ავტორი მრავალი ნაშრომისა, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინოა „მსოფლიო ისტორია“ (იწყება სამყაროს შექმნით და მთავრდება 1267 წლით).

დაიბადა კილიკიაში, ტავრის მთების ჩრდილოეთ მხარეზე მდებარე ბარძრბერდში (აქედან მისი სახელი: „ვარდან ბარძრბერდელი“). დაბადების წელი უცნობია. მოწაფე იყო (კირაკოსთან, იოსებთან, არაქელთან ერთად) იმ დროს სახელგანთქმულ მოძღვარ იოანე ვანაკანისა. 1238 წელს წაიღო იერუსალიმში სლოცავად, იქიდან დაბრუნდა კილიკიაში და ეახლა მ. სისში სომეხთა მეფე პეტლემს. შემდეგ, გაემართა სომხეთის კათალიკოს კონსტანტინესთან, რომელმაც ის სიყვარულით მიიღო და დატოვა თაყისთან. 1243 წელს, კათალიკოსის დავალებით, მიდის ძორაფორის მხარეში (საქართველოში), კავნის ციხის პირდაპირ მდებარე წმ. ანდრეას მონასტერში. 1264 წ. ის გამოიძახა პულაგუ ყანმა. ამ შეხვედრას დაწერილებით ავტოწერს თვით ვარდანი (იხ. ვარდანი, 204—205). გრიგოლ აკანელის ცნობით გარდაიცვალა 1271 წელს.

ვარდანის ცხოვრებაზე იხილეთ:

1. ა. ოსკიანი, ვანაკანი და მისი სკოლა (სომხურად).
2. ვარდანის რუსული თარგმანის შესავალი (ემინისა), გვ. V—XXIII.
3. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, 1941 წ.
4. ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, I, 1949 წ.

6. კირაკოსი, ვანაკანის მოწაფე

მოძღვარი (ვარდაპეტი). ცნობილი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი. ავტორი „სომეხთა ისტორიისა“ (IV ს. — 1265 წ.).

დაიბადა ქ. ვანძაკში (დღეს კიროვადი) 1201 წელს და გარდაიცვალა, გრიგოლ აკანელის ცნობით, 1271 წელს (ერთ წელს ვარდანთან ერთად). განათლება ვარდანთან, იოსებთან და არაქელთან ერთად მიიღო მოძღვარ იოანე ვანაკანთან. ვანაკანთან ერთად ტყვედ წაიყვანეს ამიერკავკასიაში შემოქრილმა მონღოლებმა. ვანაკანი გამოისყიდეს, ხოლო კირაკოსი მონღოლებმა დაიტოვეს და იყენებდნენ მთარგმნელად (იხ. კირაკოსი, 236—239).

კირაკოსის ისტორიის პირველი ნაწილი, სადაც მოთხრობლია ადრინდელი ამბები, წარმოადგენს სხვადასხვა წინამორბედი ისტორიკოსების შრომების კომპილაციას, მეორე ნაწილში, წინა აზიაში მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის ისტორიას კირაკოსი აგვიწერს როგორც თვითმხილველი, ყველა სხვა სომეხ ისტორიკოსზე უფრო დაწვრილებით.

კირაკოს განძაკელის ცხოვრებაზე იხილეთ:

1. ა. ოსკიანი, ვანაკანი და მისი სკოლა (სომხურად).
2. კირაკოსის რუსული თარგმანი, გამოცემილად, ქ. პატკანიანისა, გვ. III—VII.
3. სომხური საისტორიო მწერლობის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ქ. პატკანიანისა, გვ. 497.
4. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, 1941 წ.
5. ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, I, 1949 წ.

7. არაქელი, ვანაკანის მოწაფე.

მოსხენებულა მხოლოდ გრიგოლ აკანელთან.

8. იოსები, ვანაკანის მოწაფე

მოსხენებულა მხოლოდ გრიგოლ აკანელთან.

თ ა ვ ი VI

1. კარნუ ქალაქი

იგივე კარინი, თეოდოსიოპოლი, დღეს ერზურუმი. (იხ. ჰაუბშმანი, 287—290, რ. ბლეიკი, შენიშენა 29). ჭუნანგურის ცნობით, მას, ვანტანგ გორგასლის დროს ერქვა კარახპოლა (ქართლის ცხოვრ., I, 159). ქართლის ცხოვრების ჭანაშვილისეულ ნუსხაში, დავითის ისტორიკოსთან არშიაზე წერია: „კარნუ აზრუშია“ (ქართლის ცხ., I, 318).

მ. ჰორომი

რუმის სასულტნო (იხ. აქვე, შენიშვნა VI, 3).

მ. ჰორომნი

ჰორომებად აქ იგულისხმებიან თურქები. თურქ სელჯუქთა სახელმწიფოს მცირე აზიაში—რუმის სასულტნოს—სომხურ წყაროებში ეწოდება ჰორომი, ჰორომთა ქეე-ყანა, ე. ი. რომაელთა (ბერძენთა) ქვეყანა. ეამთაღმწერელი რუმს უწოდებს საბერძნეთს (192, 194, 207), ხოლო რუმის სულტანს საბერძნეთის სულტანს (220).

4. სომეხთა და ქართველთა მონაწილეობა მონღოლთა დაშქრობებში

გრიგოლ აკანელის ცნობა, რომ მონღოლთა გამარჯვებებში უმთავრესი დამსახურება მიუძღვით ქართველებსა და სომეხებს, რომლებიც მეწინავეები იყვნენ და პირველნი ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს, დასტურდება სხვა წყაროებითაც.

მონღოლებმა დემნიბად დაყვეს საქართველო და მათი სამხედრო ბეგარა (ყლანა), მძიმე ტვირთად აწვა ქვეყანას.

5. ხიათადინი

იგულისხმება რუმის სულტანი ყიას-ად-დინ ქაიხურუ II (1236—1245) (იხ. ს. ლენ-პული, მუსლიმანური დინასტიები, გვ. 128).

6. ~~ქი და ლ~~ შალვასი

ფარადავლა თორელი. შალვაში აქ იგულისხმება შალვა ახალციხელ-თორელი, ვაზირი (მეჭურჭლეთ-უხუცესი) და დიდებული აზნაური. თამარ მეფის, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის დროინდელი მოღვაწე, რომელიც 1225 წლის გარნისის ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო სულტანმა ჭალალ-დინმა (მის შესახებ იხ. ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგია, ივ. ჭავჭავიშვილი, ქართველი ერის ისტორ. III, 1949, გვ. 48).

შალვას ძის მონაწილეობაზე მონღოლთა და რუმის სულტნის ბრძოლაში, უკანასკნელის მხარეზე, გრიგოლ აკანელის გარდა, გვამცნობს აგრეთვე ეამთაღმწერელი. ამ ცნობის მიხედვით, შალვას ძე — ფარადავლა, საქართველოდან რაღაც მიზეზით ლტოლვილი, ხლებია რუმის სულტანს, რომელსაც ის, მაღალი საბრძოლო ღირსებების გამო, ერთ-ერთ მხედართმთავრად დაუყენებია (192). ეამთაღმწერლისეე ცნობით, ფარადვლად აღნიშნულ ბრძოლაში მოუკლავთ რუმის სულტნის ბრძანებით „შურითა ქართველთათა“ (194).

7. აღბულა

ვარამ გაგელის ძე (იხ. აქვე, შენიშვნა III, 13).

აღ-ბულა თურქული სიტყვაა „თეთრი ხარი“. აღ — „თეთრი“, ბულა — „ხარი“ (კლივისი, 403—404).

8. მონღოლთა მიერ რუმის სულტან უიასედილის დამარცხება

საქართველოს დაპყრობის შემდეგ მონღოლებმა პირი ქნეს მცირე აზიისკენ. გზაზე მათ, 1242 წ. აიღეს ხლათი და კარნუ ქალაქი (იგივე კარინი, თეოდოსიოპოლი, დღეს ერზერუმი) და შეიპყრნენ რუმის სასულტნოში, რომელიც ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო მაშინ, მცირე აზიაში. სომხური წყაროები რუმის სასულტნოს უწოდებენ პორომთა ქვეყანას, რუმელებს კი (ე. ი. თურქ-სელჯუკებს) — პორომებს (ე. ი. რომაელებს — ბერძნებს).

ბრძოლა მონღოლებსა და რუმის სულტნის ჯარებს შორის (რომლებიც რიცხობრივად სპარბოდნენ მოწინააღმდეგეს) მოხდა 1244 წელს, კარნუ ქალაქსა და ერზინკას. (დღეს ერზინჯანი) შორის (გრიგოლ აქანელის მართებული ცნობით), კოსე-დაღს, და დამთავრდა მონღოლთა გამარჯვებით. გრიგოლ აქანელის ცნობას, რომ მონღოლთა გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი აქ და საერთოდ სხვა ბრძოლებშიც, იყვნენ ქართველები და სომხები, რომლებიც იბრძოდნენ მეწინაელებად, ადასტურებენ სხვა წყაროებიც.

რუმში მონღოლებს ხელთ უვდიათ ქალაქები: კესარია, სებასტია, ერზინკა, კონი. (კონია), ანშარი, ტიურსიყე.

მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე. გვ. 112—116.

9. ერზინკა

ქალაქი მცირე აზიაში. დღევანდელი ერზინჯანი (იხ. ჰაუბშმანი, 286).

10. შანსა

მონღოლი მოხელე. ქალაქის გარნიზონის უფროსი (იხ. ბერეზინი, 58).

11. კესარია

ქალაქი მცირე აზიაში. წინა აზიის უმნიშვნელოვანეს საეპრო გზაჯვარედინზე მდებარე პუნქტი.

12. კონი

ეპითაღმწერელთან იკონია (194). სხვა სომხურ წყაროებში აგრეთვე კონი. თანამედროვე კონია. რუმის სასულტნოს ცენტრი. მონღოლები კონიაზე შორს არ წასულან.

ეპითაღმწერელი აღნიშნავს: „...იკონიამდე, რომელ არს ქალაქი დიდად დიდი და ზღუდითა მტკიცითა მიერ განმავრებული“ (194).

იხ. აქვე, შენიშვნა I, 8.

13. ანშარი

მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აქანელთან. რ. ბლეიკის აზრით, შეიძლება ეს იყოს თანამედროვე აქსარაი — ანტიკური ხანის არქელაისი, რომელიც მონღოლებმა დაიპყრეს (იხ. რ. ბლეიკი, შენიშვნა 31).

14. ხევასტი

დღევანდელი სივასი. გრიგოლ აქანელის ცნობას, რომ ის ხელთ იგდეს მონღოლებმა რუმში შეპყრის დროს. ადასტურებენ სხვა წყაროებიც (იხ. აქვე, გვ. 114—115).

15. ურღო

ო რ დ ა, ო რ დ ე — სადგომი, ბანაყი; არმა; ყაენის ადგილს-აყოფელი (ქ. პარკანიანი, შენიშენა 37).

თ ა ვ ი VII

1. პეტუმ სომეხთა მეფე

კილიკიის სომხური სახელმწიფოს მეფე პეტუმ I (1226—1270 წწ.). პირველი მეფე პეტუმეიდების დინასტიიდან. მეფედ გახდა მას შემდეგ, რაც მისმა მამამ, კონსტანტინემ, რუბენიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის იზაბელას რეგენტმა, ცოლად შერთო იზაბელა მას (იხ. გ. მიქაელიანი, გვ. 291—293).

სომხური წყაროების ცნობით პეტუმი გარდაიცვალა 1270 წელს, საქართველოს მეფე ულუ დაეითთან ერთად (იხ. აქვე, გვ. 167—168). ნ. აკინიანი უარყოფს ამ თარიღს და თვლის, რომ პეტუმი გარდაიცვალა 1269 წლის 29 ოქტომბერს (იხ. რ. ბლეიკი, შენიშენა 71).

2. პეტუმ სომეხთა მეფის მამა

იგულისხმება კილიკიის სომხური სახელმწიფოს მეფის პეტუმ I (1226—1270) მამა — ბარძებრდის მფლობელი, სომეხთა გენდსტაბლი, ბაილი კონსტანტინე. კილიკიის მეფის ლეონ II სიკვილის შემდეგ ის გახდა ტახტის მემკვიდრის იზაბელას რეგენტი, რომელიც 1229 წ. გათხოვდა ანტიოქიის მფლობელ ბოემუნდის ვაჟ ფილიპეზე. ფილიპემ მალე სომეხ პარონთა უკმაყოფილება გამოიწვია. მათ ის ჩასვეს საპყრობილეში. კონსტანტინემ 1226 წ. იზაბელა შერთო თავის ვაჟს პეტუმს, და მეფედ აკურთხა ის. თავის მეორე ვაჟს — სუმბატს — კონსტანტინემ გადასცა კონეცაბლის (მთავარსარდლის) თანამდებობა, მესამე ვაჟს — ოშინს — მისცა ზღვისპირა სიმაგრე კორიკოსი, მეოთხეს — ლევონს — აგრეთვე დიდი სახელმწიფო თანამდებობა. ამრიგად, მეფობა რუბენიდებიდან გადავიდა პეტუმეიდების ხელში. კონსტანტინე, შვილის გამეფების შემდეგაც, აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო გამგებლობაში.

(იხ. გ. მიქაელიანი, გვ. 291—294).

3. კილიკიის სომხური სახელმწიფოს უბრძოლველად დამორჩილება მონღოლებისადმი

კილიკიის სომხური სამეფო მონღოლებამდე განიცდიდა რამდენადმე რუმის სასულტნოს პოლიტიკურ გავლენას. როცა მონღოლებმა შეუტრეს რუმს, კილიკიის მეფე პეტუმმა არ შეასრულა სულტან ყიასედინის მოთხოვნა დამხმარე ჯარის გაგზავნაზე მისთვის, ხოლო მონღოლთა გამარჯვების შემდეგ, 1244 წელს, მოციქული გაუგზავნა ბაჩუნოინს, იცნო მონღოლთა სუვერენიტეტი და იყისრა ხარკის ძლევა მოთხოვნა. პეტუმმა ამავე დროს, მონღოლთა მოთხოვნით, გასცა მასთან შეფარებული რუმის სულტნის დედა, ცოლი და ქალი (იხ. კირაკოსი, 272). ამით პეტუმმა იხსნა თავისი სამეფო მონღოლთა შესვევისგან. (იხ. გ. მიქაელიანი, 297—299).

მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 116—117.

4. სპარაპეტი

სომხური — *სպարაպეტი* მხედართმთავარია. სპარაპეტის აღსანიშნავად კილიკიაში ხმარობდნენ აგრეთვე ევროპულ ტიტულს — კონეტამბლ, ან გუნდსტაბლ. (იხ. გ. მიქაელიანი, გვ. 234).

5. პართია

კილიკიის სომხეთში შესული ევროპული ტერმინი. შეესაბამება ბარონს. კილიკიის. სომხეთში ჭვაროსანი რაინდების საშუალებით შევიდა კიდევ სხვა მრავალი ევროპული ტერმინი: კონტაბლი, ბაილი, ღუჯა და სხვა (იხ. ჯ. პატკანიანი, შენიშვნა 34).

6. სუმბატი

კონსტანტინეს ძე. კილიკიის სომხური სახელმწიფოს მეფის პეტე I (1226—1270) ძმა. სომეხთა სპარაპეტი, ანუ კონტაბლი (გუნდსტაბლი). პეტემის გარდა ჰყავდა ძმები: ოშინი და ლეეონი.

1948 წ. პეტემმა სუმბატი გაგზავნა თავის მაგიერად თაყვანისსაცემად (როგორც მოითხოვდა მონღოლთა წესი) ჭერ ბათუ ყაენთან, რომელსაც ექვემდებარებოდა ფორმალურად წინა აზია პულავე ყაენის მოსვლამდე (ამიტომ იყო, რომ წინა აზიის მფლობელი ბათუ ყაენს ეახლებოდნენ თაყვანისსაცემად. ასე მოიქცნენ, მაგალითად, საქართველოს მეფეები — ელუ დაეითი და ნარინ დაეითი. ბათუსთანვე გაგზავნა რუსუდანმა. ელჩად არსენ ჰყონდიდელი), ხოლო შემდეგ გუაქუ ყაენთან (იხ. კირაკოს განძაკელი, გვ. 301—302). სამშობლოში სუმბატი დაბრუნდა 1250 წელს.

სუმბატის კალამს ეკუთვნის ისტორიული ქრონიკა — „სომხეთის ისტორია“ (952—1274 წწ.), რომლის ბოლო ნაწილი დაწერილი აქვს როგორც თვითმხილველს.

1264 წელს სუმბატი მხითარ გოშის „სამართლის წიგნის“ საფუძველზე აღგენს კანონთა კრებულს, რომელიც ძვირფასი წყაროა XIII ს. კილიკიის სოციალ-პოლიტიკური სოკრებების შესასწავლად. გარდაიცვალა 1275 წ. (სუმბატის ისტორიული ქრონიკა სომხურად: *Մխարայ Մպարպաչախ պատմութիւն, Մուսկո*, 1856. სუმბატის „სამართლის წიგნი“ იხ. კარსტის ნაშრომში: Karst, I. Sempadscher Kodex, Strassburg, 1905).

(სუმბატის შესახებ იხ. გ. მიქაელიანი, დასახ. ნაშ., გვ. 261—286; ჯ. პატკანიანი, სომხური საისტორიო მწერლობის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა; ლ. მელიქსეთ-ბეგე, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1941).

მასალები სუმბატის ყაენთან მოგზაურობაზე იხ. აქვე, გვ. 116—117.

7. საინ დანი

საინ ყაენს წყაროები უწოდებენ ბათუს (იხ. მარკო პოლო, 227). გრიგოლ აკანელი აქ, როგორც ჩანს, შეცდომით გუაქუს უწოდებს საინ დანს, თუმცა მეორედ საინ დანად გრიგოლ აკანელი უკვე ბათუს გულისხმობს. ეს ჩანს მისი ცნობიდან, რომ ბერქა იყო ძმა საინ დანისა (იხ. აქვე, გვ. 43, 6—7), ბერქას ძმა კი, როგორც ცნობილია, ბათუ იყო.

საინი მონღოლური სიტყვაა და მართლაც „კეთილს“ ნიშნავს, როგორც ამას გრიგ. აკანელიც აღნიშნავს (კლიესი, 425).

8. სლამიში

ჯ. პატკანიანი აღნიშნავს, რომ ეს არის დამახინჯებული სი უ რ დ ა მ ი შ ი — „კეთილგანწყობა“. აქედან მოდის სო ი უ რ დ ა ლ — მეფის მიერ მკვიდრად ბოძებული მიწის ნაკვეთი. სლამიშად, პატკანიანის აზრით, აქ იგულისხმება სუმბატისთვის მამულის ბოძება (იხ. ჯ. პატკანიანი, შენიშვნა 36).

9. იარღაზი

თურქულად — იარღიცი, მონღოლურად — იარღილი. ეამთააღმწერელთან: „იარღაცი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა“ (225). სტეფანოს ორბელიანთან: „იარღეხი, რომელიცაა ბრძანება, რომელსაც ჩვენ სიგელს ეუწოდებთ“ (გვ. 411). სიგელი, დეკრეტი, ყაენისგან გაემული. (იხ. რ. ბლეიცი, შენიშენა 34; ქ. პატკანიანი, შენიშენა 37).

10. ოქროს ფაიზა

მეტალის ფირფიტა (ოქროსი ან ვერცხლისა), რომელსაც უწყალობებდა ხოლმე ყაენი ამა თუ იმ პირს. მოხსენებულია სტეფანოს ორბელიანთან, რომლის ცნობით მასზე ამოჭრილია ღმრთისა და მეფის სახელები (გვ. 410—411, 483). (იხ. რ. ბლეიცი, შენიშენა 31; ქ. პატკანიანი, შენიშენა 36).

11. მონღოლთა ხარკიდან ეკლესიის განთავისუფლება

გრიგოლ აკანელის ეს ცნობა სუმბატის მიერ ყაენისგან ეკლესიის ხარკისგან განთავისუფლების წერილის მიღების შესახებ კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მონღოლები ეკლესიას არ ხარკადენენ, რასაც ერთხმად აღნიშნავენ წყაროები. საქართველოს ეკლესიას ხარკისგან თავისუფლების ასეთი წერილი („იერლიყი“) მიუღია ნიკოლოზ კათალიკოსს იმავე ხანებში (იხ. ეამთააღმწერელი, 224), ხოლო 1254 წლის აღწერის დროს, რაც ახლებური დახარკვის მიზნით ჩატარდა, საეკლესიო მამულები მონღოლებს არ აღურიცხბათ (იხ. კირაკოსი, 350; ეამთააღმწერელი, 235).

თ ა ვ ი VIII

1. რუსუდან მეფის გარდაცვალება

რუსუდან მეფე გარდაცვალა 1245 წელს (იხ. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, III, 1949 წ., გვ. 118—120).

2. სიასათი

არაბული. აღნიშნავს ძალაუფლებას, რწმუნებას (იხ. ქ. პატკანიანი, შენიშენა 40; რ. ბლეიცი, თარგმანი, VIII, 17).

8. დავით ლაშას ძის დახასიათება

შეადარეთ ეამთააღმწერელს (284).

4. აღთან ხათუნის გამგებლობა

იხ. აქვე, შენიშენა, IV, 6.

5. დავით ლაშას ძის გამეფება

გრიგოლ აკანელის ცნობას დავით ლაშას ძის რუმის ტყვეობიდან დახსენისა და გამეფების შესახებ ადასტურებენ სხვა წყაროებიც (კირაკოსი, ვარდანი, ეამთააღმწერელი,

ობ. აქვე, გვ. 118-122). გრ. აკანელის ცნობით, დავითი მონღოლებმა დაიხსნეს ქართველთა თხოვნით, რომელთაც ამ დროს მეფე აღარ ჰყავდათ, ხოლო კირაკოს განძაყელის ცნობით, მონღოლებმა დავითი გამოიხსნეს ჭერ კიდევ რუსუდანის სიცოცხლეში, მის ჭიბრზე, რადგან ის არ ემორჩილებოდა მონღოლებსო. გრიგოლ აკანელის ცნობა უფრო მართებული ჩანს, მას აღასტურებს ეპითაღმწერელი, რომლის ცნობითაც ქართველები, შეწუხებულები უმეფობითა და ევარსლან ბაიურციხელის განდიდებით, სთხოვენ მონღოლებს დავითის გამოხსნას.

თ ა ვ ი IX

1. კონსტანტინე სომეხთა კათალიკოსი

კონსტანტინე I (1221—1267 წწ.). იხ. აქვე, გვ. 160.

2. სირამუნე

კირაკოს განძაყელთან — ს ი რ ა მ უ ნ ი, რაშიდ-ედ-დინთან — შ ი რ ე მ უ ნ ი, ეპითაღმწერელთან — ს ი რ მ ო ნ ი.

ნოინი. უფროსი ვაჟი ჩორმაღანისა და ალთანა ხათუნისა (გრ. აკანელი, IX, 27, 34—35, კირაკოს განძაყელი, გვ. 380; რაშიდ-ედ-დინი, III, 68; ეპითაღმწერელი, გვ. 254, 259; ჩორმაღანზე იხ. აქვე, შენიშვნა III, 19).

ქულაგუმ სირამუნე გაგზავნა ამიერკავკასიაში შემოკრილ ბერქა ყაენის წინააღმდეგ, მოწინავე ჭარის სარდალად (კირაკოს განძაყელი, გვ. 380; ეპითაღმწერელი, გვ. 254, რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 60). იყო აბაღა ყაენის სახლის მოურავი (ეპითაღმწერელი, გვ. 251). აბაღა ყაენმა, რაშიდ-ედ-დინის ცნობით, სირამუნს ჩააბარა საქართველო (III, გვ. 69). სირამუნე სარდალობდა აჭანუბული თევღდარის წინააღმდეგ აბაღა ყაენის მიერ გაგზავნილ ჭარს. მან დაამარცხა თევღდარი, დაატყვევა ის და მიჰკვარა აბაღას (გრ. აკანელი, XVI, 69, 10-37; რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 72—73, ეპითაღმწერელი, გვ. 259, 266—267).

გრიგოლ აკანელი სირამუნს ახასიათებს როგორც მამაც მებრძოლსა და ძლევამოსილ სარდალს, კირაკოს განძაყელი, როგორც მზნე მეომარს (გვ. 380), ეპითაღმწერელი კი, როგორც ბაღურს (266) და აღნიშნავს, რომ ის იყო „იაკი წყობათა შინა სახელოვანი და შემმართველი“ (259).

3. ბორა

ჩორმაღანისა და ალთანა ხათუნის უმცროსი ვაჟი. ნოინი. გრიგოლ აკანელის გარდა ცნობა ქულაგუს მიერ მისი სიკვდილით დასჯის შესახებ არსად არ გვხვდება. კირაკოს განძაყელის ცნობით მან იჭორწინა ლუთან ნოინის ქალზე (275).

ბორა მონღოლური სიტყვაა: ბ ო რ ო — „შევეკრემანი“ (იხ. კლიესი, 414—415).

4. ლევონი პეტუმის ძე

კილიკიის სომეხთა მეფის პეტუმ I უფროსი ვაჟი, შემდეგ მეფე — ლეონ III (1270—1289); 1266 წელს, მარის ბრძოლაში ტყვედ ჩაეარდა ეგვიპტის სულტანთან, ხოლო შემდეგ გამოხსნილ იქნა (გ. მიქაელიანი, 336—344 და სხვა; წყაროთა ცნობები მის ტყვედ ჩაეარდაზე იხ. აქვე, გვ. 165—167).

5. თოროსი, ჰეთუმის ძე

კილიკიის სომეხთა მეფის ჰეთუმ I უმცროსი ვაჟი. მოკლულ იქნა ეგვიპტელების მიერ, 1266 წელს, მარის ბრძოლაში.

(იხ. გ. მიქაელიანი, 336. ცნობები მის ტყვედ ჩავარდნაზე იხ. აქვე, გვ. 165—167).

6. ავაგი

მხარგრძელი. ივანე ათაბაგის ძე. საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარი (1225—1250 წწ.). სხვა დიდებულებთან ერთად თან ახლდა ულუ დაეითს ყარაყორუმში და მეფეზე ცოტა ადრე დაბრუნდა საქართველოში. ხშირად იხსენიება როგორც უამთააღმწერელთან, ისე სომხურ წყაროებში.

7. ქართველთა შეთქმულება მონღოლთა წინააღმდეგ

ამ შეთქმულებაზე დაახლოებით ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან სომხური წყაროები: კირაკოს განძაკელი, ვარდანი, ანონიმი სებასტიელი. მათი ცნობით ეს მოხდა 1249 წელს.

შესაძლოა აქ კობტას თავის შეთქმულება იგულისხმება, რომელზეც ცნობას გვაწვდის უამთააღმწერელი.

მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 122—125.

თ ა ვ ი X

1. კალის გაჩენა

გრიგოლ აკანელის ცნობას კალის გაჩენაზე წინა აზიაში ადასტურებენ სხვა სომხური წყაროებიც, მხოლოდ თარიღად დებენ არა 1251, არამედ 1252 წელს.

ცნობები ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 127—129.

2. არღუნი

მონღოლთა მოხელე, რომელმაც მანგუ ყაენის ბრძანებით აღწერა მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა. ახალი ხარკის დასადებად. საქართველო აღწერა 1254 წელს. უამთააღმწერლის ცნობით ის იყო თირიდი. სარდლობდა 1260 წელს აქანყებულ ულუ დაეითის წინააღმდეგ გაგზავნილ მონღოლთა ჯარს (უამთააღმწერელი, გვ. 240). მის ვაჟს შეურთავს დავით მეფის და თამარი (274). მოხსენებულთა აგრეთვე კირაკოს განძაკელთან (346), ვარდანთან (195), სტეფანოს ორბელინთან (412—413), ანონიმ სებასტიელთან (წვრილი ისტორიკოსები, II, გვ. 140), სტეფანოს ეპისკოპოსთან, რომელიც მას უწოდებს „ქვეყნის ამოხრებელს“ (წვრ. ისტორიკოსები, I, გვ. 42).

არღუნი თურქული წარმოშობის სიტყვაა (კლეისი, 406—407).

8. მანკუ დანი

მონღოლთა დიდი ყაენი (1251—1259), შვილი თულისა, შვილიშვილი ჩინგის ყაენისა. ძმა ყუბილაი ყაენისა და ჰულაგუ ყაენისა.

სომხური ტრანსკრიპცია დამყარებულია ამ სახელის თურქულსა და არა მონღოლურ (მონგუ) ფორმაზე (კლეისი, 423). ქ. პატკანიანის აზრით მონღოლურად აღნიშნავდა „მარადიულ ყაენს“.

4. დაეთარი

აღწერის წიგნი, სადაც მონოლოგებს შექონდათ გადასახადის გადამხდელი და სამხედრო ბეგარის ვალდებული მოსახლეობის სია. გადასახადებისაგან განთავისუფლებულები (მაგალითად ეკლესია) დაეთარში არ შექცდათ.

ქ. პატკანიანის აზრით, დაეთარის ძირია დაბ, ან დიპ, რომელიც შემოინახა სპარსულმა: „დბირ“ და სომხურმა: „დპირ“ — მწერალმა (იხ. ქ. პატკანიანი, უენიშენა 45).

5. თეთრი

ვერცხლის ფულის ერთეული (იხ. ივ. ჭავჭავიძე, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925 წ., გვ. 10—11).

6. მონღოლთა ხარკის სიმძიმე, მონღოლთა თარეში დაპყრობილ ქვეყნებში

1254 წელს მონღოლთა მიერ ჩატარებულ აღწერას მოჰყვა ახალი, უჩვეულოდ მძიმე ხარკის გაწერა, რომელიც გამანადგურებელ ლახვარს სცემდა დაპყრობილი ხალხების ეკონომიკას. მაგრამ, კიდევ უფრო გამანადგურებელი იყო ამ ხარკის აკრფის მოუწყვარიგებლობა, როცა მონღოლთა მოხელეები დათარეშობდნენ დაპყრობილ ქვეყნებში დარამდენიც სურდათ, იმდენს კრეფდნენ ხარკს. ამის შედეგად საქართველოს ეკონომიკა ნგრევის გზაზე დადგა XIII საუკუნის II ნახევარში, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი განვითარების ძლიერი შეფერხება (იხ. ამის შესახებ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს.). განსაკუთრებით მძიმე სურათს ხატავს ამ მხრივ კირაკოს განმაცელი. მასალები იხ. აქვე, გვ. 127—131.

7. ჰეთუმ მეფის წასვლა მანგუ ყაენთან

როცა კილიკიის სომხური სახელმწიფოს მეფის ჰეთუმის ძმა სუმბატი წავიდა ჯერ ბათუ, ხოლო შემდეგ გუაჟუქ ყაენთან, ამ უკანასკნელმა ბრძანა, რომ მასთან გამოცხადებულიყო თვით ჰეთუმი, როგორც მისი ვასალი.

როცა წინა აზია აღწერა არღუნმა და ახალი ხარკი დაადო მას (1254 წ.), ჰეთუმი გაემგზავრა მანგუ ყაენთან. რუბრუკისის ცნობით, ჰეთუმი მანგუ ყაენისგან დაბრუნდა 1255 წლის მაისში. ჰეთუმის მოგზაურობას მანგუ ყაენთან დაწერილებით აგვიწერს კირაკოს განმაცელი (შეადარეთ გ. შიქაელიანი, 301—316).

მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 131—132.

8. ღუმანი

მონღოლური თუმენ — „ათი ათასი“.

ეპითალმწერელი აღნიშნავს: „ცხრა ღუმანი მხედარი... რომელ არს ცხრა ბეკერი“ (235). რუსულში შევიდა ფორმით: тьма (ღუმანის მეთაური, ნოინი — темник).

გრიგოლ აკანელი შეტყობით განსაზღვრავს როგორც ოცდაათათასს (იხ. კლივისი, 436; ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, 1949 წ., გვ. 123).

13. მოისართა ისტორია

9. ჰულაგუ

სომხურ წყაროებში: ჰულაგუ, ჟამთააღმწერელთან — ულო, რაშიდ-ედ-დინთან — ჰულაგუ, ერანის პირველი ილხანი (1256—1265). ჩინგის ყაენის ვაჟის თულის ძე (იხ. რაშიდ-ედ-დინი, III, 415).

გრიგოლ აჯანელის ცნობებს მის შესახებ (ჰულაგუს მოსვლა წინა აზიაში სხვა ყაენის შეილებთან ერთად, მოწინააღმდეგე ყაენის შეილების დასჯა, ბაღდადისა და მარტიროპოლის აღება, სირიაში ლაშქრობა, მისი ცოლი — ტოვეს-ხათუნი, მისი გარდაცვალება) ადასტურებენ სხვა წყაროებიც (კირაკოს განძაკელი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი, „წერილი“ სომეხი ისტორიკოსები, რაშიდ-ედ-დინი, ჟამთააღმწერელი და სხვ.). სტეფანოს ორბელიანის ცნობით ისიცა და მისი ცოლიც მოწამლა ხოჯა-საპიბმა. ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი.

ჰულაგუ უდრის მონღოლურ ჰულუ-ს (კლეისი, 422).
წყაროთა ცნობები ჰულაგუზე იხ. აქვე, გვ. 132—140.

10. ხული

რაშიდ ედ-დინთან და ჟამთააღმწერელთან — ყული.

ურადის ძე, ჭუნის შეილისშვილი (ე. ი. ბათუ და ბერქა ყაენების ბიძაშვილი — იხ. რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 39), მამა მილანისა (კირაკოსი, 378).

თავის ნათესავ მონღოლ უფლისწულებთან ერთად მოვიდა წინა აზიაში XIII ს. 50-ან წლებში. ჰულაგუ ყაენმა სიკვდილით დასაჯა, როგორც მისი მოწინააღმდეგე. მოხსენებულა: კირაკოს განძაკელთან, რაშიდ-ედ-დინთან, ჟამთააღმწერელთან.

ხული არის თურქული ყული — „მონა“ (კლეისი, 432).

ცნობები ხულიზე იხ. აქვე, გვ. 132—140.

იხ. აგრეთვე აქვე, შენიშვნა XII, 11.

11. ბალახა

რაშიდ-ედ-დინთან — ბულაღა, ბულღა (III, გვ. 31, 39, 59), ჟამთააღმწერელთან — ბალაღა (გვ. 251).

შიბანის ძე, ჭუნის შეილისშვილის (ე. ი. ბათუ და ბერქა ყაენების ბიძაშვილი — იხ. რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 39).

თავის ნათესავ მონღოლ უფლისწულებთან ერთად მოვიდა წინა აზიაში. ჰულაგუ ყაენმა სიკვდილით დასაჯა, როგორც მისი მოწინააღმდეგე. მოხსენებულა: კირაკოს განძაკელთან, რაშიდ-ედ-დინთან, ჟამთააღმწერელთან.

ბალახა უნდა იყოს მონღოლური ბულღა (კლეისი, 413—414).

ცნობები ბალახაზე იხ. აქვე, გვ. 132—140.

იხ. აგრეთვე აქვე, შენიშვნა XII, 11.

12. ტუთარი

სონკურის ძე, ჭუნის შეილისშვილი (ე. ი. ბათუ და ბერქა ყაენების ბიძაშვილი, იხ. რაშიდ-ედ-დინი, III, გვ. 39).

თავის ნათესავ მონღოლ უფლისწულებთან ერთად მოვიდა წინა აზიაში. ჰულაგუ ყაენმა სიკვდილით დასაჯა, როგორც მისი მოწინააღმდეგე. მოხსენებულა: კირაკოს განძაკელთან, რაშიდ-ედ-დინთან, ჟამთააღმწერელთან.

ტუთარი არის მონღოლური ტუტარ (კლეისი, 431).

ცნობები ტუთარზე იხ. აქვე, გვ. 122—140.

იხ. აგრეთვე, აქვე შენიშვნა XII, 11.

18. თავუდარი

იხ. აქვე, შენიშვნა XVI, 2.

14. ღატალანი

გრიგოლ აკანელის ცნობას, რომ ღატალანი იყო ერთ-ერთი მონღოლი უფლისწული, რომელიც ჰულაგუსთან ერთად მოვიდა წინა აზიაში და სიკვდილით დაისაჯა ჰულაგუს მიერ, როგორც მისი მოწინააღმდეგე, ადასტურებს კირაკოს განძაყელი (378—379).

კირაკოსი, ვარდანი და სტეფანოს ორბელიანი იხსენიებენ ღატალანს, როგორც ერთ-ერთ ნოინს, მონღოლთა მიერ ირანისა და ამიერ-კავკასიის დაპყრობის დროს (კირაკოსი, გვ. 229, ვარდანი, გვ. 189, სტეფანოს ორბელიანი, გვ. 402). კირაკოსისა და ვარდანის ცნობით, ამიერკავკასიაში მას დაუპყრია გეტაპაჰისა და ვარდანაშატის მხარეები.

ღატალანი მონღოლური ყატაყანია, რომელიც შედგება ძირისგან: ყატან (ყატანგ) — „ძლიერი, მტკიცე, ბოროტი“ და კინობითი სუფიქსისაგან: — ყან-კენ, კლეისი, 42).

ცნობები ღატალანზე იხ. აქვე, გვ. 132—140.

15. ბორალანი

მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აკანელაზ. ერთ-ერთი მონღოლი უფლისწული, რომელიც მოვიდა წინა აზიაში ჰულაგუსთან ერთად და მონაწილეობა არ მიუღია ჰულაგუს წინააღმდეგ შეთქმულებაში შესაძლოა, ეს არის იგივე ბორა-ჩორმალანის უმცროსი ვაჟი, რომელიც, გრიგოლ აკანელის ცნობით, ჰულაგუმ დასაჯა ბოროტი ზრახვების გამო (იხ. აქვე, შენიშვნა IX, 3).

ბორალანი შედგება ორი მონღოლური სიტყვისგან: ბორო — „შეგვერმანი“ და — ყან — კენ — „პატარა“ (კლეისი, 415).

16. გერეთი

მონასტერი სომხეთში. ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

17. მილანი

ქუჩის შეიღოშვილის ყულის (იხ. აქვე, შენიშ. X, 10) ვაჟი. გრიგოლ აკანელის გარდა მოხსენებულია კირაკოს განძაყელთან, რომლის ცნობითაც მილანი ჰულაგუს, სხვა მონღოლ უფლისწულებთან ერთად, სიკვდილით დაუსჯია (გვ. 378).

მილანი სომხური ტრანსკრიპციითაა მონღოლური სიტყვისა მიყან — „ხორცა“ (კლეისი, 423, რ. ბლეივი, შენიშ. 49).

თ ა ვ ი X I

1. „ძველი და ახალი მხედრები“

წყაროების ცნობით, როცა ჰულაგუ წინა აზიაში მოვიდა, მან უბრძანა აქ მყოფ მონღოლთა ჯარების მთავარსარდალს ბაჩუ ნოინს მთელი თავისი მხედრობით დაეტოვებინა თავისი ადგილსამყოფელი—მულანის ველი—და წასულიყო რუმში. ბაჩუს ჯარი იძულებული იყო წასულიყო მცირე აზიაში, ხოლო მისი ადგილი დაიკავა ჰულაგუსთან მოსულმა ჯარმა (კირაკოს განაქელი, 358—360, ვარდანი, 195, რაშიდ-ედ-დინი, II, 21). ამის შემდეგ, წყაროები ჰულაგუმდე მოსულ მონღოლებს უწოდებენ „ძველ მხედრებს“, ხოლო ჰულაგუსთან ერთად მოსულებს — „ახალ მხედრებს“. „ძველი მხედრების“ ნოინებსა და მხედართმთავრებს გრიგოლ აკანელი, ეამთაღმწერელი და სხვა წყაროები უწოდებენ აგრეთვე თემაჩებს (იხ. აქვე, შენიშვნა XII, 2).

წყაროთა ცნობები ამ საკითხზე, იხ. აქვე, გვ. 132—140.

2. ბაღდადის აღება მონღოლთა მიერ

მონღოლებმა ბაღდადი აიღეს 1258 წელს.

გრიგოლ აკანელის გარდა ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან: კირაკოს განაქელი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი, ე. წ. „წერილი“ სომეხი ისტორიკოსები, მარკო პოლო, რაშიდ-ედ-დინი, ეამთაღმწერელი.

მარკო პოლოს შემონახული აქვს გრიგოლ აკანელის ანალოგიური თხრობა ხალიფას (ხალიფად იყო მუსტასიმი, 1242—1258) სიმშლით დასჯისა. მაჰმადის დროშით ხალიფის ქადილზე მოგვითხრობს აგრეთვე კირაკოს განაქელი. მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 141—147.

3. მუფარდინი

ქალაქი მესოპოტამიაში. სხვა სომხური წყაროებით — მუ ფ ა რ დ ი ნ ი, მ ა რ ტ ვ ი ლ თ ა ქ ა ლ ა ქ ი, მ ა რ ტ ი რ ო პ ო ლ ი ს ი, ნ ფ რ კ ე რ ტ ი. რაშიდ-ედ-დინთან — მ ა ი ა ფ ა რ ი კ ი ნ ი, ბიზანტიური მ ა რ ტ ი რ ო პ ო ლ ი.

წყაროები ადასტურებენ გრიგოლ აკანელის ცნობას ქალაქის ხანგრძლივ ალყაზე და იქ ჩამოვარდნილ საშინელ სიმშლიზე. კირაკოს განაქელისა და ვარდანის ცნობით, ქალაქი აღებულ იქნა 1260 წელს, რაშიდ-ედ-დინისა და სტეფანოს ორბელიანის ცნობით — 1259 წელს.

მარ მარუთა მოკლეს დაახლოებით 420 წელს, ახ. წ. (იხ. რ. ბლეიცი, შენიშვნა 45). (იხ. ჰელბშმანი, გვ. 308—309).

მასალები იხ. აქვე, გვ. 148—151

4. დრამა

ირანულიდან შემოსული ფორმა დირაქმისა (რ. ბლეიცი, შენიშვნა 45). საქართველოში VIII—XV ს. ს. აღნიშნავდა ვერცხლის ფულის ერთეულს. (ივ. ჭავჭავაძე, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, გვ. 16—17).

5. თადეადინი

ბაგრატიონი. კვირიკეანთა დინასტიის ნაშთი. კვირიკეს ძე, შვილისშვილი მაწნაბერდის უფლის აღსართანისა. კირაკოს განაქელი იძლევა მისი გვარის მოკლე ისტორიას, საიდანაც ჩანს შემდეგი გენეალოგია:

კვირიკე — | — დავითი — კვირიკე — აბასი + ინანა (სარგის მხარგრძელი)
 | — აბასი

ქალი) — აღსართან + ქალი ნორბენდის უფლის დავით ბაგრატიუნისა —

— კვირიკე — | — ბაძლავან

| — თალიადინი

| — აღსართანი

(კირაკოსი, გვ. 146—147).

კვირიკიდან დაუკარგავთ თავიანთი სამფლობელო ლორე-ტაშირ-სამშვილდში და ბოლოს მაწნაბერი დარჩენიანთ, რომელსაც ხან ჰყარგაენენ, ხან იბრუნებდნენ. ცოტა ხანს ტაეუშიც მიუციათ მათთვის სპარსელებს (იქვე).

8. საღუნი

საღუნ მანკაბერდელი. შერბაროქის ძე, საღუნის შვილისშვილი. გასომხებული ქუროთი. მედროვე. მორკინალი და მრავალი ენის მცოდნე. მონღოლთა წყალობით აღზვედა, ხელთ იგდო საქართველოს მეფის დემეტრეს ათაბაგობა და დიდძალი ყმა-მამული. კირაკოს განძაყელის ცნობით, ჰელაგუმ ის დააყენა თავისი ფალანგების სათავეში და მისცა სასუნის მხარე (კირაკოსი, გვ. 370). ჟამთააღმწერლის ცნობით მან ხელთ იგდო ქალაქები: თელავი, ბელაქანი, დმანისი და სხვა სამფლობელოები. გარდაიცვალა 1281, ან 1282 წელს. მის ვაჟს ხუტლუბუღას დემეტრემ ათაბაგობა აღარ მისცა, არამედ, მხოლოდ ამირსპასალარობა.

(იხ. ივ. ჭავჭავიძე, ქართვ. ერის ისტორი, III, 1949, გვ. 224—227).

ცნობები საღუნზე იხ. აქვე, გვ. 140—141.

7. ახპატი

ახპატისა და სანაინის მონასტრები IX საუკუნეში იქნა დაარსებული მოძღვარ მხითარ გოშის მიერ, ტაშირში (დებუდას ხეობაში). ისინი წარმოადგენდნენ სომხური მწიგნობრობის ცენტრებს.

(იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი).

თ ა ვ ი XII

1. „ძველი მხედრების“ გარეკვა ჰულაგუს მიერ (მულანიდან რუმს)

იხ. აქვე, შენიშვნა, XI, 1.

2. თემაჩი

მონღოლურად: თ ა მ ა ჩ ი.

ჟამთააღმწერელთან: „...პირველი მათ თ ა მ ჩ თ ა (var. თ ა ი ჩ თ თ ა) ოთხთა ნონთა მიერ განეგებოდა ქუყყანა საბრძანებლისა მათისა“ (223). სხვა წყაროებში თემაჩი არა გვხვდება.

შუადგენდნენ რაინდების, ანუ მხედრების კლასს მონღოლებს შორის. გრიგ. აკანელთან ეს ტერმინი დაკავშირებულია „ძველ მხედრებთან“ (ე. ი. წინა აზიაში ჰულაგუმდე მოსულ ნოინებთან). ქ. პატკანიანი ფიქრობს, რომ თემაჩები ეწოდებოდათ იმ მხე-

დართ-მთავრებს, რომლებიც მონღოლთა საბრძანებლის 4 ულუსად გაყოფამდე გაიგზავნენ ქვეყნების დასაპყრობად.

(იხ. რ. ბლეიკი, შენიშენა 47; კლიესი, 439—442; ქ. პატკანიანი, შენიშენა 55).

8. ელჩი

თურქულად — ი ლ ჩ ი, მონღოლურად — ე ლ ჩ ი. ეამთაღმწერელთან — ე ლ ჩ ი (გვ. 220, 229 და სხვა), მოციქული, დესპანი. (იხ. რ. ბლეიკი, შენიშენა 48).

4. არღუჩი

თურქულად — ი ა რ ღ უ ჩ ი, მონღოლურად — ჩ ა რ ღ უ ჩ ი. ეამთაღმწერელა აღნიშნავს; რომ ჰულაგუმ უღუ დავითი დააწესა ი ა რ ღ უ ჩ ა დ, რომელ არს გამკიჯ-ხეჭლობაჲ და ბჰობაჲ“ (232).

მონღოლთა მოსამართლე.

(იხ. რ. ბლეიკი, შენიშენა 48).

5. მლაშე ზღვა

ქ. პატკანიანის აზრით აქ იგულისხმება ურმიის ტბა, რომლის წყალი ძალიან მარილიანია (იხ. ქ. პატკანიანი, შენიშენა 57).

6. ბერი

ქალაქი, ეელი და პროვინცია ურმიის ტბის დასავლეთით.

მოხსენებულია მრავალ სომხურ წყაროში (თომა არწრუნთან, ასოლიკთან, მათეოს განძასარელთან, ლაზარე ფარპელთან, ანონიმურ გეოგრაფიაში), (იხ. ინჰიკიანი, 155; რ. ბლეიკი, შენიშენა 49).

7. ზარავანდი

პროვინცია ურმიის ტბის დასავლეთით.

მოხსენებულია მრავალ სომხურ წყაროში (ელიშე, თომა არწრუნი, ანონიმური გეოგრაფია). (იხ. ინჰიკიანი, 153—154; რ. ბლეიკი, შენიშენა 49).

8. ნუხაქოუნი

მოხსენებულია მხოლოდ გრიგოლ აკანელთან. ერთ-ერთი მონღოლი მხედართმთავარი, რომელიც ჰულაგუს მიერ მისი მოწინააღმდეგე მონღოლი უფლისწულების სიკვდილით დასჯის შემდეგ, გაიქცა ბერქა ყაენთან (მასალები იხ. აქვე, გვ. 132—140).

ნუხაქოუნი მონღოლური სიტყვაა: ნო ყ ა ი ქო უ ნ — „ძალის ვაჟი“ (კლიესი, 424—425).

ქოუნებს. ეამთაღმწერლის ცნობით, ეწოდებოდნენ ჰულაგუსთან ერთად მოსულ ყაენის შვილებს (223—224).

9. არადამური

მონღოლთა მხედართმთავარი. გრიგოლ აკანელის ცნობას, რომ ჰულაგუს მიერ ურჩი უფლისწულების დასჯის შემდეგ ოქროს ურდოს ყაენ ბერქასთან გაიქცა მათი ჯარის ნა-

წილი, რომელიც შემდეგ მონაწილეობდა ბერქას ლაშქრობაში ილხანის წინააღმდეგ, ადასტურებენ: კირაკოს განძაყელი (გვ. 378—379), რაშიდ-ედ-დინი (III, გვ. 54) და ჟამთააღმწერელი (გვ. 251—253). ამ გაქცეული ჯარის სარდლების სახელს ასახელებენ მხოლოდ გრიგოლ აქანელი (არადამურჩი და ნუხაქოუნი) და ჟამთააღმწერელი (ალათე-მური — როგორც ჩანს, იგივე არადამური).

ა რ ა დ ა მ უ რ - ა რ დ ა მ უ რ (— ა რ დ ა მ ი რ) თურქული სიტყვაა, აღნიშნავს „რკინის კაცს“: ა რ — „კაცი“, დ ა მ უ რ (— თ ა მ უ რ) — „რკინა“ (კლივისი, 406).

10. ბერქა

ოქროს ურდოს ყაენი. ჩინგის ყაენის შვილისშვილი, ჭუჩის შვილი, ბათუ ყაენის ძმა.

ბერქას შემოჭრაზე ამიერ-კავკასიაში გრიგოლ აქანელის გარდა ცნობებს გვაწვდიან სხვა წყაროებიც (კირაკოს განძაყელი — გვ. 378—379; ვარდანი — გვ. 213; ჟამთააღმწერელი — გვ. 251—253, რაშიდ-ედ-დინი III, გვ. 59—60).

ბ ე რ ქ ა არის თურქული ბ ა რ ქ ა — „მათრახი, ჭოხი, კეტი“, ან მონღოლური ბერქე — „მძიმე, ძნელი“ (კლივისი, 416, 417).

11. ჰულაგუს მიერ მისი მოწინააღმდეგე მონღოლ უფლისწულთა დასჯა

გრიგოლ აქანელის ცნობას, რომ ჰულაგუსთან ერთდროულად წინა აზიაში მოვიდნენ რ ი, ლ ო ტ ა დ ა ნ ი და ბ ო რ ა დ ა ნ ი, ადასტურებენ სხვა წყაროებიც: კირაკოს განძაყელი, ლ ო ტ ა დ ა ნ ი და ბ ო რ ა დ ა ნ ი ადასტურებენ სხვა წყაროებიც: კირაკოს განძაყელი ასახელებს ოთხს: ხ უ ლ ი ს, ბ ა ლ ა ხ ა ს, ტ უ თ ა რ ს და ლ ა ტ ა დ ა ნ ს, (გვ. 359, 379), ჟამთააღმწერელი ასახელებს სამს: ტ უ თ ა რ ს, ყ უ ლ ი ს — (სომხ. წყაროების ხული) და ბ ა ლ ა დ ა ს (სომხ. წყაროების ბალახა, გვ. 251, 254), რაშიდ-ედ-დინი ასახელებს სამს: ყ უ ლ ი ს, ბ უ ლ დ ა ს, ბ უ ლ დ ა ს (სომხ. წყაროების ბალახას) და ტ უ თ ა რ ს (III, გვ. 31, 39—54, 59—60).

კირაკოს განძაყელი, რაშიდ-ედ-დინი და ჟამთააღმწერელი გვაშეცნობენ, რომ აღნიშნული უფლისწულები ბათუ და ბერქა ყაენების ნათესავები იყვნენ და ოქროს ურდოდან იყვნენ ჰულაგუსთან მოსულნი. რაშიდ-ედ-დინის ცნობიდან ჩანს, რომ ტუთარი, ბულღა და ყული ერთმანეთის ბიძაშვილები ყოფილან — ჭუჩის შვილისშვილები, ე. რ. ბათუსი და ბერქას ბიძაშვილები.

იგივე წყაროები ადასტურებენ გრიგოლ აქანელის ცნობას ჰულაგუ ყაენის მიერ აღნიშნული უფლისწულების სიკვდილით დასჯაზე და მათი ჯალაბისა და მხედრების ნაწილის ბერქასთან გაქცევაზე. ამასთან, გრიგოლ აქანელის ცნობას, თითქოს ამას მოჰყვა ბერქას შემოჭრა ამიერკავკასიაში (გვ. 42, 30—43, 9), იმეორებენ რაშიდ-ედ-დინი (III, გვ. 59—60) და ჟამთააღმწერელი (გვ. 254):

შეადარ. ივ. ჭავჭავაძის შიშველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178—183.

მასალები ამ საკითხზე იხ. აქვე, გვ. 132—140.

12. ილხანთა სახელმწიფოს შექმნა წინა აზიაში

1256 წლამდე მონღოლთა მიერ დაპყრობილ წინა აზიას განაგებდნენ ნოინები, რომელთა უფროსი იყო ჯერ ჩორმღლანი, ხოლო შემდეგ (1240 წლიდან) ბაიჭუ. ფორმალურად წინა აზია ექვემდებარებოდა ოქროს ურდოს ყაენებს.

